# საქართველოს რესპუბლიკა




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 28 იანვარი, 2005 წელი. №21 (5054) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი


◉ პრეზიდენტი

## იუშჩენკო და სააკაშვილი მშვიდობის ნობელის პრემიის მოსაპოვებლად წარადგინეს

**ნობელის კომიტეტში წერილი ვიქტორ იუშჩენკოსა და მიხეილ სააკაშვილის კანდიდატურების შეთავაზებით გაგზავნეს სენატორებმა ჯონ მაკკეინმა და ჰილარი კლინტონმა.**

სენატორების მიერ ხელმოწერილ წერილში ხაზგასმულია, რომ პრეზიდენტებმა „მოიპოვეს ხალხის მხარდაჭერა, რადგან ისინი ერთგულობენ დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლებისა და სამოქალაქო უფლებების დაცვის უნივერსალურ ღირებულებებს“.

როგორც ვიქტორ იუშჩენკო, ისე მიხეილ სააკაშვილი თავ-თავიანთ ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში მივიდნენ მას შემდეგ, რაც მოქმედი ხელისუფლების მიერ არჩევნების შედეგების გაყალბებაში დარწმუნებულმა ათიათასობით ადამიანმა გამართა საპროტესტო აქციები.

„ამ ორი ადამიანისთვის მშვიდობის ნობელის პრემიის მინიჭება გაუსვამს ხაზს არა მარტო მათ ისტორიულ როლს საქართველოსა და უკრაინაში, არამედ იმედსაც შთაუნერგავს ყველას, ვინც ესწრაფვის თავისუფლებას სხვა ქვეყნებშიც“, – აღნიშნულია წერილში.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონის მეუღლე ჰილარი კლინტონი ამერიკის სენატში დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენს. ჯონ მაკკეინი რესპუბლიკელია, რომელმაც 2000 წელს თავის კანდიდატურა წამოაყენა პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობისთვის, თუმცა, მაშინ დამარცხდა ჯორჯ ბუშთან ბრძოლაში.

BBC RUSSIAN.com



## ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებულია სამხრეთ ოსეთის თაობაზე სააკაშვილის მიერ გამოთქმული წინადადებებით

**ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია დაინტერესდა სამხრეთ ოსეთის თაობაზე წინადადებებით, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოთხშაბათს გამოთქვა სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაზე. ეს ჟურნალისტებს განუცხადა ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა.**

„ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით სამხრეთ ოსეთთან და საქართველოს სხვა რეგიონებთან დაკავშირებული საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის გაღებულ ძალისხმევას“, – თქვა ბაუჩერმა და დასძინა, რომ შეერთებული შტატებისთვის ასეთი წინადადებები „საინტერესოა“.

„ჩვენ მივესალმებით იმ იდეას, რომ ბატონმა სააკაშვილმა წამოაყენა მთელი რიგი წინადადებები და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ გულმოდგინედ ვადევნებთ თვალყურს სიტუაციას და უფრო მეტს შევიტყობთ იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდება მათი განხორციელება“, – განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

АГЕНТСТВО МЕЖДУНАРОДНОЙ ИНФОРМАЦИИ РИА НОВОСТИ

## ნომერში წაიკითხავთ:


**თუ ფალსიფიკაცია მოისპობა, ჩვენს ყურძენზე ტაციობა იქნება**

ამ საკითხებზე გვესაუბრება კახეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის დარგში თემურ ლამაზოშვილი.

მე-3 გვ.



**მუზეუმის „ფერისცვალება“**

ბოლო ხანებში ქვეყანაში მიმდინარე რეორგანიზაციამ კულტურის სფეროშიც შეაღწია და მნიშვნელოვანი ძვრები მოახდინა.

მე-4 გვ.




◉ კანონმდებლები

## კონსერვატორები საპროტესტო აქციების მოწყობას აპირებენ, დავით ბერძენიშვილი პრემიერ-მინისტრს უცაცხანებს

საქართველოს კონსერვატიული პარტია ბრძოლას იწყებს იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც პარლამენტმა საშემოდგომო სესიაზე წამოსწია და იქვე დაუსვა კიდეც წერტილი. მომხსენებელთა ჯგუფმა, როგორც გახსოვთ, მეანაბრეების საკითხის მიზეზები კი არ გამოიკვლია, ერთი ადამიანის რეპუტაციის აღსადგენად იღვაწა. მეანაბრეებს ამით, ცხადია, არაფერი შემატებიათ. კონსერვატორებმა პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტეს და კანონპროექტი მოამზადეს, რომლის შესახებაც გუშინ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ხელისუფლებას აიძულებენ, თანდათან დაფაროს შიდა ვალი. კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად უნდა გამოიყოს თანხა მეანაბრეებისთვის და ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსებისთვის გამოყოფილ თანხაზე ნაკლები არ უნდა იყოს. როგორც ზვიად ძიძიგურმა აღნიშნა, წელს უშუალოდ პრეზიდენტის განსაკარგავად 10 მილიონი ლარია ჩადებული ბიუჯეტში, მთავრობის სარეზერვო ფონდი კი 15 მილიონ ლარს შეადგენს.



– ამას გარდა, უამრავი თანხაა გამოყოფილი სხვადასხვა პროექტისთვის. კაცი ვერ გაიგებს, რაში იხარჯება მილიონები. მაგალითად, 14-15 მილიონი ლარია გათვალისწინებული თვითმმართველობის განვითარების პროექტებისთვის, მაშინ, როცა თვითმმართველობის შესახებ კანონიც არ არის მიღებული და რეალურად არც ფიქრობს ამაზე ხელისუფლება, – დასძინა ზვიად ძიძიგურმა. თუმცა, როგორც ვთქვით, კონსერვატორები ითხოვენ, მეანაბრეებისთვის იმდენივე თანხა გამოიყოს, რამდენიც უშუალოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსებისთვის იქნება გათვალისწინებული.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, 30 ათასზე მეტ ამომრჩეველს უფლება აქვს, პარლამენტში განსახილველად შეიტანოს კანონპროექტი. კონსერვატორები სწორედ ამ, დღემდე აუმოქმედებული პროცედურის გამოყენებას აპირებენ და ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ. მათ იმედი აქვთ, რომ კანონპროექტს ხელს 30 ათასზე გაცილებით მეტი ამომრჩეველი მოაწერს.

კითხვას, რას აპირებენ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი კანონპროექტს ჩააგდებს, კობა დავითაშვილი ასე უპასუხებს:

– ჩვენ არა მხოლოდ ხელმოწერებს შევაგროვებთ, არამედ თბილისსა და რაიონებში ერთდროულად მოვაწყობთ გამაფრთხილებელ აქციებს. კანონპროექტის განხილვის დღეს კი პარლამენტთან მოეწყობა საპროტესტო აქცია კანონის მიღების მოთხოვნით. ამდენად, ძალზე მცირე იქნება იმის ალბათობა, რომ კანონპროექტი ჩააგდონ.

ზვიად ძიძიგურის თქმით, მათ მეანაბრეთა აქტიურობის იმედი აქვთ, სხვაგვარად, ბრძოლას აზრი არ ექნება.



– საპარლამენტო უმრავლესობის ის წევრები, რომლებმაც თავის დროზე კრედიტები გაიტანეს, დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევენ. ჩვენ იუსტიციის სამინისტროში გავაგზავნეთ წერილი მოთხოვნით – განემარტათ, ვინ და ვინ იდგნენ იმ 400 ფირმის უკან, რომლებმაც მილიარდობით კუპონი გაიტანეს. პასუხი დღემდე არ მიგვიღია. სათანადო დოკუმენტაციის გარეშე კონკრეტულ გვარებს ვერ დავასახელებთ, მაგრამ თქვენც იცით და ჩვენც ვიცით, რომ იმდროინდელი „მტაცებლების“ დიდ ნაწილს დღეს მაღალი თანამდებობები უკავია, – აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.

კონსერვატორების მიერ ორგანიზებული პრესკონფერენციით რესპუბლიკელთა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმაც ისარგებლა. მისი გამოსვლა ორ საკითხს ეხებოდა – ცხინვალთან მოლაპარაკებას და სანაოსნოს გაყიდვას.

დათო ბერძენიშვილმა მოიწონა საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა ევროპის საბჭოში. მართალია, ის ამ განცხადებას ნაგვიანევად მიიჩნევს, მაგრამ იხსენებს პრინციპს – სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.


იხ. მე-2 გვ.


◉ დღის შეკითხვა

## როგორ აფასებთ ევროსაბჭოში ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის გამოსვლას?

***26 იანვარს სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში. კონფლიქტების მოგვარების ახალი ინიციატივა მართლაც შთამბეჭდავია, მაგრამ რას მოგვიტანს იგი? აი, რამდენიმე აზრი.***

**მანანა ჯებაშვილი, პარლამენტარი:** – ის უფლებები, რომელთა მინიჭებასაც ჩვენ ყოფილი სამხრეთ ოსეთისთვის ვაპირებთ, მათთვის არასოდეს არავის შეუთავაზებია, – ბრძანა მიხეილ სააკაშვილმა სტრასბურგში და მართლაც, კონფლიქტების მოწესრიგების მისეულმა გეგმამ მთელს მსოფლიოს ერთხელ კიდევ დაანახვა, რომ საქართველოს კონფლიქტების უსისხლოდ მოწესრიგების სურვილი აქვს. სამწუხაროდ, ეს არ ესმით კოკოითსა და მის დამქაშებს. სამაგიეროდ, პროგრესულმა მსოფლიომ დააფასა მიხეილ სააკაშვილის ძალისხმევა და იგი ნობელის პრემიაზე წარადგინა.

უდიდესი სიამაყის გრძნობით ივსები, როდესაც შენი ქვეყნის პრეზიდენტს ასე დააფასებენ. ამას ვამბობ არა როგორც პარლამენტის წევრი, არამედ როგორც საქართველოს მოქალაქე. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საქართველოს ღირსეული პრეზიდენტი ჰყავს. მჯერა, ის კვლავაც ყველაფერს იღონებს ქვეყნის გამთლიანებისთვის, მისი პროგრესული, ცივილიზებული სახელმწიფოდ გადაქცევისთვის.


იხ. მე-2 გვ.


◉ ინფორმაცია

### ილია მეორემ საზეიმო წირვა აღავლინა

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წმინდა ნინოს ხსენებასთან დაკავშირებით გუშინ ბოდბის დედათა მონასტერში საზეიმო წირვა აღავლინა. სიონის საკათედრო ტაძარში კი ამ დღესთან დაკავშირებით წმინდა ნინოს ჯვარი გამოაბრძანეს.**

**ჯვარზე მთხვევა ყველა მორწმუნეს შეეძლო.**

**ქართველთა განმანათლებლისა და მოციქულთა სწორის – წმინდა ნინოს ქადაგებით, საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 326 წელს, მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას მეფობისას გამოცხადდა.**

### ვენეციის კომისია „საკმაოდ მისაღებ ვარიანტად“ აფასებს

**თბილისში ვიზიტად მყოფი ვენეციის კომისია სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ინაციატივას „საკმაოდ მისაღებ ვარიანტად“ აფასებს.**

**ამის შესახებ გუშინ თბილისში ვიზიტად მყოფმა ვენეციის კომისიის 5-კაციანი დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯანო ბუკიკიომ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან გიორგი ხაინდრავასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.**

**ბუკიკიოს თქმით, ვენეციის კომისია, რომელსაც ავტონომიებთან ურთიერთობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, მზადაა, „უფრო ღრმად შეისწავლოს“ სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოთქმული სამშვიდობო წინადადებები.**

**– ჩვენ შევძლებთ სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით საუკეთესო ვარიანტის შემუშავებას, რომელიც ყველა მხარეს დააკმაყოფილებს, – აღნიშნა ბუკიკიომ.**

**ინტერ-პრესი.**

◉ ცხელი თემა

## „თბილისში უაზროდ დაგდებული კენჭი მთელ რუსეთს მირჩევნია“,

### ამბობს ოსი მედეა ბურაევა

**– მე თბილისში უაზროდ დაგდებული კენჭი მირჩევნია მთელ რუსეთს, – ასე დაიწყო ჩემთან საუბარი მედეა ბურაევამ, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ და რომლის ცხოვრებაც მადლიერების მაგალითია.**

**თითქმის 40 წელიწადია ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტში მუშაობს მედეა. მას, როგორც პროფესიონალსა და პიროვნებას, დიდად აფასებენ.**

– ძალიან გამიმართლა, ამ კოლექტივში რომ მომიხდა საქმიანობა. გახსოვთ, გამსახურდიას დროს ოსებმა ერთმანეთის მიყოლებით პანტა-პუნტით გვარების გამოცვლა რომ დაიწყეს? ბევრი ჩემი ახლობელი ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლდა. ეს მე აზრადაც არ მომსვლია. ბატონმა არჩილ ხომასურიძემ დამიძახა და მითხრა: არც კი იფიქრო, შენ ვერავინ შეგეხება, – ხელები დაიკაპიწეს ჩვენმა თანამშრომლებმა და ამბრაზურასავით გადამეფარნენ. განა როდესმე შემიძლია ამის დავიწყება?


იხ. მე-2 გვ.


◉ მიმართვა

## ღამის უკვდავების წყალი უქმად იღვრება, ჩვენ კი...

**„ბორჯომის მეწარმეთა კავშირის“ წარმომადგენლებმა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მიმართეს ღია წერილით, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:**

გაცნობებთ, რომ ჩვენი საწარმოები, ძირითადად, ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმა-რეალიზაციას ეწევიან, მაგრამ ე. წ. წიაღით სარგებლობის ლიცენზიის უქონლობის გამო ისინი აღარ მოქმედებენ. საგულისხმოა, რომ წყლის არსებული რესურსი „ბორჯომის“ ჩამოსხმის საშუალებას გვაძლევს. ამიტომ გაუგებარია, რატომ არ გვაძლევს სახელმწიფო წიაღით სარგებლობის ლიცენზიას. ამის გამო უმუშევრად დარჩა 600-მდე მუშა-მოსამსახურე, ჩვენ კი გაკოტრების ზღვარზე აღმოვჩნდით.

აღნიშნული საკითხი არაერთხელ დავსვით ყოფილი პრეზიდენტის წინაშე, თუმცა ამ საკითხში მისი პირადი ინტერესების გამო, პასუხი არ მიგვიღია.

თქვენ არაერთხელ განაცხადეთ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ქართულ ეკონომიკაზე კლანურ-მაფიოზური ზემოქმედება უნდა შეწყდეს და საქართველოში წარმოების განვითარების შესაძლებლობა ამით დაინტერესებულ ყველა კეთილსინდისიერ მეწარმეს უნდა მიეცეს. ალბათ, სწორედ ამიტომ გაგვიჩნდა



იმედი, რომ ჩვენი მრავალწლიანი პრობლემა მოგვარდებოდა.

იმედის მიუხედავად, არსებობს ეჭვი, რომ „ბორჯომის“ წარმოებასთან დაკავშირებით თქვენ არასწორ ინფორმაციას გაწვდიან. ალბათ, არ იცით, რომ ბორჯომში ათასობით კუბური მეტრი მინერალური წყალი უქმად იღვრება, ბიუჯეტი დიდი ოდენობით შემოსავლებს კარგავს, სამკურნალო დანიშნულებების „ბორჯომს“ კი სუფრის წყლად გადაქცევის საფრთხე ემუქრება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოთ აღნიშნული და გამონახოთ დრო ჩვენთან შეხვედრისთვის. გვჯერა, რომ თქვენთან შეხვედრის შემდეგ აქამდე ბნელით მოცულ ბევრ საკითხს ნათელი მოეფინება და გველეშაპად ქცეულ ადამიანებს კუთვნილ ადგილს მიუჩენთ.

იმედი გვაქვს, თქვენთან შეხვედრის შემდეგ ბორჯომში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება გამოსწორდება.

**პატივისცემით**

**„ბორჯომის მეწარმეთა კავშირის“ წევრები:**

**გიორგი კორბესაშვილი (შპს „ბორჯომი პროდაქტი“); თემურ ტყემალაძე (შპს „ლიკანი I“); მურთაზ ღონღაძე (შპს „ლიკანი 95“); ელვარდი წიქარიშვილი (შპს „რაინდი-1“-ის ბორჯომის ფილიალი); ზურაბ ზელაშვილი (სს „მზეთამზე“); ნანა არევაძე (შპს „წაღვერი“); ზურაბ მაღრაძე (შპს „სამეფო წყლების კომპანია“).**

## ინტერპანორამა

**THE INTERNATIONAL HERALD TRIBUNE: სექსმა ფურორი მოახდინა ეგვიპტის კონსერვატიულ საზოგადოებაში**

ეგვიპტეში გაუთხოვარ ქალს დაფეხმძიმების შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი აქვს – მუცელი უნდა მოიშალოს, შემდეგ კი ოპერაციის გზით აღიდგინოს ქალწულობა. თუმცა, ახალგაზრდა მოდელიერმა გოგონამ ბავშვი გააჩინა და სასამართლოში სარჩელი შეიტანა მამობის დადგენის თაობაზე, რამაც გაუგონარი სკანდალი და საერთოეროვნული დებატები გამოიწვია, წერს ამერიკული გაზეთი.



**სიმონ ვიზენტელის ცენტრმა ნაცისტ დამნაშავეებზე ახალი ნადირობა გამოაცხადა**

**„ნაცისტებზე მონადირენი“ ატარებენ ოპერაცია „უკანასკნელ შანსს“, რომლის მიზანია ნაცისტი დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა. ორგანიზატორები თვლიან, რომ გერმანელთა ისტორიული ვალია ნაცისტ ბოროტმოქმედთა დასჯა. თუმცა, აქციას ყველა არ იწონებს და კრიტიკას იწვევს.**



CYAN MAGENTA YELOOW BLACK

⊙ დღის შეკითხვა

## როგორ აფასებთ ევროსაბჭოში ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის გამოსვლას?

(პირველი გვერდიდან)

**ალექსანდრე რონდელი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის პრეზიდენტი:** — ის, რაც შევთავაზეთ ოსებს და აფხაზებს, კარგი საწყისია შემდგომი მოლაპარაკებისთვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ორ ტერიტორიას რეალურად კრემლი აკონტროლებს. ოსებს რომც მოეწონოთ ჩვენი პრეზიდენტის წინადადება, ხმამაღლა ამას ვერ გაამხელენ. ისინი რუსეთს ემორჩილებიან და მათი სეპარატიზმიც, გარკვეულწილად, აქედან მომდინარეობს.

საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაში ამ წუხილსაც ვხედავ. ამასთან, ვხედავ ჩვენი ხელისუფლების მზარდ ყურადღებას და პასუხისმგებლობის შეგრძნებას აქ მაცხოვრებელი ეთნიკური ჯგუფების მიმართ, რაც საკვანძო, ანუ გადამწყვეტი იქნება ჩვენი არსებობისთვის. თუ მათთან საერთო ენა ვერ მოვნახეთ, ჩვენ, როგორც ქვეყანა, ვერ შევდგებით. პრეზიდენტის გამოსვლა სტრასბურ- [illegible]

**ზურაბ მახარაშვილი, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მაჟორიტარი დეპუტატი:** — [illegible]

[illegible] რამ კარგად ვიცი, რომ ქართული მხარის ამ პროგრესულ ნაბიჯს ოსები არ დათანხმდებიან. რატომ? იმიტომ, რომ ჰგონიათ, საკუთარი სახელმწიფო აქვთ.

რაც შეეხება ქართულ მოსახლეობას, ჩემს ამომრჩევლებს, გულახდილად გეტყვით, არ მოსწონთ, ოსებს რომ ავტონომიას ვთავაზობთ. მათ ჰგონიათ, რომ ამით თავიანთი შელახული უფლებები უფრო შეელახებათ. ახლა, ამ განცხადების შემდეგ დიდი მუშაობაა ორივე მხარესთან გასაწევი. ისე, ცხინვალზე გამავალი გზები გუშინ უკვე გაიხსნა. ახლა დალაპარაკებაც შეიძლება.

**ანა ჩიტორელიძე, პედაგოგი:** — მე მგონი, დღეს ოსებს ასეთი ინიციატივებით ვერ მოვატრიალებთ. რუსეთის მხარდაჭერით ისინი ისე არიან განებივრებულები, რომ აღარც გვისმენენ ხეირიანად — ჯერ მიხეილ სააკაშვილს თავისი გამოსვლა დამთავრებულიც არ ჰქონდა და იმათმა პარლამენტარებმა წერი- [illegible]

**ეკა დათოშვილი, პარლამენტარი:** — მე შეცდომად მიმაჩნია [illegible]

ე. წ. სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესი. ვის ველაპარაკებით? კოკოითს, რომელიც არ არის სამაჩაბლოში მცხოვრები ადამიანების ინტერესების გამომხატველი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ცხინვალის მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოდევნილია იქიდან? ამავე მიზეზით, ბაღაფშიც არ წარმოადგენს აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესების გამომხატველს. ამიტომ ამ რეჟიმებთან მოლაპარაკების საგანი შეიძლება იყოს არა სტატუსი, არამედ დევნილთა დაბრუნებისა და დემოკრატიული, გარდამავალი, დროებითი არჩევნების ჩატარების საკითხი. მხოლოდ ამ გზით არჩეულ წარმომადგენლებს შეიძლება, დაელაპარაკოს საქართველოს ხელისუფლება. სამწუხაროდ, პრეზიდენტის გამოსვლებში ეს თემა არ ჩანდა.

**გიორგი ბუჩუკური, პენსიონერი:** — მე მაკვირვებს ევროსაბჭოც და გაეროც. ნუთუ ასე პატარა წარმონაქმნებმა, — სამხრეთ ოსეთმა, თუნდაც ყარაბაღმაც, და დნესტრისპირეთმაც, სახელმწიფოები უნ- [illegible]

შეკრიბა
**ბადრი იაშვილმა.**

⊙ კანონმდებლები

## კონსერვატორები საპროტესტო აქციების მოწყობას აპირებენ,

### დავით ბერძენიშვილი პრემიერ-მინისტრს უცაცხნებს

(პირველი გვერდიდან)

— რა თქმა უნდა, ისმის კითხვა: [illegible]

[illegible]

**რუსუდან გახარია.**

⊙ ცხელი თემა

# „თბილისში უაზროდ დაგდებული კენჭი მთელ რუსეთს მირჩევნია“

(პირველი გვერდიდან)

მედეას წინაპრები საბურთალოს ერთ-ერთი პირველი მაცხოვრებლები ყოფილან. ახლა რომ სასტუმრო „აჭარაა“, მის უკან ჭაობიან ადგილას დასახლებულან და ბაღნარად უქცევიათ იქაურობა.

— მეათე კლასში გავაცნობიერე, რომ სხვა ეროვნების ვიყავი. თორემ, მანამდე არც კი მიფიქრია ჩემს ოსობაზე. და-ძმები დღემდე ოსურად ვლაპარაკობთ, ყველაფერი ეროვნული შევინარჩუნეთ. ამისთვისაც დიდად მადლიერი ვარ ქართველების.

მედეას და ელენე მედდაა, ძმა — ვლადიმერი ჩარხმშენებელ ქარხანაში მუშაობს, — მათაც საქართველო თავის სამშობლოდ მიაჩნიათ და ქართველებზე აუგის თქმას არავის პატიობენ.



— აბა როგორ, ადამიანს უპირველესად მადლიერების გრძნობა უნდა ჰქონდეს, — ამბობს მედეა, მე ვარ მაგალითი იმისა, რომ საქართველოში თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობები არა მარტო ოსებს, არამედ ყველა ეროვნების ადამიანებს ჰქონდათ და აქვთ დღესაც.

ყოველდღე გაფაციცებით ვადევნებ თვალს ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ამბებს. გული მტკივა, ხანდახან ხმამაღლა შევყვირებ ხოლმე: ხალხო, რა დაგემართათ, რამ დაგიბრმავათ თვალები და დაგივსოთ ყურები, რა გვაქვს გასაყოფი, ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ჩვენს შორის კონფლიქტი კი არ არის, რუსები აღვივებენ ცეცხლს. განა თქვენ ჩემზე უკეთ არ იცით, რუსეთი როგორ ნელ-ნელა გვყლაპავს, მალე ცხინვალის რეგიონში ოსურ ენაზე მოსაუბრე აღარც კი დარჩება. ნახეთ, რა უყვეს ჩრდილო ოსეთს. ჩვენ კი აქ, საქართველოს დედაქალაქში, ყველანაირად ხელს გვიწყობენ, კიდევ ვიმეორებ, თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. უცხო ძალამ, ერთ სამშობლოში მოსახლე ორ ერს შორის წარმოქმნილმა გაუგებრობამ ერთმანეთისკენ მიმავალი გზები ჩაკეტა. ეს გზა უნდა აღდგეს, ვინაიდან სხვა გამოსავალი ქართველებსა და ოსებს არა გვაქვს. მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა, ნათესაური კავშირები, უამრავი ერთინაირი ტრადიცია. ამის წაშლა არ შეიძლება. ამიტომ დროა გონს მოვიდეთ, ნუ ვღვრით უდანაშაულო ადამიანთა სისხლს.

მედეა უზადო ქართულით საუბრობს. გასაკვირიც არაფერია. მამამისი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სკოლაში, ბიძა — ისტორიკოსი იყო, მამიდა — პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში მუშაობს.

— ამ მიწა-წყლის სიყვარული თუ არა გაქვს, არც ოსად ვარგიხარ და არც ქართველად, — ამბობს მედეა.

საოცრად დინჯი, სასიამოვნო საუბარი იცის მედეამ. სოხუმიდან ლტოლვილ ტარიელ ჯიქიას დაუკავშირა თავისი ბედი. ახლა ისინი ვაჟიშვილს ზრდიან. დავითი უკვე მე-2 კლასში სწავლობს, თანაც წარჩინებულად.

ტარიელი პროფესიით მხატვარია. რომ იტყვიან, ოქროსმარჯვენიანიო, სწორედ მასზეა ზედგამოჭრილი. მშვენიერი ფერწერული ტილოების გარდა, კერამიკაშიც, ქანდაკებაშიც მუშაობს. მის მიერ გაკეთებული კარ-ფანჯარა ხომ სანაქებოა და სანაქებო.

— თავს ამითღა ვირჩენთ, — მეუბნება მედეა. ისინი ახლა წყნეთში ცხოვრობენ. ზოგჯერ უსასყიდლოდაც ირჯება ხოლმე ტარიელი. ისე, ბედმა, გაგვიღიმა მეფარიძეების მეზობლად რომ აღმოვჩნდით. ძალიან გვიჭირდა და შოთა მეფარიძის ოჯახიდან იმდენი სითბო და თანადგომა მიგვიღია, ღმერთმა გადაუხადოთ. გივი, ქეთინო და აჩიკო (რომელსაც დღეს მთელი საქართველო იცნობს) ჩემი გაჭირვების ტალკვესები არიან და არა მარტო ჩემი. თუ ვინმე მათ ირგვლივ გაჭირვებულია, ყველას პატრონები ეგენი არიან. ღმერთმა ყველა გაჭირვებულს მოუვლინოს ასეთი მეზობლები და მეგობრები. მაგათით მიდგას სული, ასევე დიდი ამაგი აქვს ჩემზე რომან მახარაძეს — ფარმაცევტული კათედრის გამგეს. ჩემი ოჯახი ფეხზე რომ დგას, მისი დამსახურებაა. დღემდე გვერდით გვიდგას. მე ნებისმიერ ადამიანს დავუმტკიცებ, რომ აბსოლუტურად უანგარო დახმარება და გატანა იციან ქართველებმა.

— ყველაფერი უნდა ვიღონოთ და როგორმე დავიბრუნოთ ცხინვალის რეგიონი. ჩვენ — ოსებმა და თქვენ — ქართველებმა, ერთად უნდა ავაშენოთ ახალი საქართველო. რომ იცოდეთ, როგორი მადლიერი ვარ და მეიმედება ჩვენი ახალგაზრდა პრეზიდენტისა და პრემიერისა.

ყველა ეროვნების ადამიანი, ვინც კი საქართველოში ცხოვრობს, ალბათ, ჩემნაირად გააღიზიანა კოკოითის პრესკონფერენციამ, რომელიც მან მოსკოვში მოაწყო. მიხეილ სააკაშვილის სტრასბურგში გამოსვლის შემდეგ. ეს ხომ ერთხელ კიდევ იმის დასტურია, თვითმარქვია პრეზიდენტს როგორ მიჰყავს ოსი ერი გადაგვარებისკენ, გარუსებისკენ.

განა ერის ცხოვრებისა და განვითარების იმაზე უკეთესი პირობები არსებობს, რაც ჩვენმა პრეზიდენტმა ევროსაბჭოში გაახმიანა?

ეს ოსების, როგორც ერის გადარჩენის, ერთადერთი და საბოლოო შანსია. თავად თუ ვერ ხვდება ეს რუსეთის რუპორი კოკოითი, ჩემს ოს ხალხს მაინც რას ერჩის? სამწუხაროდ, უბრალო ადამიანები კრიმინალების თარეშს ვერ ერევიან. მჯერა, დიდი დრო არ დარჩა, როცა მათ მოთმინების ფიალა აევსებათ, ხმას აღიმაღლებენ და, ბოლოს და ბოლოს, მოსპობენ ამ გაუგებრობას.

მე ვამაყობ, რომ ისეთი მიწა-წყლის შვილი ვარ, როგორიც საქართველოა. მე არ ვიცი, გახდება თუ არა მიხეილ სააკაშვილი ნობელის პრემიის ლაურეატი, მაგრამ ის, რომ უკვე წარდგენილია ამ პრემიაზე, ეს დიდი დაფასებაა.

ხმამაღალი სიტყვების თქმა არ მიყვარს, მაგრამ ვფიქრობ, დადგა დრო მხარში ამოვუდგეთ საქართველოს ყველა კუთხეში მცხოვრები ოსები ერთმანეთს. ჩვენი ერი გასაჭირშია, ხსნის გზა გაჩნდა, ახლა დაყოვნება აღარ შეიძლება.

**მარადი ანასაშვილი.**

# მიხეილ სააკაშვილი ევროპაში გამოვიდა

**სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე 26 იანვარს გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ევროპის სასახლის ტრიბუნიდან მან დამსწრეთ გააცნო სამხრეთ ოსეთში ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგების გეგმა, დაპირდა მეამბოხე ავტონომიას განსაკუთრებულ სტატუსს. ამავე დროს, საქმის ამჟამინდელი მდგომარეობისთვის პასუხისმგებლობა საქართველოს ლიდერმა რუსეთის ხელმძღვანელობას დააკისრა.**

ლებიც სააკაშვილს დახვდნენ, რუსეთის დეპუტაციის წარმომადგენლები არ ჩანდნენ. თავდაპირველად, ბატონები სააკაშვილი და იუშჩენკო ერთობლივ პრესკონფერენციასაც კი გეგმავდნენ, თუმცა, მოგვიანებით გადაიფიქრეს და თითოეული მათგანი როგორც იტყვიან, თავისი პროგრამით შეუდგა მუშაობას.

26 იანვარი საქართველოს ლიდერის დღე იყო. მან წარმოადგინა სამხრეთ ოსეთთან თბილისის ურთიერთობის მშვიდობიანი მოწეს-

**ლეონიდ ველეხოვი,**
**სტრასბურგი.**
**„კომერსანტი“. 27 იანვარი**

ნი კოკოითი, სხვათა შორის, იმ დროს მოსკოვში „აღმოჩნდა“. მას თავი არ შეუწუხებია რაიმე არგუმენტების მოყვანით და პირდაპირ განაცხადა, რომ თავისი სამშვიდობო ინიციატივებით საქართველოს პრეზიდენტი „მხოლოდ ვითარების გართულებას ცდილობს“.

რუსეთის წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მიხეილ სააკაშვილს სტრასბურგში შეკამათებოდნენ. საქართველოს პრეზიდენტმა მოსკოვი დაადანაშაულა სამხრეთ ოსეთში სეპარატიზმის წაქეზებასა და მთელი რიგი ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევაში. ძველ მაგალითებთან ერთად — სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისთვის რუსული პასპორტების დარიგება — მან ახალი ფაქტებიც მოიყვანა. კერძოდ, განაცხადა, რომ უშიშროების ფედერალური სამსახურის მორდვეთის სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელი დანიშნეს სამხრეთ ოსეთის უშიშროების მინისტრად, ციმბირის სამხედრო ოლქის სარდლის ყოფილი მოადგილე კი — თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობის მთავარ სამხედრო მრჩევლად. „ამის შემდეგ ჩვენ გვეუბნებიან: იქ ჩვენი მოქალაქეები ცხოვრობენ და ჩვენ გვაქვს უფლება დავიცვათ ისინი, გავგზავნოთ იქ ჯარები, ოფიციალური პირები, გვაქვს უფლება, პირდაპირ მივუთითოთ, თუ ვინ, როდის და როგორ უნდა აირჩიონ“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.



ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ამ სესიის მუშაობაში მონაწილეობდა ერთბაშად ორი სახელმწიფოს პირველი პირი. თანაც, ორივე პოსტსაბჭოური სივრცის ლიდერთა ახალი თაობის წარმომადგენელია. სამშაბათს ევროპის სასახლეში უსმენდნენ უკრაინის პრეზიდენტს ვიქტორ იუშჩენკოს, მომდევნო დღეს კი ესტაფეტა მიიღო მისმა ქართველმა კოლეგამ მიხეილ სააკაშვილმა.

სტრასბურგს ხავერდოვანი რევოლუციების ლიდერები ერთსა და იმავე დღეს ეწვივნენ, რათა გაეხსნათ ფოტოგამოფენა, რომლის ერთი ნაწილი ეძღვნება „ვარდების რევოლუციას“, მეორე კი — „ნარინჯისფერს“. აღსანიშნავია, რომ ევროპის სასახლეში პირველს ვიქტორ იუშჩენკოს ელოდებოდნენ, მაგრამ მისი თვითმფრინავი შეყოვნდა და პირველმა სასახლეს საქართველოს კორტეჟმა მიაშურა. არავინ ამას არ ელოდა, მუსიკოსებმა შეცდომით დაუკრეს უკრაინის ჰიმნი, რომლის თანხლებითაც ევროპის სასახლეში შევიდა საქართველოს პრეზიდენტი. იგი სულაც არ ჩანდა განაწყენებული ასეთი პოლიტიკური არაკორექტულობის გამო. იმ პირთა შორის, რომ-

რიგების ახალი გეგმა, შესთავაზა ავტონომიას განსაკუთრებული სტატუსი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის თქმით, უფრო მიმ-

**საქართველოს პრეზიდენტმა მოსკოვი დაადანაშაულა სამხრეთ ოსეთში სეპარატიზმის წაქეზებასა და მთელი რიგი ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევაში.**
**კიდევ უფრო კრიტიკული იყო სააკაშვილი, როცა შეაფასა რუსეთის ყოფნა აფხაზეთში**

ზიდველი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ის, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთს აქვს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. თითქოსდა, თვით სააკაშვილისთვისაც ცხადი იყო, რომ ეს გეგმა მისაღები იქნებოდა ალბათ, ყველასთვის, გარდა ორი მთავარი დაინტერესებული ძალისა — იგულისხმება სამხრეთ ოსეთის და რუსეთის ხელმძღვანელობა. სააკაშვილის ინიციატივები სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითისთვის იმთავითვე მიუღებელი იყო. ბატო-

კიდევ უფრო კრიტიკული იყო სააკაშვილი, როცა შეაფასა რუსეთის ყოფნა აფხაზეთში. მან აღნიშნა, რომ რუსეთი „ცდილობს საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ანექსიას“ და ასეთი მცდელობის უკან დგას ზოგიერთი ფედერალური თუ რეგიონული პოლიტიკოსის ანგარებიანი ინტერესები. კერძოდ, მან განაცხადა, რომ კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრე ტკაჩოვმა აფხაზეთში უკანონოდ შეისყიდა სახლი, რომელიც ეკუთვნოდა კონფლიქტის დროს მშობლიური კერიდან აყრილ ქართულ ოჯახს.

ევროპის სასახლეში რუსეთის დელეგაციამ არ უარყო ეს ინფორმაცია. და უნდა ითქვას, რომ იგი, საერთოდ, ძალზე პასიურად რეაგირებდა ბატონ სააკაშვილის ბრალდებაზე, მაშინ, როცა დანარჩენი ევროპა ტაშით შეხვდა საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას.

## „ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ თბილისის ინიციატივები უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ცხინვალთან ერთად შეემუშავებინათ“

**ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ თბილისის ახალი ინიციატივები, რომლებიც სტრასბურგში გამოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, უპრიანი იქნებოდა თავდაპირველად შეემუშავებინათ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მოწესრიგების არსებული მექანიზმების ფარგლებში, მიაჩნიათ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.**

„თუ გავითვალისწინებთ სამხრეთ ოსეთში არსებულ დაძაბულობას, სადაც ვითარება მკვეთრად გამწვავდა შარშან, როცა თბილისმა სცადა პრობლემის გადაჭრა ძალისმიერი მეთოდებით, უფრო ეფექტიანი და სწორი იქნებოდა, თუ ასეთ შორსგამიზნულ წინადადებებს შეიმუშავებდნენ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ვითარების მოწესრიგების არსებული მექანიზმების ფარგლებში“, — ხაზგასმულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და პრესის დეპარტამენტის კომენტარში, რომელიც ხუთშაბათს გაავრცელა „ინტერფაქსმა“.

## რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებულია აფხაზეთის მისამართით საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადების გამო

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოთქვამს შეშფოთებას აფხაზეთის მისამართით საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადების გამო, რომელმაც სოხუმი დაადანაშაულა იმაში, თითქოს მან შეწყვიტა მოლაპარაკება.

„საქართველოს მხარისთვის კარგად არის ცნობილი, თუ რამ გამოიწვია ის, რომ მოლაპარაკების პროცესში აფხაზეთის მხარემ აიღო ხანმოკლე პაუზა. მისთვის ცნობილია ისიც, რომ აფხაზეთის წარმომადგენლებმა ამ ცოტა ხნის წინ გამოთქვეს მზადყოფნა, დაბრუნებოდნენ მოლაპარაკების მაგიდას საერთაშორისო შუამავლების მონაწილეობით“, — ხაზგასმულია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## კრასნოდარის მხარის გუბერნატორი: მე აფხაზეთში სახლი არა მაქვს

კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრე ტკაჩოვმა კატეგორიულად უარყო საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, თითქოს მხარის გუბერნატორს შეესყიდოს აფხაზეთში სახლი, რომელიც წინათ ქართულ ოჯახს ეკუთვნოდა. ეს „რია „ნოვოსტის“ აცნობეს კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციის პრესსამსახურში.



ტკაჩოვმა საქართველოს მეთაურის ასეთ გამონათქვამს „უხეში პროვოკაცია“ უწოდა.

„აფხაზეთში არანაირი სახლი ამ მაქვს და არც არასდროს არ მქონია. თუ იგი (სააკაშვილი) იპოვის ჩემი ეგრეთ წოდებული სახლის გასაღებს, შეუძლია ეს სახლი თავისად ჩათვალოს“, — აღნიშნა ტკაჩოვმა.

ამავე დროს, გუბერნატორმა დასძინა: „თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ვერწმუნებით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე ბატონი სააკაშვილი ყველას სთავაზობდა შეესყიდა ზღვისპირას რაც სურდათ — ზვრები იქნება ეს, თუ სახლები. ასეთ შემთხვევაში, ჩვენც მზად ვართ განვიხილოთ საქართველოს პრეზიდენტის მსგავსი წინადადება, თუ იგი მოგვმართავს ჩვენ, კრასნოდარის მხარეს“.

⊙ ინფორმაცია

### გიორგი ხაინდრავა უარყოფს



საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა კატეგორიულად უარყოფს სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის განცხადებას მასსა და თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს შორის და საერთოდ საქართველოს ხელისუფლებაში სერიოზული დაპირისპირების არსებობის შესახებ.

„საქართველოს მთავრობა ერთიანი გუნდია. თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, ეს მისი პრობლემაა. შესაძლოა, კოკოითს ძალიან დიდი სურვილი აქვს, საქართველოს მთავრობაში დაპირისპირება იყოს, მაგრამ საქართველოს მთავრობა ისეთი ადამიანებით არ არის დაკომპლექტებული, რომლებიც კოკოითის ამგვარ ძველ მეთოდებს ჭამენ“, — განაცხადა დღეს გიორგი ხაინდრავამ კოკოითის გუშინდელი განცხადების კომენტირებისას.

### „საქართველოს ლეიბორისტთა ეროვნული კავშირი“

„საქართველოს ლეიბორისტთა ეროვნული კავშირი“ ამერიკელი სენატორების მიერ უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტების ნობელის პრემიაზე წარდგენას მიესალმება.

როგორც „ინტერ-პრესს“ კავშირის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა კახა ლორიამ განუცხადა, მიუხედავად იმისა, რომ პარტია თავს მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ ოპონენტად მიიჩნევს, ის პარტიულ შეხედულებებზე მაღლა ეროვნულ ინტერესებს აყენებს.

„პრეზიდენტებისთვის ასეთი პრესტიჟული პრემიის მინიჭება ხაზს გაუსვამს ქართველი და უკრაინელი ხალხის უნიკალურ როლს მსოფლიოსა და კავკასის რეგიონში დემოკრატიისა და პოლიტიკური რეფორმების საქმეში, ასევე სასიკეთოდ წაადგება ჩვენი ქვეყნების ინტეგრირებას ევროატლანტიკურ სივრცეში“,—განაცხადა შალვა ნათელაშვილის ყოფილმა თანაპარტიელმა.

### შარშან რუსეთიდან 11 შუამდგომლობა შემოვიდა

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, გასულ წელს რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურიდან პატიმართა ექსტრადიციის 11 შუამდგომლობა შემოვიდა.

როგორც „ინტერ-პრესს“ სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტში განუცხადეს, აღნიშნული შუამდგომლობებიდან დაკმაყოფილდა რვა, აქედან ერთი გადაწყვეტილება დაკავებულის რუსეთისთვის გადაცემის შესახებ გასაჩივრებულია ქალაქ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში.

დღეის მონაცემებით, რუსეთის ფედერაციაში ეტაპირებულია ექვსი პირი, სხვადასხვა მიზეზით სასამართლოებმა უარი განაცხადეს რუსეთისთვის სამი პატიმრის გადაცემაზე.

შარშან რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურაში საქართველოს მხრიდან ექსტრადიციის შესახებ 96 შუამდგომლობა გაიგზავნა, რომელთაგან დაკმაყოფილდა 19. საქართველოში ეტაპირებულია 13 პირი. სხვადასხვა მიზეზით საქართველოს უარი ეთქვა 44 პირის გადმოცემაზე, განხილვის სტადიაშია ექსტრადიციის შესახებ 33 შუამდგომლობა.

### ჭუბურხინჯის შეხვედრაზე

ჭუბურხინჯის მორიგ ოთხმხრივ შეხვედრაზე აფხაზურმა მხარემ ქართულს პრეტენზიები წაუყენა ენგურის პირობით საზღვართან ქართველი შეიარაღებული პირების განლაგებასთან დაკავშირებით. როგორც გალის აფხაზური ადმინისტრაციის მერმა ვალერი ლომიამ განაცხადა, ეს საკითხი შესწავლას საჭიროებს, რის შემდეგაც აფხაზური მხარე თავის პრეტენზიებს უმაღლეს დონეზეც დაადასტურებს.

როგორც შეხვედრაზე ქართული მხარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, აღნიშნულ ტერიტორიაზე განლაგებულია შინაგანი ჯარისა და პოლიციის ნაწილები. თუმცა აფხაზური მხარე აცხადებს, რომ საქართველოში ძალოვანი სტრუქტურების „ფრიად საინტერესო შერწყმა მიმდინარეობს“ და მას ეჭვი აქვს, რომ ენგურის ზოლზე არა პოლიციელები, არამედ თავდაცვის სამინისტროს ძალები არიან განლაგებულნი, რაც არღვევს 1994 წლის მოსკოვის შეთანხმებას ძალთა დაშორიშორების შესახებ.

როგორც ვალერი ლომიამ განაცხადა, ინფორმაცია ენგურის ზოლის გასწვრივ თავდაცვის სამინისტროს ბატალიონების განლაგების შესახებ როგორც ქართულ, ისე რუსულ ინტერნეტსაიტებზე გამოქვეყნდა. თუმცა კონფლიქტის ზონაში მოქმედი ქართველი სამშვიდობო დამკვირვებლების მეთაურმა ვალერი ჯაფარიძემ ეს ინფორმაცია არ დაადასტურა. მისი განცხადებით, იქ მხოლოდ შინაგანი ჯარი ან პოლიცია დგას, რომელსაც უფლება აქვს, იქ იდგეს და დაიცვას ქართველი მოსახლეობის უსაფრთხოება.

გუშინვე მხარეებმა გასული კვირის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარების შესახებ იმსჯელეს.

### „თავისუფლების ინსტიტუტი“ აპროტესტებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტი“ საკონსტიტუციო სასამართლოს ქუთაისში გადატანის გადაწყვეტილებას აპროტესტებს.

„თავისუფლების ინსტიტუტი“ ვარაუდობს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების განხორციელება ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციების მოშლას და კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმების სრულ რღვევას გამოიწვევს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრები დღეს ორგანიზაციის ოფისში სპეციალურ პრესკონფერენციას გამართავენ.

**ინტერ-პრესი.**

მხარე

# თუ ფალსიფიკაცია მოისპობა, ჩვენს ყურძენზე ტაციობა იქნება

**განვლილი ერთი წელი კახეთისათვის ფრიად რთული და შრომატევადი გახლდათ. ბევრი რამ გაკეთდა. ბევრსაც 2005 წლის მანძილზე გვპირდებიან ადგილობრივი ხელისუფლების თავკაცები. კონკრეტულად, თუ რა ძვრები განხორციელდა და რა არის მოსალოდნელი, ეკონომიკური თვალსაზრისით, ამ საკითხებზე გვესაუბრება კახეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის დარგში თემურ ლამაზოშვილი.**

***— ბატონო თემურ, თუ შეიძლება გვიამბეთ, რა გაკეთდა განვლილი ერთი წლის მანძილზე კახეთის მხარეში და ხართ თუ არა კმაყოფილი მიღწეულით?***

— კითხვაზე თუ რა გაკეთდა, ჩემგან ერთმნიშვნელოვანი პასუხი ვერ იქნება. ჯერ იქმნება მხოლოდ ეკონომიკის საძირკველი. საზოგადოებისთვის თვალშისაცემი „ნაგებობა“ უცბად ვერ გამოჩნდება. მთავარია, დადებითი პროცესები ეკონომიკაში უკვე დაწყებულია და მის შემდგომ აღმავლობას, ვფიქრობ, ახალი საგადასახადო კოდექსი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

კახეთში 2004 წლის ბიუჯეტის გეგმა შესრულებულია 118.3 პროცენტით, ზრდა შესაბამის პერიოდთან მიღწეულია დაახლოებით 40 პროცენტით. კახეთის საბიუჯეტო შემოსავლები ერთი წლის მანძილზე გაზრდილია 7 მილიონი ლარით. თითქმის მთლიანად დაიფარა გასული ხუთი წლის განმავლობაში დაგროვილი სახელფასო დავალიანებები, რომელიც 7 მილიონ ლარზე მეტს შეადგენდა, საიდანაც პედაგოგთა დავალიანება იყო 3,5 მილიონი ლარი. მხოლოდ კახეთში დაგროვილი საპენსიო დავალიანება შეადგენდა 20 მილიონ ლარზე მეტს. ნაწილის დაფარვაც მოვახერხეთ 2004 წელს. 2005 წელში მოხდება მათი სრული დაფარვა. ამხელა დავალიანებების არსებობის გამო ჯერჯერობით ვერ შევძელით ხელფასების სერიოზული გაზრდა, თუმცა მალე ამ კუთხით მნიშვნელოვანი მატება იქნება.

კახეთის მხარეს ხელმძღვანელობს ახალგაზრდების გუნდი ბატონი პეტრე ცისკარიშვილის მეთაურობით, რომელსაც ნამდვილად ჭარბად აქვს ახალგაზრდული ენერგია და იგი მიმართულია აღმშენებლობაზე. ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის და სინამდვილეს შეეფერება, მოკლედ მოგახსენებთ ამ ბოლო პერიოდში გაკეთებული საქმეების ჩამონათვალს: შარშანდელი მაისიდან მთლიანად კახეთში ყოველ ახალშობილზე ხდება 50-ლარიანი დახმარების გაცემა, რომელმაც დაახლოებით 100 000 ლარი შეადგინა: სტიქიით დაზარალებული გურჯაანისა და ყვარლის რაიონების მოსახლეობისათვის 1200 ოჯახზე უფასოდ გაცემულია 60 ტონა ამონიუმის გვარჯილა; მწვანე საფარის გასაუმჯობესებლად შეძენილია და დაირგა 3000 ძირი 3-წლიანი წაბლის და მუხის ნარგავები ყვარლის, თელავის და ახმეტის რაიონებში; გაკეთდა ჭაბურღილები მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გასაუმჯობესებლად დედოფლისწყაროსა და თელავის რაიონებში. ათობით მაღლივ კორპუსში, სადაც ცუდი ამინდისას გაწამებული იყო მოსახლეობა, გაკეთდა ახალი გადახურვები თელავის, საგარეჯოს და გურჯაანის რაიონებში. „ხადორჰესის“ გაშვებამ საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა ელენერგიის მიწოდება მოსახლეობისთვის მთლიანად კახეთის რეგიონში; მიმდინარეობს საავტომობილო გზების შეკეთება, აღდგა შუქნიშნები, ხიდები, გასამმაგდა უპოვართა სასადილოების დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტებიდან. რეგიონის ოცამდე სკოლა კაპიტალურად შეკეთდა. ათობით სკოლას გადავეცით კომპიუტერები, გასამმაგდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დაფინანსება და სხვა.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, ერთმნიშვნელოვნად ძნელია იმის თქმა, რომ მიღწეულით კმაყოფილი ვართ. შემიძლია ვთქვა, რომ კმაყოფილი ვარ იმ პროცესებით, რომელიც დაიწყო და სწორად წარმართვის შემთხვევაში ჩვენს მხარესაც და მთლიანად ქვეყანასაც ნამდვილად დიდი პერსპექტივები აქვს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ჩემი ქვეყნისა და ჩემი ხალხის ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის ჩემეული ხედვა.

***— რთველის დროს კახეთის მევენახეებს ღვინის მრეწველებთან ურთიერთობის საკითხებში ყურძნის მიღებასთან დაკავშირებით სერიოზული თავსატეხი შეექმნათ. რამ განაპირობა ეს და რას აპირებთ სამომავლოდ უკვე ცნობილი პრობლემების აღმოსაფხვრელად?***

— აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, მევენახეებს ნამდვილად წარმოეშვათ პრობლემები დაბალხარისხიანი ყურძნის რეალიზაციასთან დაკავშირებით (კიდევ გავუსვამ ხაზს, დაბალხარისხიანი ყურძნის), თორემ მაღალხარისხიან ყურძენზე „ჯი-ვი-ეს“-ს და თელავის ღვინის მარანს, პირიქით, ერთმანეთთან კონკურენცია ჰქონდათ გამართული.

მოგეხსენებათ, ქართველ ღვინის მწარმოებლებს მსოფლიო ბაზარზე გარკვეული სეგმენტი აქვთ მოპოვებული, მაგრამ მისი გაზრდა არსებული უდიდესი კონკურენციის გამო მეტად გაძნელებულია. ამიტომ ნებისმიერ წელს, როდესაც ყურძნის დიდი მოსავალი იქნება მოწეული, მევენახეებს შესაძლოა გარკვეული პრობლემები შეექმნათ მის რეალიზაციასთან დაკავშირებით, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა ღვინის მწარმოებელ კომპანიას აქვს საკმაოდ დიდი ახალგაშენებული ვენახიანი ფართობები. ისინი თანდათანობით შედის მსხმოიარობაში და, ცხადია, მრეწველები მხოლოდ საკუთარი ყურძნის მოკრეფის შემდეგ მარაგს შეავსებენ გლეხობიდან შეძენილი ყურძნით.

როგორც უკვე აღვნიშნე, უდიდესი კონკურენციის გამო მსოფლიო ბაზარზე ქართველი ღვინის მრეწველები ვერ ახერხებენ საკუთარი მოპოვებული სეგმენტის მნიშვნელოვან ზრდას. რჩება ერთი გამოსავალი — შიდა ბაზარი, რომელიც აბსოლუტურად დაუცველია და აქ რეალიზებული ღვინის 95 პროცენტი ფალსიფიცირებულია. სწორედ აქ უნდა თქვას სახელმწიფომ თავისი სიტყვა. ფალსიფიკაციის დონის მინიმუმამდე დაყვანა — აი, ჩვენი მთავარი მიზანი. თუ ჩვენ შევძელით ფალსიფიკაციის აღმოფხვრა, დამერწმუნეთ, ჩვენთან მოწეულ ყურძენს რეალიზაციის პრობლემა საერთოდ აღარ ექნება. ყურძნის ის მოცულობა, რაც საქართველოში მოდის (დაახლოებით 150.000 ტონა), შიდა მომხმარებლის მოთხოვნას ღვინოზე ძნელად თუ დააკმაყოფილებს.

ფალსიფიკაციასთან ბრძოლის მიმართულებით კახეთის სამხარეო ადმინისტრაციას სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად სერიოზული ღონისძიებები ჰქონდა დაგეგმილი, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროში მომხდარმა საკადრო ცვლილებებმა დროებით შეაფერხა. იმედი გვაქვს, ჩვენ ამ ღონისძიებებს უახლოეს ხანში განვახორციელებთ.

ფალსიფიკაციასთან ბრძოლის გარდა მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილი არ ვზივართ, შევიმუშავეთ პროგრამა, რომლის მიზანია მევენახე გლეხების მაქსიმალური დამოუკიდებლობა ღვინის მრეწველი კომპანიებიდან. ეს გულისხმობს მევენახე გლეხებისათვის უცხოური გადამმუშავებელი მინი-ქარხნების შემოტანას, რაც გარკვეული სტიმული უნდა გახდეს გლეხური ღვინის პოპულარიზაციისა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. ეს საკითხი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ხელშეწყობით ფაქტობრივად გადაწყვეტილია და თებერვლის ბოლომდე პირველი პილოტ-პროექტი განხორციელდება.





***— თქვენი აზრით „ვარდების რევოლუციიდან“ ერთი წლის თავზე არის თუ არა დაძლეული პროგრამა-მინიმუმი და რას ელით 2005 წლისგან კახეთის სასარგებლოდ?***

— რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლებისგან, მით უმეტეს, როდესაც რევოლუციას ხალხის უდიდესი მხარდაჭერა ახლავს, საზოგადოება ძალიან ბევრს მოელის. ასეთ შემთხვევაში ზოგადად მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, ხშირად ვაწყდებით გარკვეულ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას. ერთი რამ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა: პროგრესი აშკარაა და ვისაც ამის სურვილი აქვს, დაინახავს კიდეც. გასაკეთებელი ძალიან ბევრია. ქვეყანამ მთლიანად და, მათ შორის კახეთმა, ათ წელზე მეტი დაკარგა ფუჭად, ხელშესახები არაფერი შექმნილა. გულწრფელად გეუბნებით, მე არ ვიცი სფერო, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ ფუნდამენტის მსგავსი რამ მაინც იყოს შექმნილი.

მას შემდეგ, რაც დაიწყო ბიუჯეტის ყოველთვიური რეალური შესრულება, ნგრევითი პროცესების შეჩერება, ხელფასების და პენსიების მცირედით, მაგრამ მაინც ზრდა, ძველი დავალიანებების დაფარვა და სხვა, შეიძლება იმის თქმა, რომ პროგრამა-მინიმუმი შესრულებულია. 2005 წლისგან ველი კახეთის ბიუჯეტის კიდევ უფრო ზრდას, ინვესტიციების მოზიდვას, სამუშაო ადგილების შექმნას, გლეხობის ეკონომიკურ გაძლიერებას და სხვა.

***— ბატონო თემურ, რა პერსპექტივა აქვს კახეთს უცხოური ინვესტიციების და კრედიტების მოსაზიდად და როდის და რა სახით შეიძლება მათი განხორციელება საზოგადოების სასარგებლოდ?***

— მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო-საგადასახადო ბაზა ჩვენს ქვეყანაში თანდათან უმჯობესდება. გარკვეული ინვესტიციები კახეთის ეკონომიკაში უკვე ჩაიდო და მათი მოზიდვა ამჯერადაც გრძელდება კახეთისთვის მთავარ და ყველაზე დამახასიათებელ დარგში — ღვინის მრეწველობაში. აშენდა და გადაიარაღდა ათობით ქარხანა, რომელშიც დამონტაჟდა თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზები. აქ ჩაიდო როგორც ქართული, ისე უცხოური კაპიტალი. უნდა ითქვას, რომ კაპიტალის ჩადება ხდება არა იმის გამო, რომ სახელმწიფოს მიმზიდველი საინვესტიციო გარემო აქვს შექმნილი, არამედ იმიტომ, რომ დარგი მომგებიანი და მაღალრენტაბელურია.

კახეთში გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარებას (იგულისხმება სხვადასხვა ხილი და კენკროვანები) უდიდესი პერსპექტივები აქვს.

კახეთში ასევე დიდი პერსპექტივებია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. აქ უდიდესი კაპდაბანდებებია მოსაზიდი და ისინი განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება მიმზიდველი საინვესტიციო გარემო.

გამოჩნდნენ პირველი დაინტერესებული ინვესტორებიც. 2004 წლის ბოლოს გაკოტრების გზით მოხდა თელავის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის (იგი 14 წლის განმავლობაში იყო გაჩერებული) გადაცემა გერმანელ ინვესტორზე. საწყის ეტაპზე 2005-2006 წლების განმავლობაში იგი მოახდენს 2 მილიონი დოლარის ინვესტირებას, რომელიც შემდგომ პერიოდში გაიზრდება 6,2 მილიონ დოლარამდე. დასაქმდება 120 ადამიანზე მეტი. იმედი გვაქვს პირველ მერცხალს გამოუჩნდება სხვა მიმდევრებიც შესაბამისი დადებითი შედეგებით.

კახეთმა ე. წ. ათასწლეულის ანუ „მილენიუმის“ პროგრამაზე წარადგინა 6 სერიოზული პროექტი. ვფიქრობთ აქედან მოხდება ორი პროექტის დაფინანსება მაინც, რაც მინიმუმ 20 მილიონი დოლარის ინვესტირებას გულისხმობს. ვნახოთ. ჩვენ ბევრი შევძელით, მაგრამ უფრო ბევრი უნდა გავაკეთოთ.

ესაუბრა
**ზაზა გურგენიძე,**
**„სრ“ კორ.**

გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— რამდენადაც ჩვენთვის იყო ცნობილი, 2005 წლის 1 იანვრიდან ძალაში უნდა შესულიყო კანონი სადაზღვევო პენსიების შესახებ, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფო პენსიის გამოანგარიშება უნდა მომხდარიყო შრომის სტაჟისა და ხელფასის გათვალისწინებით.**

**გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით განგვიმარტოთ მოქმედებს თუ არა დღეისთვის პენსიის გამოანგარიშების ზემოაღნიშნული წესი?**
**მერი ნორაკიძე.**

— საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით სადაზღვევო პენსიების შესახებ კანონის ამოქმედება გადატანილია 2006 წლის 1 იანვრისთვის.

* * *

**— მარტოხელობისთვის დანიშნული მქონდა სახელმწიფო დახმარება ქუთაისში, რასაც ორი წლის მანძილზე ვღებულობდი. 2000 წლის თებერვალში საცხოვრებლად გადმოვედი ზესტაფონში და გადმოვიტანე დახმარების მისაღებად საჭირო საბუთები. იმ დროისთვის ზესტაფონში დახმარების გაცემა შეჩერებული იყო. ახლა გასულ პერიოდში მიუღებელი დახმარებები გაიცა, მე კი დამაკლეს 5 თვის თანხა.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, ასე რატომ დამსაჯეს?**
**სულიკო ნიჟნიაძე,**
**ზესტაფონის რაიონი,**
**სოფ. წევა.**

— თქვენი შეკითხვიდან გაურკვეველია: — თუ იგივე პერიოდის დახმარება, რომელიც თქვენ მიუღებელი გქონდათ, ზესტაფონის რაიონში მცხოვრებ დანარჩენ მარტოხელებზე გაიცა, რატომ არ მოგეცათ იგი თქვენ.

საკითხი მოითხოვს დამატებით შესწავლას. აღნიშნულის გასარკვევად გირჩევთ მიმართოთ ზესტაფონის რაიონის გამგეობას, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის სოციალური დახმარების განყოფილება და მიიღებთ პასუხს თქვენთვის საინტერესო საკითხზე.

თუ მათი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩებით, უფრო კონკრეტული განცხადებით (სადაც აღნიშნული იქნება დახმარების გაცემაზე უარის თქმის მოტივი) ისევ ჩვენ მოგვმართეთ და გჯეროდეთ, კანონიერი შესაძლებლობის ფარგლებში, აუცილებლად დაგეხმარებით.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ:**
**93-16-90; 93-28-54.**

საკონსტიტუციო ცვლილებები

# ზედმეტი დეპუტატები და გამოუცდელი მოსამართლეე-ბი

**საზოგადოებისთვის საინტერესო და მღელვარე საკითხები, პარლამენტმა საშემოდგომო სესიაზე განიხილა (აღარაფერს ვამბობ ძირითადიდან გამომდინარე კანონპროექტებზე, რაც თვით დეპუტატებისთვისაც არ იყო ძალზე საინტერესო და ზუსტად იმდენ წუთში იღებდნენ, რამდენიც ხმის მიცემას სჭირდებოდა, ამდენად, ბევრისგან გამიგია, საგაზაფხულო სესია მოსაწყენი იქნებაო. თუმცა, ეს ჩვენი ხასიათის ერთი შტრიხია, თორემ სხვა, განვითარებულ და დალაგებულ ქვეყანაში ფართო საზოგადოება ნაკლებად ინტერესდება საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის ყველა დეტალით. ასეა თუ ისე, უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე დადგება საკითხი, რომელიც ყველას თანაბრად აღელვებს. მოსახლეობა ერთსულოვნად უჭერს მხარს დეპუტატთა რაოდენობის 150-მდე შემცირებას. ეს ადრინდელმა რეფერენდუმმაც დაადასტურა. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელიც, ჯერჯერობით, საბოლოოდ ჩამოყალიბებული და დახვეწილი არ არის, მომავალი პარლამენტის შემადგენლობას 150 წევრით განსაზღვრავს და სასამართლო ხელისუფლების რეფორმასაც ითვალისწინებს. ცვლილებების დეტალებში გასარკვევად საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან ლალი ფაფიაშვილთან საუბარს გთავაზობთ.**



**— ყველანი ვაღიარებთ, რომ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, თანაც, მცირებიუჯეტიანისთვის, როგორიც საქართველოა, 235 დეპუტატი ძალზე ბევრია. მიზანი უფრო მობილური, ეფექტიანი და ნაკლებხარჯიანი პარლამენტის შექმნაა, მაგრამ ამ შემცირებამ საქმიანობის ხარისხი არ უნდა გააუარესოს. საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტში, ჯერჯერობით, არ არის დაზუსტებული, პარლამენტის 150 წევრიდან რამდენი იქნება მაჟორიტარი და რამდენი — პროპორციული სიით არჩეული. ცხადია, შემცირება ორივე სისტემით არჩეულ დეპუტატებს შეეხება. დღეს საქართველოს ყოველ რაიონს თითო მაჟორიტარი ჰყავს. 150-კაციანი პარლამენტის შემთხვევაში ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნება. სავარაუდოდ, რამდნიმე რაიონს ერთი წარმომადგენელი ეყოლება, მაგრამ სიფრთხილე გვმართებს. რაიონები ისე არ უნდა „გამსხვილდეს“, რომ მაჟორიტარმა მათი პრობლემების წამოწევა და მთავრობის ყურამდე მიტანა ვერ შეძლოს.**

სასხვათაშორისოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ მაჟორიტარ დეპუტატთა უმრავლესობა დღესაც არ გამოირჩევა განსაკუთრებული აქტიურობით.

ზოგიერთის აზრით, საქართველოსთვის 150 პარლამენტარიც ბევრია. მაგალითად, დათო ზურაბიშვილი ფიქრობს, რომ ასიც საკმარისია. თანაც, ასეთ შემთხვევაში მაჟორიტართა საკითხიც იოლად გადაწყდებოდა — თითო მხარიდან ორ-ორ ადამიანს აირჩევდნენ. საკანონმდებლო ორგანოში, დაახლოებით, ოცდაათი მაჟორიტარი იქნებოდა, სამოცდაათ წევრს კი პროპორციული წესით აირჩევდნენ. ლალი ფაფიაშვილიც ეთანხმება მოსაზრებას, რომ სჯობს ნაკლები რაოდენობა და მეტი ხარისხი, თუმცა, 150-მდე შემცირებაც კი, ცხადია, უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ოპოზიციის წარმომადგენლები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ კანონპროექტში მითითებული არ არის პარლამენტის უფლებამოსილების ვადა. მართალია, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ირწმუნებიან, რომ ეს, უბრალოდ, გამორჩენილია და შესწორდება, მაგრამ ოპოზიციონერებს არ სჯერათ. მათი თქმით, კანონპროექტის ავტორებმა განგებ არ მიუთითეს უფლებამოსილების ვადა, რათა შემდგომში დეპუტატებმა სურვილისამებრ გაიხანგრძლივონ პარლამენტში ყოფნის ვადა. ჩემი თანამოსაუბრე ღიმილით ხვდება ამ განცხადებას. იგი დარწმუნებულია, — დღევანდელი პარლამენტი ის ორგანოა, რომელიც მუდმივ ცვლილებებს უჭერს მხარს. პარალელურად, განიხილება ასეთი მოსაზრებაც: ოთხ წელიწადში ერთხელ კი არ იცვლებოდეს პარლამენტი მთლიანად, არამედ როტაცია იყოს.

**— ეს ახალი იდეაა. არსებობის უფლება ნებისმიერ აზრს აქვს, მაგრამ ვერ გეტყვით, რამდენად მიზანშეწონილი იქნება როტაცია საქართველოში — ვთქვათ, ერთი მესამედი ერთხელ აირჩეს, ორი მესამედი სხვა დროს. მუშაობის პროცესში ყველაფერი დაკონკრეტდება და დაიხვეწება. ხაზი უნდა გავუსვათ ერთ მომენტს — მითითებულია, რომ საარჩევნო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანამდე ეს კანონპროექტი არ ამოქმედდება. ამდენად, ეს დროულად უნდა მოხდეს და არა არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, როცა საარჩევნო კამპანიისთვის სრულყოფილი მომზადების საშუალება აღარ დარჩება.**

**რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლების რეფორმას, აქ რამდენიმე ეტაპია გათვალისწინებული.**

**— უფლებამოსილებას ვადაზე ადრე უწყვეტენ საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების წევრებს. ალტერნატივის სახით არსებობს მოსაზრება, რომ მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის ნაცვლად საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა რაოდენობა გაიზარდოს. ეს, ალბათ, უფრო სწორი და მისაღებია იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივ სახელმწიფოზე, სასამართლო ხელისუფლების ხელშეუხებლობაზე ვლაპარაკობთ. საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტის თანახმად, დაბლა იწევა მოსამართლეთა ასაკობრივი ცენზი. აქვე თავს იჩენს ერთი პრობლემა — ამოღებულია სპეციალობით მუშაობის 5 წლის სტაჟი, რაც ადრე აუცილებელი იყო. ამას იმით ხსნიან, რომ შესაძლო კანდიდატთა წრის შეზღუდვა არ სურთ. ჩემთვის მიუღებელია, მოსამართლედ დაინიშნოს პირი, რომელსაც, შეიძლება, არც უმუშავია იურისტად. ხუთი წლის განმავლობაში სპეციალობით დაუსაქმებლობა, ფაქტობრივად, დისკვალიფიკაციაა.**

ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა გვიმტკიცებს, რომ მთავარია არა გამოცდილება, არამედ ახალგაზრდობა, ცოდნა და მონდომება. თუმცა, მოსამართლეობა იმდენად სპეციფიკურია, სათანადო გამოცდილება, ალბათ, მაინც აუცილებელია.

ასაკობრივი ზღვარისა და მოსამართლეთა რაოდენობის შემცირების გარდა სხვა ცვლილებებიც განხორციელდება. საკონსტიტუციო სასამართლოების უფლებამოსილება, ერთი მხრივ, იზღუდება, მეორე მხრივ — ფართოვდება.

**— საკონსტიტუციო სასამართლოს ადრე ჰქონდა არჩევნების არა მარტო დანიშვნა-არდანიშვნის საკითხის კონსტიტუციურობის, არამედ მისი ჩატარების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვის შესაძლებლობაც. წარმოდგენილი კანონპროექტით, უფლებამოსილების ეს ნაწილი მას ჩამოერთმევა. თუ ადრე საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის განხილვის შესაძლებლობა ჰქონდა, დღეს ასეთი ნორმატიული აქტების ჩამონათვალი შეზღუდულია.**

კანონროექტი არ ითვალისწინებს, ვისზე გადადის ეს უფლებები, მაგრამ, ლალი ფაფიაშვილის თქმით, ალბათ, უზენაესი სასამართლო დაარეგულირებს. თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობა ეძლევა, უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები გადასინჯოს კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებაში. საამისოდ მიმართვის უფლება მიენიჭებათ არა მხოლოდ დეპუტატთა ერთ მეხუთედს ან სახალხო დამცველს, არამედ რიგით მოქალაქეებსაც. ჩემი რესპონდენტის თქმით, ეს საკითხიც დასახვეწია.

კანონპროექტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს პრეზიდენტი დაასახელებს (ადრე ამის შესაძლებლობა ჰქონდათ პარლამენტსაც და უზენაეს სასამართლოსაც), პარლამენტი კი დაამტკიცებს.

**— კარგი იქნება თუ ჩაიწერება, რომ თითო კანდიდატურა კი არ იყოს წამოყენებული, არამედ, სულ ცოტა, სამი, რათა პარლამენტს არჩევანის საშუალება ჰქონდეს. თქვენ მეკითხებით, რატომ შეეზღუდა პარლამენტს ეს უფლება და რატომ მიენიჭა მხოლოდ პრეზიდენტს. ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები ჩნდება, მაგრამ, არა მგონია, ამით პარლამენტის როლი შესუსტდეს — ის ხომ ამტკიცებს?! სიმართლე გითხრათ, აქ საბედისწეროს ვერაფერს ვხედავ — თუ პარლამენტი წინააღმდეგობის გაწევას მოინდომებს, შეძლებს კიდეც.**

ვინმემ შეიძლება თქვას, ეს წინააღმდეგობა ნომინალური იქნება, პრეზიდენტისგან შემოსულ წინადადებასა და კანონპროექტებს პარლამენტი ავტომატურ რეჟიმში დაამტკიცებსო. თუმცა, საპასუხოდ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, ალბათ, ფინანსური ამნისტიის კანონს, საგადასახადო კოდექსსა და ერთ-ორ სხვა კანონპროექტს მოიშველიებენ მაგალითებად.

საინტერესოა, არის თუ არა ეს ის რეფორმა, რომელიც რადიკალურად შეცვლის სასამართლო ხელისუფლებაში დღეს არსებულ ვითარებას?

**— ეს არის წინაპირობა. ვიწყებთ ზედა რგოლიდან და, დარწმუნებული ვარ, თანდათან ქვედა საფეხურებიც დაიხვეწება. დღეს უკვე ვლაპარაკობთ იმაზეც, რომ აუცილებელია რაიონულ სასამართლოთა მოსამართლეების ვიწრო სპეციალიზაცია.**

არსებობს ცნობილი და უდავო გამონათქვამი — წყალი ყოველთვის სათავიდან იმღვრევა. გადადგება უზენაესი სასამართლო სრული შემადგენლობით, აირჩევა ხელახლა, დაიხვეწება ყველა საკამათო საკითხი... ერთი სიტყვით, ამბობენ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. რაც შეეხება 235 დეპუტატს, ცნობისთვის დავამატებ — რუსეთმა მოსახლეობისა და პარლამენტარების რაოდენობის ჩვენეული პროპორცია რომ გაითვალისწინოს, სახელმწიფო დუმაში 7.000 დეპუტატი უნდა ჰყავდეს.

**რუსუდან გახარია.**

ინფორმაცია

### სალომე ზურაბიშვილმა და გეორგ იაკოუსმა ხელი მოაწერეს

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა და საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გეორგ იაკოუსმა გუშინ თბილისში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის განათლების, მეცნიერების და კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.**

**იაკოუსის განცხადებით, მას საკმაოდ ახლო და დიდი ხნის ურთიერთობები აქვს საქართველოსთან და ყველანაირად ეცდება, ხელი შეუწყოს საქართველოს სურვილის განხორციელებას, ევროკავშირში გაწევრდეს.**

**თავის მხრივ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ კვიპროსის გამოცდილება დიდად წაადგება საქართველოს ევროკავშირში გაწევრების გზაზე.**



**როგორც ცნობილია, კვიპროსი ევროკავშირის წევრი გასულ წელს გახდა.**

### შეხვედრა ჰაიკი ტალვიტიესთან

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი გუშინ სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს ჰაიკი ტალვიტიეს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს სტრასბურგში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გახმოვანებული ახალი სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებას ეხება.**

**ევროკავშირის წარმომადგენელმა ქართულ მხარეს აღნიშნული ინიციატივის რეალიზებაში ევროკავშირის სრული მხარდაჭერა და თანადგომა აღუთქვა.**

**როგორც ტალვიტიე აცხადებს, ის სააკაშვილის სამშვიდობო ინიციატივას ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს გააცნობს და ეცდება, მის განხორციელებას ხელი შეუწყოს.**

### ვენეციის კომისიის დელეგაცია გიორგი პაპუაშვილს შეხვდა



**საქართველოში ვიზიტად მყოფი ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის დელეგაცია გუშინ იუსტიციის მინისტრს გიორგი პაპუაშვილს დახურულ კარს მიღმა შეხვდა. როგორც შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს გიორგი პაპუაშვილმა განუცხადა, კომიისის წევრები საქართველოს სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით სამართლებრივი ბაზის შექმნაში დაეხმარებიან.**

**მისივე თქმით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო სამხრეთ ოსეთის ავტონომიასთან დაკავშირებულ იმ ძირითად პრინციპებს და პრიორიტეტებს, რომლითაც საქართველომ მომავალში უნდა ისარგებლოს. ამ მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და უცხოელი ექსპერტებიც არიან გაწევრებულები.**

**თავის მხრივ ვენეციის კომისიის მდივანმა, დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯანი ბუკიკიომ განაცხადა, რომ კომისიის ვიზიტი საქართველოში სიმბოლურად დაემთხვა სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას, რომლის დროსაც მან სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით საქართველოს ახალი სამშვიდობო ინიციატივა გააჟღერა.**

**მისივე თქმით, ვენეციის კომისია საქართველოს ხელისუფლებასთან 1993 წლიდან თანამშრომლობს და იმ დროიდან მოყოლებული, „კომისია დარწმუნებულია, რომ საქართველო კონფლიქტებთან დაკავშირებულ პრობლემებს ადრე თუ გვიან აუცილებლად მოაგვარებს“.**

### მშენებლობა წლეულს დაიწყება

**საბაჟო გამშვები პუნქტების ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში მიმდინარე წელს საქართველოში ყაზბეგისა და სადახლოს პუნქტების მშენებლობა დაიწყება.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ საბაჟო დეპარტამენტში განუცხადეს, იგეგმება „გარდაბნისა“ და „ლაგოდეხის“ საბაჟო გამშვები პუნქტების ინფრასტრუქტურის განვითარება. „აღნიშნული პროექტები აშშ-ის მთავრობის და სხვა დონორების მიერ გამოყოფილი თანხებით განხორციელდება. აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამა „საზღვრის დაცვისა და კანონიერების განმტკიცების შესახებ“ საბაჟო გამშვები პუნქტების ინფრასტრუქტურის განვითარებასაც ითვალისწინებს“ — განაცახდეს დეპარტამენტში.**

**ყაზბეგისა და სადახლოს პუნქტების მშენებლობის დაწყება გაზაფხულზე იგეგმება.**

### ტექნიკური უნივერსიტეტის ფარგლებში

**კავკასიის ბიზნეს-სკოლა აკრედიტაციას ტექნიკური უნივერსიტეტის ფარგლებში გაივლის. ამის შესახებ გუშინ განათლების და მეცნიერების სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე უმაღლესი სასწავლებლების სააკრედიტაციო საბჭოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა განაცხადა.**

**მისი განმარტებით, მისაღები კონტინგენტის გარკვეული რაოდენობა კავკასიის ბიზნეს-სკოლისთვის ტექნიკური უნივერსიტეტის კვოტიდან გამოიყოფა, თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან კავკასიის ბიზნეს-სკოლა აიღებს ცალკე ლიცენზიას და აკრედიტაციას დამოუკიდებლად გაივლის.**

**როგორც გუშინდელ ბრიფინგზე კავკასიის ბიზნეს-სკოლის დამფუძნებელმა კახა შენგელიამ განაცხადა, სასწავლებლის კვოტა 240 სტუდენტის ოდენობით წელს ტექნიკური უნივერსიტეტის კვოტიდან გამოიყოფა. მისივე თქმით, კავკასიის ბიზნეს-სკოლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში მოღვაწეობდა და ევრაზიის ფონდისა და ამერიკის მთავრობის მიერ დსთის მასშტაბით ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებლად არის აღიარებული.**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესი 2004 წლის ოქტომბრიდან დაიწყო. ინსტიტუციური აკრედიტაციის გასავლელად განაცხადი 227-მა სასწავლებელმა გააკეთა. დღეისათვის 178 სასწავლებლის მონაცემების საფუძველზე სააკრედიტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ინსტიტუციური აკრედიტაცია 78-მა უმაღლესმა სასწავლებელმა გაიარა, შესამოწმებელია 49 სასწავლებელი.**

**ინტერ-პრესი.**

## ინფორმაცია

### გაზაფხულისთვის იგეგმება

„ეროვნული ლატარეის" ჩამოყალიბება საქართველოში მიმდინარე წლის გაზაფხულისთვის იგეგმება. ამის შესახებ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა.



როგორც საქართველოს კულტურის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრმა აღნიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში ინგლისის ხელოვნების საბჭოს ინვესტიციების პროგრამის დირექტორი მოს კუპერი იყო ჩამოსული, რომელმაც ქართველ კოლეგებს „ეროვნული ლატარეის" საკითხთან დაკავშირებით საკუთარი გამოცდილება გაუზიარა.

„ეროვნული ლატარეის შექმნის იდეა და მიზნები საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სწორად აქვს ჩამოყალიბებული. ლატარიიდან შემოსული თანხები კულტურისა და სპორტის განვითარებას, ძეგლთა დაცვას მოხმარდება", – აღნიშნა მინისტრმა.

### რეორგანიზაცია თბილისის მუნიციპალიტეტში

თბილისის მუნიციპალიტეტში რეორგანიზაცია განხორციელდება. ამ მიზნით სპეციალური საატესტაციო კომისია შეიქმნა, რომელიც კადრების შერჩევაზე და გადამზადებაზე იზრუნებს.

საკადრო შემცირებების პროექტი თბილისის საკრებულოს გადაეგზავნება დასამტკიცებლად, რის შემდეგაც საქალაქო სამსახურებში, შემდეგ კი რაიონულ გამგეობებსა და მთავრობის აპარატში საკადრო შემცირებები განხორციელდება.

ატესტაციისა და შერჩევის პრო-



ცესი თებერვალში გაიმართება. გავრცელებული ინფორმაციით, რეორგანიზაციის შედეგად კადრების დაახლოებით 50% შემცირდება.

დღეისათვის თბილისის მუნიციპალიტეტში 1700-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

### საქართველოს ელჩი უშიშროების საბჭოს სხდომაზე არ დაუშვეს

საქართველოს ელჩი გაეროში რევაზ ადამია არ დაუშვეს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელზეც კოფი ანანი აფხაზეთში გაეროს დამკვირვებელთა მოხსენებას ისმენდა.

სწორედ ამ მოხსენების შემდეგ უნდა გადაწყდეს აფხაზეთში გაეროს დამკვირვებლებისთვის მანდატის გაგრძელების საკითხი.

ადამიას განცხადებით, აღნიშნულ სხდომაზე მის დასწრებას რუსეთის წარმომადგენლებმა გაუწიეს წინააღმდეგობა. საქართველოს ელჩი მომხდარს „მანკიერების გამოვლინებად" აფასებს.

ინტერ-პრესი.

## დროის მოთხოვნა

# მუზეუმის „ფერისცვალება"

ბოლო ხანებში ქვეყანაში მიმდინარე რეორგანიზაციამ კულტურის სფეროშიც შეაღწია და მნიშვნელოვანი ძვრები მოახდინა.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ახლახან, შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის, გ. ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმის, ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმისა და ო. ლორთქიფანიძის სახელობის ვანის მუზეუმ-ნაკრძალის ბაზაზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **„საქართველოს ეროვნული მუზეუმი".**

მუზეუმი ქვეყნის ისტორიული საგანძურისა და რელიკვიების დამცველი და წარმომჩენია. სწორედ ამ ფუნქციათა მნიშვნელობის გაზრდა დაისახა მიზნად საქართველოს მთავრობამ და ეროვნული მუზეუმის ახალმა დირექტორმა **დავით ლორთქიფანიძემ.**

დღესდღეობით მუზეუმი ძირეულ რეორგანიზაციას საჭიროებს. უნდა შეიცვალოს არა მხოლოდ სამუზეუმო სივრცე, არამედ მართვის მოძველებული ფორმები და მეთოდები, რომელთა განახლება წლების მანძილზე არ მომხდარა.

რეფორმის შედეგად ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი უმნიშვნელოვანესი მუზეუმები ერთი ორგანიზაციის ეგიდით გაერთიანდება, შეიქმნება ერთიანი მართვის სისტემა. მნიშვნელოვანია შეიცვალოს ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც დიდი ხანია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ფარგლებს გარეთაა დარჩენილი. აუცილებელია საგანძურში არსებული ექსპონატების აღრიცხვა ელექტრონული სისტემების საშუალებით, რათა უკეთ იყოს შესაძლებელი მათი გადაადგილებისა და დაცვის კონტროლი, მოპარვისა ან დაკარგვის საფრთხის აღმოფხვრა. ამ ნაბიჯების გადადგმა კი მხოლოდ ერთიანი კონცეფციის შემუშავების საშუალებით გახდება შესაძლებელი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმასრულებელი დირექტორის **კახა ტრაპაიძის** განცხადებით, აუცილებელია მუზეუმის პოპულარიზაციისა და მისი საგანმანათლებლო სივრცეში დაბრუნების თვალსაზრისით სერიოზული ნაბიჯების გადადგმა.

**– სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში უნდა დაინერგოს ისტორიის გაკვეთილების მუზეუმში ჩატარების ტრადიცია. რა შეიძლება იყოს იმაზე უკეთესი, თუ არა ახალგაზრდობისათვის სახელმწიფო მონაპოვრის თვალსაჩინოდ გაცნობა. იმედია, შევძლებთ ერთიანი კონსერვაციის ცენტრის შექმნას, რომელიც ყველა მსურველს სრულფასოვნად მოემსახურება.**

**ამ იდეებსა და წამოწყებებში სრული პოლიტიკური მხარდაჭერა გვაქვს. როცა ასეთი განწყობა არსებობს, საქმის კეთებაც უფრო ადვილია. თუმცა, ჩასატარებელი სამუშაოს სირთულის გამო, ამას გარკვეული დრო დასჭირდება. ყველაფრის გაკეთებას ერთ წელიწადში, რასაკვირველია, ვერ მოვახერხებთ. ამ პროექტს ბევრი მომხრეც და მოწინააღმდეგეც ჰყავდა. მაგრამ როცა მუშაობა პირველ შედეგებს გამოიტანს, მათი ბალანსიც მნიშვნელოვნად შეიცვლება,** – ამბობს კახა ტრაპაიძე.

ბრძანებულების თანახმად, მუ-



ზეუმის სახელმწიფო კონტროლის გამწევი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროა. განათლების სამინისტრო, ქალაქის მერია და მეცნიერებათა აკადემია კი მუზეუმის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფენ.

ახლა ეროვნული მუზეუმი კულტურის სამინისტროსთან ერთად კოლექციებსა და ფონდებზე სამართლებრივადაა პასუხისმგებელი მაშინ, როცა რეფორმამდე მუზეუმის სტატუსი გაურკვეველი იყო, რაც პრობლემების წარმოქმნას იწვევდა.

კითხვაზე, ხომ არ შეუმცირდება თითოეულ მუზეუმს ფულადი სახსრები გაერთიანების შემდეგ, კახა ტრაპაიძემ აღნიშნა, რომ პირიქით, კულტურის სამინისტროს მიერ გაზრდილი დაფინანსებისა და მუზეუმების საკუთარი ბიუჯეტების შერწყმის შედეგად შეიქმნება საჭირო რეზერვი დასახული მიზნების მისაღწევად.

**– მისასალმებელი ფაქტია, რომ რეფორმას უწყებრივი პატრიოტიზმი არ ახასიათებს. მინისტრთა კაბინეტი კოლეგიალური პასუხისმგებლობის ორგანოა და გადაწყვეტილებათა მიღებაც ერთიანი მსჯელობის შედეგად ხდება და არა ცალკეულ დაინტერესებულ პირთა სურვილის შესაბამისად.**

**ჩვენც, ჩვენი მხრიდან სულ მალე ვაჩვენებთ სახელმწიფოს პირველ პროექტებს, პირველ წინგადადგმულ ნაბიჯებს. შეიქმნება ჯერ ცალკეული განახლებული დარბაზები საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, რომელიც აჩვენებს იმას, თუ რა გვინდა და საითკენ მივდივართ,** – განაცხადა ბატონმა ტრაპაიძემ.

მუზეუმში 3 მილიონამდე ნივთი ინახება. ეროვნული საუნჯის საზღვარგარეთ ექსპონირება და მისი მსოფლიო საზოგადოებისათვის გაცნობა კი დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული. უფრო რთულია სხვა ქვეყნის საუნჯის ჩამოტანა და გამოფენა. ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობა ამ პრობლემის გადაჭრას მკაცრი ჩარჩოების შემოღების გზით აპირებს. მათი აზრით, აუცილებელია დაცვის ელექტრონული სისტემის შექმნა. რეაბილიტაცია დარბაზებსაც უნდა შეეხოს. საჭიროა თანამშრომლობისას არა მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის პასუხისმგებლობაზე საუბარი, არამედ ეროვნული მუზეუმის პასუხისმგებლობის გაზრდა საკუთარი საუნჯის გატანისას თუ პირიქით, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან გამოფენის შემოტანის დროს.

თვის ბოლოს ეროვნულ მუზეუმში შეკრებილ საზოგადოებას პირველი „ფერისცვალების" ხილვის საშუალება მიეცემა – მუზეუმი რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ.

რეფორმისშემდგომი მუზეუმის პირველი პროექტის სახელწოდება „ოქრომრავალი კოლხეთი" იქნება და იგი ბოლო პერიოდში ვანში აღმოჩენილი ოქროს ნივთების გამოფენას წარმოადგენს.

100 ერთეულამდე მოპოვებული ექსპონატი ეროვნული მუზეუმის „პირველი მერცხალი" და პირველი სერიოზული განაცხადი იქნება.

**ნინო ბერძნიშვილი.**

**სურათზე: ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატი – „წმინდა იოანე ნათლისმცემელი".**

## მიმოთვისებლები

# ჩვენი კომბაინი მოსავალს რუსეთში იღებს?

**ვერაფერი სიკეთეა, რომ ბოლო დროს ათასგვარი აფერისტობა, გაყალბება, „გადაგდება-გადმოგდება", სხვისი უძრავ-მოძრავი ქონების უკანონო გზით დაპატრონება, მოკლედ, ათასგვარი სახეობის ავაზაკობა, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოიჭრა და დამკვიდრდა. არადა, ყველაფერს მარტო ქვეყნის, ჯერჯერობით, არასახარბიელო მდგომარეობას და ხალხის გაჭირვებულ ყოფას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ თუნდაც იმიტომ, რომ ნაირ-ნაირ მღლეტავთა მსხვერპლი, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, სწორედ რომ ალალი და გაჭირვებული ადამიანები არიან. სამართალდარღვევათა სტატისტიკის ერთი თვალის გადავლებითაც ჩანს, რომ კანონდამრღვევთა უმრავლესობისთვის დანაშაული რეციდივს წარმოადგენს – თითქმის ყველა მათგანს ადრე ამა თუ იმ სახის ბოროტება აქვს ჩადენილი. სიმართლე გითხრათ, ეს ყოველგვარი სტატისტიკის გარეშეც არცთუ ძნელი მისახვედრია, რადგან წარმოუდგენელია, რომ ასე მოფიქრებულად შეძლოს ყველაფრის „აწყობა" მრუდე გზაზე დამდგარმა დამწყებმა აფერისტმა.**

**ასეა თუ ისე, იმ დანაშაულთა ჩამდენთა უმრავლესობის ქცევის ზნეობრივ ნორმებზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, წყლის ნაყვას ჰგავს.**

დუშეთის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის მცხოვრებმა დავით ინაშვილმა შპს „ენოფარმთან" ხელშეკრულება სატვირთო ავტომანქანა „ზილ-133"-ის იჯარით აღების თაობაზე 1996 წლის მიწურულს გააფორმა. შეთანხმებისამებრ მას საზოგადოებისთვის ავტომანქანის იჯარისთვის ყოველთვიურად 200 ლარი უნდა გადაეხადა, „ზილის" მიღება-ჩაბარება კი სათანადო აქტით გაფორმდა.

ავტომანქანის იჯარით გადაცემის დღიდან, დ. ინაშვილმა შპს „ენოფარმის" ბუღალტერიაში მხოლოდ 1997 წლის თებერვალში შეიტანა 200 ლარი. მას შემდეგ, მოგეხსენებათ, ბევრმა წყალმა ჩაიარა... შპს „ენოფარმის" გენერალური დირექტორის ლევან მუჯირის ახსნა-განმარტებით, საზოგადოების წარმომადგენლებმა რამდენჯერმე მიაკითხეს დ. ინაშვილს სოფელ მეჯვრისხევში. ყველა შეხვედრისას იგი რეგულარულად პირობას დებდა, რომ საიჯარო თანხებს გადაიხდიდა, თუმცა დანაპირებს ასეთივე რეგულარობით არ ასრულებდა. უფრო მეტიც: სადღეისოდ აღარც თავად დ. ინაშვილი ჩანს და, ცხადია, აღარც სატვირთო ავტომანქანა. გარდა ამისა, დ. ინაშვილის მამის ომარ ინაშვილის განმარტებით, მისი ვაჟიშვილი მასთან სახლში აგერ უკვე რვა წელია აღარ ცხოვრობს, ამდენად არც მისი, არც, მით უმეტეს, ავტომანქანა „ზილის" ადგილსამყოფელი მისთვის უცნობია.

ამ ფაქტთან დაკავშირებით დუშეთის რაიონულმა პროკურატურამ ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს მიმართა.

შს სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოს მონაცემებით, მოქალაქე დავით ინაშვილი ადრე ნასამართლევია: 1985 წელს დუშეთის რაიონის სასამართლომ მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო 1994 წელს მცხეთის რაიონის სასამართლომ 2 წლით გამასწორებელი სამუშაოებით დასაჯა. და აი, ახლაც, მის მიმართ ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველომაც სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

1998 წელს საქართველოში იაპონიის გრანტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამა 2KR. ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულებით, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დაევალა გრანტის პრო-



გრამით შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიღება, მისი კონკურსის წესით საბოლოო მომხმარებელზე მონეტიზებული თანხების ეროვნულ ბანკში დეპოზიტირება. სამინისტროს მიერ შექმნილი კომისია, კონკურსის პირობების თანახმად, უზრუნველყოფდა ტექნიკის გადაცემას იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე.

ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს მიერ ჩატარებული მოკვლევით დადგინდა, რომ კონკურსში გაიმარჯვა შპს „ბირთვისმა" (დირექტორი და დამფუძნებელი – ვაჟა ბექაური).

1999 წლის ივნისში სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს და შპს „ბირთვისის" დირექტორ ვ. ბექაურს შორის გაფორმდა №13 ხელშეკრულება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვადება-ნასყიდობის წესით გაცემის შესახებ. ამ ხელშეკრულების საფუძველზე სამინისტრომ საზოგადოებას გადასცა სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მათ შორის ფინური კომბაინი „MF-23".

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის თანახმად იკრძალებოდა ტექნიკის რეექსპორტი და სამინისტროსთან შეუთანხმებლად მისი მესამე მხარისთვის გადაცემა. მოკვლევისას კი გაირკვა, რომ ვ. ბექაურმა ეს კომბაინი... რუსეთში გაიტანა.

გამოკითხულმა დირექტორმა განმარტა, რომ კომბაინი რუსეთში მოსავლის ასაღებად გაიყვანა და რომ (2004 წლის ზაფხულის მდგომარეობით) იგი ისევ რუსეთში იყო. მოკვლევის პროცესში ასევე გამოკითხეს სამინისტროს აგროსაინჟინრო სამსახურის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სირინოზ პეტრიაშვილი. მან თავის ახსნახ-განმარტებაში მიუთითა, რომ კომბაინ „MF-23" საბალანსო ღირებულებაა 76.673 ლარი, რომელიც შპს „ბირთვისს" 2002 წლის 1 კვარტლისთვის უნდა დაეფარა. ამის შემდეგ იგი საზოგადოების საკუთრება გახდებოდა, თუმცა მანამდე სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა. ახსნა-განმარტებიდან ასევე გაირკვა, რომ შპს „ბირთვისმა" საპარტნიორო ფონდში მხოლოდ 5427 ლარი შეიტანა. ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ეს კომბაინი ისევ სახელმწიფოს მფლობელობაში რჩება, რომელიც მას სამინისტროს აგროსაინჟინრო სამსახურის სახელით ფლობს.

მოკლედ, შპს „ბირთვისის" დირექტორმა ვ. ბექაურმა „MF-23" მარკის კომბაინი მიითვისა, რის გამოც მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

**ოთარ ტურაბელიძე.**

## ინფორმაცია

### ვენეციის კომისიის წევრები საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს შეხვდნენ

**სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრა საქართველოში ვიზიტად მყოფი ვენეციის კომისიის წევრებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ჯონი ხეცურიანის შეხვედრის ძირითად თემას წარმოადგენდა.**



**როგორც შეხვედრის დასასრულს აღინიშნა, შესაბამისი კანონპროექტი ვენეციის ექსპერტების დახმარებით და უშუალო მონაწილეობით მომზადდება, მისი საბოლოო ვარიანტი კი ვენეციაში გაიგზავნება.**

**გუშინ მხარეები სამუშაო პროცესზე შეთანხმდნენ. განისაზღვრა მუშაობის ვადები და ფორმები.**

**ჯონი ხეცურიანის ვარაუდით, კანონპროექტი მარტის თვისთვის იქნება მზად.**

### ჯონი ხეცურიანის აზრით

**საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჯონი ხეცურიანი არ იზიარებს საკონსტიტუციო ცვლილებათა იმ ნაწილს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესს ეხება და ფიქრობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების არსებულ წესში ცვლილებების შეტანა გაუმართლებელია.**

**„იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო აკონტროლებს ხელისუფლების სამივე შტოს და მათი მოქმედების კონსტიტუციურობას, მისი დაკომპლექტება სწორედ სამივე შტოს მეშვეობით უნდა ხდებოდეს. ეს ქმნის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის უფრო მეტ გარანტიას", – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ხეცურიანმა.**



**საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი პარლამენტს ქვეყნის პრეზიდენტმა წარუდგინა. პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე მოსამართლეს პარლამენტს პრეზიდენტი წარუდგენს დასამტკიცებლად.**

### გასული წლის შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიში

**სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა გასული წლის შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიში მოამზადა და უახლოეს დღეებში ხელისუფლებას წარუდგენს.**

**როგორც „ინტერ-პრესს" ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა ნინო ოკრიბელაშვილმა განუცხადა, გასულ წელს, პირველად, ფონდმა შეძლო საპენსიო და ჯანდაცვის პროგრამების დროული დაფინანსება. ამასთანავე, გასტუმრებული იყო წინა პერიოდის დავალიანებები. ამ სახით საპენსიო თანხების 70% და ჯანდაცვის პროგრამების დავალიანებების 30% დაიფარა.**

**ოკრიბელაშვილის თქმით, გასულ წელს გაუმჯობესდა საფინანსო-ეკონომიკური კომპონენტის ადმინისტრირება, რასაც მინიმალური პენსიების გაზრდაც მოჰყვა.**

**სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელის ვარაუდით, საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით გაგრძელების შემთხვევაში ფონდი მინიმალური პენსიის ოდენობას კვლავ გაზრდის.**

### დეპოზიტები 168 პროცენტით გაიზარდა

**ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტები გასულ წელს 168 პროცენტით გაიზარდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკურ გამოკვლევათა და მონეტარული პოლიტიკის სამმართველოს ინფორმაციით, მთლიანობაში საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებებმა 45 პროცენტით მოიმატა, ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტები 168 პროცენტით, ხოლო უცხოურ ვალუტაში 42 პროცენტით გაიზარდა.**

**გასული წლის განმავლობაში დაფიქსირდა ფართო ფულის №2 მულტიპლიკატორის მნიშ-**



**ვნელოვანი ზრდაც. გასულ წელს ამ მაჩვენებელმა 0,91-დან 1,01 ნიშნულამდე მიაღწია. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში პირველად, მან ერთს გადააჭარბა.**

**„ყოველივე ეს ეროვნულ ვალუტაში ფინანსური საქმიანობის ხარისხის მნიშვნელოვან ზრდაზე და ფინანსური შუამავლობის ამაღლებაზე მიუთითებს, რაც ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკამ განაპირობა", – განმარტავენ სამმართველოში.**

ინტერ-პრესი.

## დასკვნა შენც გამოიტანე

# წუთისოფელიც მამალივით ჭრელია

### რუსეთში კრიმინალებმა აიშვეს

არ ვიცი, საით მიდის მსოფლიო. იშვიათად შეხვდებით ქვეყანას, სადაც დანაშაული იკლებს, სადაც შავი სამყარო უკან იხევს. საქართველოშიც მატებაა, მაგრამ აქ შეიძლება ოდნავ მაინც თავი ვიმართლოთ: – პოლიცია ფეხზე ახლა დგება, დანაშაული ძველებურად აღარ იმალება და სხვა და სხვა.



მაგრამ რა ვუყოთ ამერიკას? რუსეთს? ეს ორი გიგანტი სახელმწიფოც დიდ გასაჭირშია. რუსეთში, მაგალითად, 2004 წელს აღირიცხა 2.893.800 დანაშაული. ეს 5 პროცენტით აჭარბებს 2003 წლის მაჩვენებელს. ლამის 3 მილიონში კი 5 პროცენტი ხელწამოსაკრავი ციფრი არაა, – იგი 150.000-ს „ურტყამს".

რაც ყველაზე შემაშფოთებელია, მომატებულია ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ბოროტმოქმედებანი. ძარცვა გაზრდილია 27 პროცენტით, ყაჩაღობა – 14 პროცენტით, ქურდობა – 11 პროცენტით (სულ დაფიქსირებულია 1.277.000 ქურდობა!).

ასევე შემაშფოთებელია საქმეთა გაუხსნელობა. 2.893.000 დანაშაულიდან გახსნილია მხოლოდ 1.570.000, გაუხსნელია – 1.265.000. ეს ციფრი 9,2 პროცენტით აჭარბებს წინა წლის მაჩვენებელს. ერთადერთი სანუგეშო ამხელა რუსეთს დარჩა ის, რომ 6,8 პროცენტით შემცირდა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე სახის დანაშაულობანი. ცოტა „მოუჭირეს" იარაღისა და ნარკოტიკების მოტრფიალეებს. სამაგიეროდ ისე იმატა ქუჩის დანაშაულმა, – ლოთობამ, ხულიგნობამ, გაუპატიურებამ, რომ მოსახლეობას გარეთ ცხვირის გამოყოფისაც კი ეშინია.

საკმარისია ითქვას, რომ ყოველწლიურად რუსეთი მკვლელობებით, თვითმკვლელობებით, ავარიებით, მაწანწალობით თუ ლოთობით კარგავს დაახლოებით 200.000 კაცს.

სხვათა შორის, ამ საახალწლოდ მარტო მოსკოვში დაილია 6 სხვადასხვა ქვეყნის, 150 სახის, 1000 დასახელების 5 მილიონი ბოთლი შამპანური. სამი ამდენი, ალბათ, არაყი გასაღდა და ვიღას უნდა მოჰკითხო წესრიგის დაცვა?

### იქით გააბოლე, კაცო!

შავი დღეები დაუდგა არა მარტო იტალიელ მწეველებს, არამედ იქაური რესტორნების, ბარების თუ კაფეების მეპატრონეებსაც. საახალწლოდ უკვე აიკრძალა სიგარეტის გაბოლება საზოგადოებრივ ადგილებში.

60-მილიონიან იტალიაში 15 მილიონი მწეველია. 25 პროცენტი ძალზე შთამბეჭდავიც არის და ძალზე დამაფიქრებელიც ამ ერთობ ცივილიზებული და კულტურული ქვეყნისათვის, სადაც მოსახლეობის სამი მეოთხედი უკვე გადაიღალა სხვისი „კვამლის" ყლაპვით.

იმ რესტორნების, ბარებისა თუ კაფეების მეპატრონეებს, რომლებიც ახალ კანონს არ დაემორჩილებიან, 2 ათასი ევროთი დააჯარიმებენ. თვით მწეველებს კი – 275 ევროს აალეტენ. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ ნაბიჯით ხელისუფლება ავადმყოფობას შეამცირებს, ბიუჯეტს კი – სოლიდურ სახსრებს შემატებს.

სიგარეტის წევის აკრძალვის ინიციატორია ჯანდაცვის მინისტრი ჯიროლამო სირკია. მისი თქმით, სწორედ სიგარეტის წამდაუწუმ და უადგილო-ადგილას გაბოლება იწვევს ქვეყანაში ადამიანთა ნაადრევ სიკ-



ვდილიანობას. პროფკავშირების აზრით კი ეს არის კუდიანებზე ნადირობა, რომლის დროსაც მახეში გაებმებიან რესტორნების, ბარებისა და კაფეების მეპატრონეები.

იტალიამ ადრეც წამოიწყო ფართომასშტაბიანი აქციები მწეველთა წინააღმდეგ. მაშინ ძირითადად შეუტიეს ქალებს და შედეგებსაც სასურველს მიაღწიეს. ქვეყანაში ახლაცაა შემორჩენილი პლაკატები: „მოწევა არასექსუალურია", „ნუ ჩაწვავ შენს სილამაზეს სიგარეტის ბოლში" და სხვა და სხვა.

ისე, წინააღმდეგობა მთავრობის წევრთა შორისაც არის. თავდაცვის მინისტრმა ანტონიო მარტინომ პრესით განაცხადა: – მე ვეწევი 18 წლიდან. ეს ჩემი წმინდა უფლებაა. ვინ უნდა წამართვას იგი?

როგორც ერთი მერცხალი ვერ მოიყვანს გაზაფხულს, ისე ერთი მინისტრი ვერ გააუქმებს იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებას. თანაც იტალიას უკვე მიბაძა კუბამ. 1 თებერვლიდან საზოგადოებრივ ადგილებში სიგარეტის წევა აიკრძალა თავისუფლების კუნძულზეც. სხვათა შორის, ხალხს მაგალითი მისცა თავად ფიდელ კასტრომ, რომელმაც „ქაჩვას" თავი ჯერ კიდევ 20 წლის წინათ დაანება.

ვითომ საქართველოს არ აწუხებს ჭვარტლის პრობლემა? მაშ, რატომ არის ჩვენში ასე გავრცელებული ცნობილი გამოთქმა, – იქით გააბოლე, კაცო! ესე იგი, ჩვენც შევაწყინეთ ვიღაცას თავი. და, საერთოდ, როდის უნდა მოვიშოროთ ეს „სასიამოვნო" შხამი? ყოველწლიურად იგი სამი მილიონამდე კაცს კლავს მსოფლიოში. განა ეს არაფერს გვეუბნება?

### დეზებიანთა ჩემპიონატიც იმართება

ყივილში მამლების მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ახლახან შვედურ ქალაქ იუსებოში ჩატარდა, აბსოლუტურ ჩემპიონად ადგილობრივი მამალი, სახელად ჰელმერი დასახელდა. ოცი წუთის განმავლობაში მან 49-ჯერ დაიყივლა და ყველა მოწინააღმდეგე უკან ჩამოიტოვა. მისმა პატრონმა და მწვრთნელმა ლენა ლიუინდე კეისტონმა განაცხადა, რომ ჰელმერს ამ დროში 66-ჯერაც მოუსწრია დაყივლება, მაგრამ, როგორც ჩანს, საჩემპიონატო ნერვიულობამ და გზამ ისე დაღალა, რომ ტემპი შეანელა.



შეჯიბრების დროს მამლები თავიანთ გალიებში იმყოფებოდნენ და ორ ათწუთიან რაუნდში მონაწილეობდნენ. ყივილს მათ არავინ ამალლებდა, ჩემპიონატი დილით, მზის ამოსვლისას ჩატარდა, მამლები კი ამ დროს გულით და სულით ყივიან. ჩვეულებრივი სპორტული შეჯიბრებისგან განსხვავებით, დეზებიანებს დოპინგის მიღების უფლება ჰქონდათ – სულ ცოტა სპირტიანი სასმელის სახით. მთავარია, დოზა არ გადაეჭარბებინათ – მთვრალი მამლები უფრო პასიურობდნენ და თითქმის თვლემდნენ კიდეც. თურმე, ყველა მამალს თავისი ნორმა აქვს. თუკი ერთს ორი-სამი წვეთი არაყი ჰყოფნის, სხვები, შესაძლოა, რამდენიმე ყლუპმაც კი არ დაათროს. აღსანიშნავია, რომ ბოლო ჩემპიონი აბსოლუტურად ფხიზელი იყო. ის, თურმე, სასმელს ნისკარტსაც არ აკარებს და, პატრონის მტკიცებით, ჩემპიონობას მხოლოდ აზარტის წყალობით დაეუფლა.

ნეტა, ჩვენი მამლები რას იზამენ, თუ ასეთ ჩემპიონატზე წავლენ?

**ზონდო გულიაშვილი.**

გამარჯვება – 60

# ეს იყო თეირანში

სწორედ ეს აშფოთებდა შეერთებულ შტატებს, რომელიც სულ ახლახან იმაზე აკეთებდა გათვლას, რომ რუსებსა და გერმანელებს რაც შეიძლება გულმოდგინედ ექლიტათ ერთმანეთი. მეორე ფრონტის გახსნას არც რუზველტი ჩქარობდა და არც ჩერჩილი.

მაგრამ ამავე დროს ჩერჩილმა თავისთვის ჩაიწერა: „გამოდის, რომ ხმელეთზე თითქმის ყველა გამარჯვების პატივი რუსეთს ეკუთვნის“ და „რიგით ადამიანს უნდა ეგონოს, რომ ომს რუსეთი იგებს“, რომელიც „მსოფლიოს დიპლომატიური ბატონ-პატრონი“ გახდება.

რუზველტი და ჩერჩილი გაშმაგებით ცდილობდნენ ვითარების შეცვლას, რათა თეირანში სტალინთან მოლაპარაკებებზე უპირატესობისთვის მიეღწიათ.

კონფერენციამდე თვენახევრით ადრე ფონ პაპენს, თურქეთში გერმანიის ელჩს და გერმანიაში გავლენიან ადამიანს, ამერიკელთა ემისარი ტ. მორდე ეახლა და ჰიტლერის მოკვლის ორგანიზების წინადადება შესთავაზა. მან აღუთქვა, რომ ამის სანაცვლოდ ბერლინი გახდებოდა ევროპის ფედერალური შტატების საპარლამენტო დედაქალაქი, რომ გერმანია თავის ფარგლებში შეინარჩუნებდა გერმანელებით დასახლებულ ყველა მიწას და კიდევ მეურვეობას გაუწევდა პოლონეთს, უკრაინასა და ბალტიისპირეთს. რუსეთი კი, არამცთუ აღარანაირ დახმარებას აღარ მიიღებდა, არამედ აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების მიერ თავის საზღვრებშივე იქნებოდა შეჩერებული.



არაფერი გამოვიდა. გერმანელებს ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ ჰიტლერი მდგომარეობას გამოასწორებდა.

1943 წლის 13 ნოემბერს პრეზიდენტი რუზველტი ლინკორით „აიოვა“ კონფერენციაზე გაემგზავრა. გზად მან ამერიკის შეიარაღებულ ძალთა შტაბის უფროსებს შეახსენა, რომ რუსები პოლონეთის საზღვრიდან სულ რაღაც 60 მილის მანძილზე იმყოფებოდნენ და სულ მალე რუმინეთში შევიდოდნენ. ამან საბოლოოდ დაუსვა ჯვარი ჩერჩილის სურვილს გერმანელებისთვის სამხრეთიდან, „ევროპის ნაზ მუცლისქვედა არეში“ მიეყენებინათ დარტყმა.

მაგრამ მთავარი ეს არ იყო.

– ჩვენ ბერლინამდე უნდა მივიდეთ, – განაცხადა რუზველტმა.

– დაე, მაშინ საბჭოეთმა მისგან აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია დაიკავოს, ბერლინი კი შეერთებულმა შტატებმა უნდა აიღოს.

საქმე სასაცილომდე მივიდა. რუზველტმა შესთავაზა ბერლინამდე რკინიგზით ჩაქანებულიყვნენ ყოველგვარი ბრძოლების გარეშე. როგორც ჩანს, მას იმის იმედი ჰქონდა, რომ გერმანელი სამხედროები ყვავილებით შეხვდებოდნენ ამერიკელებსა და ინგლისელებს. გერმანელმა მარშალმა მთელი სერიოზულობით განაცხადა, ვაგონები არ გვეყოფა და ბევრს საბარგო მანქანებით მოუწევს მგზავრობაო.

მაგრამ ამ დროს ვიღაცამ მართებულად შენიშნა, რომ, ჩერჩილის აზრით, რუსეთს დიდად აღარც სჭირდებოდა მეორე ფრონტი.

რაც არ უნდა თქვან სტალინზე, რომელიც თავისი მტრების მიმართ შეუპოვარი და ულმობელი იყო, მან ზუსტად დაინახა ხალხის განწყობა, გათვლა რუსებზე გააკეთა, იმპერიული ტრადიციები აღორძინა, ოფიცრებს ოქროს სამხრეები დაუბრუნა, მართლმადიდებელი ეკლესიის დევნა შეწყვიტა და ასე მიიწევდა გამარჯვებისკენ. მის ახალგაზრდა მხედართმთავრებსა და მეწარმეებს გაუგონარი რწმუნებულებები მიეცათ...

წერენ, რომ რუზველტს მოსწონდა ლინკორით მგზავრობა, თუმცა, კინაღამ „აიოვა“ ესკორტის ნაღმოსნიდან გაშვებული ტორპედოთი ჩაძირეს. ირანში პრეზიდენტი, რომელიც ფეხის კუნთების სრული ატროფიის გამო ეტლიდან ვერ დგებოდა, პირად თვითმფრინავში გადაიყვანეს, რომელსაც „წმინდა ძროხა“ ერქვა. მან ილუმინატორიდან თვალი მოავლო ადგილს, სადაც ოდესღაც კართაგენი იყო და რამდენიმე მოსაზრება გამოთქვა პუნიკურ ომებთან დაკავშირებით, რომელთა სტრატეგიაში უკეთესად ერკვეოდა, ვიდრე თანამედროვე ომის წარმოებაში. კაიროში რუზველტი პირამიდებთან წაიყვანეს, სადაც ის და ჩერჩილი შეთანხმდნენ, რომ თეირანში, იმისდა მიხედვით, თუ რას იტყოდა სტალინი, ისინი მოლაპარაკებათა თავისეულ ტაქტიკას ააგებდნენ.

ძალზე საინტერესოა, როგორ შეთანხმდნენ თეირანში შეხვედრაზე ქედმაღალი დიდი სახელმწიფოები, რომლებსაც აზრადაც არ მოსვლიათ ირანის შაჰს ან მთავრობას დაჰკითხებოდნენ ამის თაობაზე. ან კიდევ ნებისმიერ სხვას.

თავიდან სტალინი მოსკოვში შეხვედრას მოითხოვდა, მერე მოკავშირეები სთავაზობდნენ კაიროს, ბასრას, ბაღდადს, მაგრამ პასუხი მიიღეს, – იქ თქვენთან საუბარს სავსებით კომპეტენტურად მოლოტოვი შეძლებსო. როგორც ჩანს, რუზველტს უნდოდა საკუთარი თვალით ენახა იდუმალი რუსი სფინქსი. ის წერდა, თეირანი მთებით გარშემორტყმულ ტაფობში მდებარეობსო. მთები კი ხელს შეუშლის მას იმდროინდელი თვითმფრინავების მეშვეობით მუდმივი კავშირი იქონიოს ვაშინგტონთან და ათი დღის განმავლობაში მოაწეროს ხელი კონგრესის მიერ მიღებულ კანონპროექტს, როგორც ამას ამერიკის კონსტიტუცია მოითხოვდა. მაგრამ სტალინი უდრეკი იყო – ხომ არ შეუძლია მას დიდი ხნით მოწყდეს 2400 კილომეტრის სიგრძის ფრონტზე მიმდინარე ოპერაციებს. თეირანიდან კი კარგი სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი იყო დამყარებული.

და რუზველტი დათანხმდა. „მომავალი თაობები ტრაგედიად ჩათვლიდნენ იმ ფაქტს, რომ რამდენიმე ასეულმა მეტრმა ხელი შეგვიშალა შეხვედრაში თქვენ, ბატონ ჩერჩილს და მე“, – წერდა იგი თითქმის უკვე თანხმობის ნიშნად.

მაშ ასე, თეირანი. ჩერჩილს „სუსტად კონტროლირებულ რაიონად“ მიაჩნდა ის, და მან წინადადება შეიტანა გერმანული დაზვერვის დასაბნევად მიწერ-მოწერაში ირანის დედაქალაქი „კაირო-სამად“ მოეხსენიებინათ, კონფერენცია კი „ევრიკად“. ამასთან, მან სწავლადაუმთავრებელი სემინარისტი სტალინის მისამართით ერთგვარი გესლიანობა გამოიჩინა, როცა აუხსნა, რომ ეს სიტყვა, „როგორც მე მგონია, ძველბერძნული უნდა იყოსო“. თუნდაც აქედან გამომდინარე, შეიძლება წარმოვიდგინოთ, ორი მასტოდონტის მომავალი დიალოგები, რომლებშიც ინგლისელი ყოველთვის გაბითურებული რჩებოდა.

ჩერჩილმა შესთავაზა შეხვედრამდე სამი დღით ადრე თეირანში ბრიტანული და რუსული ბრიგადები გადაესროლათ და შეხვედრის რაიონი აეროდრომის ჩათვლით, კონფერენციის ბოლომდე აბსოლუტურად ჩაკეტილი ჰქონოდათ. სტალინმა ეს მიზანშეუწონლად მიიჩნია, რადგანაც შეიძლებოდა უმაქნისი ხმაურის გამო ამ შეხვედრას ყურადღება მიეპყრო და წინადადება შეიტანა, ძლიერი დაცვით შემოფარგლულიყვნენ.

„ჩვენ არ შევატყობინებთ ირანის მთავრობას და არც ჩვენს დასაბინავებლად სამზადისს შევუდგებით მანამ, ვიდრე ეს მომენტი არ დადგება“, – წერდა ჩერჩილი.

საფიქრალ-საზრუნავი კი მართლაც იყო. შაჰი რეზა უარს არ იყო, გაეხსენებინა თავისი ხალხის არიული ფესვები და თან იმ გერმანელ სპეციალისტთა სამსახურითაც ესარგებლა, რომლებიც მრავალ ერთობლივ პროექტში იღებდნენ მონაწილეობას. ზედ ომის წინ არმიის დაზვერვის, აბვერის ხელმძღვანელი, ადმირალი კანარისი საიდუმლოდ ჩავიდა ირანში საკუთარი რეზიდენტურის ინსპექტირების მიზნით. მაგრამ ინგლისელი ვერ ითვალისწინებდა, რამდენად მარჯვედ იყო საბჭოთა დაზვერვა, და კონტრდაზვერვა, განსაკუთრებით, როცა საქმე სტალინის უსაფრთხოებას შეეხებოდა. თეირანსა და სხვა ქალაქებში უკვე იყო ინფორმატორთა ისეთი ხშირი ქსელი, რომ ყველაზე პატარა გერმანული „თევზის“ ყოველი ნაბიჯიც კი ცნობილი იყო. მაგალითად, კონფერენციამდე ორი თვით ადრე გერმანელებმა ქერმან შაჰთან თავისი რადისტების დესანტი გადასვეს. მათ თეირანამდე ჩააღწიეს და ქალაქის ჩრდილო ნაწილში, ვილაში დასახლდნენ. საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტმა აგაიანცმა ამის შესახებ თავის ხელმძღვანელობას აცნობა, ვილას ალყა შემოარტყა და ბერლინთან გერმანელი აგენტურის ყოველგვარი კავშირიც შეწყდა.

თავიდან რუზველტმა გადაწყვიტა ამერიკის საელჩოში დარჩენილიყო, მაგრამ მოლოტოვმა გააფრთხილა, რომ ყოველი მხრიდან გარემოცული გერმანიის ატაშეს მაიერის ხალხს შეეძლო დამოუკიდებლად მოეწყო პროვოკაცია, რომ დაიღუპებოდნენ მშვიდობიანი ირანელები და სტალინის სახელით შესთავაზა რუზველტს საბჭოთა საელჩოში დაბინავებულიყო.

28 ნოემბერს რუზველტი საბჭოთა საელჩოს მთავარ შენობაში გადავიდა, სტალინი და მისი ამალა სხვა ოთახებში განთავსდნენ, ჩერჩილი კი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ინგლისის საელჩოში ცხოვრობდა, საიდანაც, რათა მისთვის სხდომებზე სიარული უფრო მოხერხებული ყოფილიყო, ბრეზენტით გადახურული გადასასვლელი იყო გაკეთებული. სტალინი სხდომებზე ყოველთვის ბოლო მიდიოდა და ჩერჩილი იხსენებდა, როგორ იბოღმებოდა, როდესაც კომუნისტური დიქტატორის გამოჩენისას ფეხზე ადგომა უწევდა ხოლმე, და როგორ გადაწყვიტა ერთხელ, სავარძელში დარჩენილიყო, მაგრამ საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ და ამჯერადაც ადგა, თითქოს ჰიპნოზირებული ყოფილიყოს.

ვიწრო ქუჩას, რომელზეც რუსეთის საელჩო მდებარეობს, პარიზის მახლობელი პატარა ქალაქის პატივსაცემად ახლა ნოფლ ლე შატო ჰქვია. იქ იმყოფებოდა გადასახლებაში ირანში დაბრუნებამდე იმანი ჰომეინი, რომელიც თეირანის კონფერენციას რომ იხსენებდა, მბრძანებელთა სამეულიდან სტალინს გამოჰყოფდა, მისი „ცერემონიების სიყვარულისა და არისტოკრატიზმის გამო“, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მან თვითმფრინავით თან ჩამოიყვანა მეწველი ძროხა და ყოველ დილით ახალ რძეს მიირთმევდა. ხუმრობით იყო თუ სერიოზულად, მაგრამ ჰომეინი ირანული ძროხების მაგივრად განაწყენდა.

არ ღირს სერიოზული დასკვნების გამოტანა, როდესაც კარგად გვახსოვს ამ ორივე ბელადის უბრალოება და იმ დონის უანგარობა, რომ ერთის გარდაცვალების შემდეგ პირადი საკუთრებიდან ფარაჯა დარჩა, მეორის კი – კრიალოსანი და პატარა სალოცავი ხალიჩა.

სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა აღინიშნოს თითოეული მათგანის წარმოუდგენელი შრომისუნარიანობა სიცოცხლის დადგენილ ზღვარამდე. სხვაობა მარტო იმაში იყო, რომ სტალინი მუშაობას დილისკენ ამთავრებდა და მთელი თავისი პარტიული ბიუროკრატია დაძაბულობაში ჰყავდა, ჰომეინი კი ზუსტად ათ საათზე წვებოდა დასაძინებლად და უთენია დგებოდა, რათა პირველი ნამაზისთვის მომზადებულიყო.

თეირანის კონფერენციის პირველივე სხდომაზე სიტყვა პირველმა, როგორც ყველაზე ახალგაზრდამ, ამ თავისებურ სამხედრო საბჭოზე, რუზველტმა აიღო და კარგად დაყენებული ხმით ჰკითხა „ჩვენს საბჭოთა მეგობრებს“, რით შეეძლოთ მოკავშირეებს მათი მდგომარეობის შემსუბუქება.

სტალინს მოსკოვში ეჩქარებოდა და, როგორც ყოველთვის, მოკლედ ილაპარაკა.

– უზრუნველყავით მოკავშირეთა ჯარების საფრანგეთში შეჭრა მომავალი წლის მაის-ივნისში, ჩვენ კი, რუსები, ჩვენი შეტევით მივეშველებით მათ.

სტალინი ხშირად ამბობდა „ჩვენ, რუსები“, და დაჟინებით მოითხოვდა ოპერაცია „ოვერლორდის“ განხორციელებას. ჩერჩილმა კვლავ სცადა ბალკანეთზე გადასხდომაზე ჩამოეგდო სიტყვა, მაგრამ მისი მოსაზრებები უყურადღებოდ დატოვეს. რუზველტი თავის მრჩეველებს მიუბრუნდა და გაღიზიანებით უთხრა:

– უინსტონს გრძელი სიტყვების წარმოთქმის ჩვეულება გამოუმუშავდა, რომლებიც მის მიერ ადრე გამოსვლების დროს წარმოთქმულ გრძელი სიტყვების გამეორებას წარმოადგენს.

სტალინმა უარყო რუზველტის წინადადება ომის შემდეგ გერმანიის ხუთ სახელმწიფოდ დანაწევრების თაობაზე („გერმანიის განადგურება შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია რუსეთის განადგურება“) და შეჰპირდა, რომ ევროპაში საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ საბჭოთა ჯარები იაპონელთა წინააღმდეგ იბრძოლებდნენ.

გამარჯვებამდე ჯერ კიდევ წელიწადნახევარი იყო, თეირანის კონფერენციაზე უკვე იღებდნენ მთელი მსოფლიოსთვის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს გაეროს შექმნისა და ბევრი სხვა რაიმის შესახებ, დეკლარაციაში კი ირწმუნებოდნენ, რომ „სულითა და მიზნებით ნამდვილ მეგობრებად“ სცილდებოდნენ ერთმანეთს.

ახლა ყველა მოლაპარაკება და გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია.

ვფიქრობ, რომ რუზველტი გულწრფელი იყო, როდესაც კონფერენციის დამთავრებისთანავე მისწერა სტალინს: „ჩვენმა ერთობლივმა საუბრებმა დიდი სიამოვნება მომანიჭა, განსაკუთრებით კი თქვენთან ერთი ერთზე შეხვედრის შესაძლებლობამ“.

მინიშნება ჩერჩილის სიტყვამრავლობაზე აშკარაა.

ირანის შესახებ საერთო საუბრისთვის მისი პრემიერ-მინისტრი სოჰეილიც იქნა მიწვეული, რომელსაც საბჭოთა კავშირში ტვირთების გადაზიდვის ხელშემშლელი წინააღმდეგობების აღმოფხვრისთვის მადლობა გადაუხადეს და ჯერ კიდევ 1942 წლის 29 იანვარს სსრკ-ის, ინგლისსა და ირანს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებების თანახმად შეძლებისდაგვარად ეკონომიკური დახმარებაც აღუთქვეს.

ომის შემდგომ ცნობილი გახდა, რომ მალე იგივე გერმანიის ელჩს თურქეთში ფონ პაპენსს თეირანის კონფერენციის მასალების ყიდვა შესთავაზა ვიღაც იდუმალმა ადამიანმა, მეტსახელად ციცერონმა, რომელიც ერთი ხანობა ბრიტანეთის ელჩის სერ ჰიუ ნეთჩბულა-ჰიუგესენის კამერდინერი იყო და ყოველივე იმის ფოტოგრაფირება შეძლო, რაც სეიფში ინახებოდა, მაგრამ ამას ისტორიის მსვლელობაზე არავითარი ზეგავლენა აღარ მოუხდენია.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 20.

პარასკევი, 28 იანვარი

08.00 "ადრე" 10.00 დოკ. ფილმი "ნადირობა შიდსის ვაქცინაზე" 11.00 სერიალი "მემკვიდრე ლუნა" 12.00 "მთავარი" 12.20 ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" 12.45 ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" 13.00 "სარჩევი" 14.00 სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" 15.00 "მთავარი" რუსულ ენაზე 15.30 "პროფესიონალი" 16.00 დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" 16.30 დოკ. ფილმი "უცნაური ადამიანები" 17.30 "ვაკანსია" 18.00 "მთავარი" -რეგიონებიდან 18.30 სერიალი "ჯეტ ჯექსონი" 19.00 "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ – "ჯონსონის მხარის ომი" მე-4ს. 20.00 "მთავარი" 20.45 "ბაბილინა" 21.00 სერიალი "მემკვიდრე ლუნა" 22.00 დოკ. ფილმი "დიეტა ან სიკვდილი" 23.00 "ტაქსი" 23.30 მუსიკა 00.30 მხ. ფილმი "წყალქვეშა ნავები" 02.00 საინფორმაციო გამოშვება

19.00 სერიალი "ზღვის რაჯა" მე-4ს. 19.50 "ბაბილინა" 20.05 სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 20.30 სერიალი "უშიშარნი" 21.20 აფხაზეთის ტელევიზია 22.00 კინოსეანსი "მშვენიერი ხანა"

07.30 დილა 08.00 ტელელიპუცები 10.00 სერიალი "ეკლები და ვარდები" 11.00 ვის უნდა 50 ათასი 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.00 კურიერი 12.20 სერიალი "შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი "პოლიციელები და ქურდები" 15.25 სერიალი "ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი "ეკლები და ვარდები" 17.25 ტელელიპუცები 18.20 "ჯეტიქსი" 18.55 სერიალი "ბევერლი ჰილზი" 19.45 პატრული 19.55 სერიალი "შეყვარებული ქალები" 22.00 ღამის შოუ 23.00 მხ. ფილმი "ლამაზი ჯონი" (18) (მიკი რურკი) 01.20 პატრული 01.35 მხ. ფილმი "გაიხსენე ყველაფერი" (18)

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" 07.30 დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 იმედის დილა 09.20 "დუბლიორი" 10.05 სერიალი "მოჯადოება" 11.15 სერიალი "კამენსკაია-5" 12.20, 17.10, 02.25 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 01.55 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი "ჯოჯოხეთური ცათამბჯენი" (U) (ე. ჟიუდორი) 15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.45 ქრონიკა 15.20 სერიალი "ოცნების სანაპირო" 16.40 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" 17.25 "ვაკაჭი-ნიუსი" 18.05 სერიალი "მოჯადოება" 19.35 სერიალი "ოცნების სანაპირო" 20.30 თოქ-შოუ "რეაქცია" 22.50 "ათასიდან ერთი შანსი" 23.20 მხ. ფილმი "ვნების კვირა" (15) (მ. სორვინო) 00.50 სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ფარული კამერა 09.30 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "სინიორ ვიანელო" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 12.05 კრიმინ. დრამა "CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 13.05 კრიმ. დრამა "დიელი და პასკო" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" 16.05 სერიალი "ველური მთვარე" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 კრიმ. დრამა "დიელი და პასკო" 18.20 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.50 მუსიკა 19.00 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი "სინიორ ვიანელო" 21.45 კრიმინ. დრამა "CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 არჩევანის ზღვარზე 00.00 მხ. ფილმი "კაბირიას ღამეები" (U) (ჯულიეტა მაზინა)

11.00 მხ. ფილმი "უტოპიის ზღვარს მიღმა" (U) 14.00 NEO-TV 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.20 NEO-TV 19.20 სპექტრი 21.15 მხ. ფილმი "კანონსაწინააღმდეგო" (U) 23.00, 00.30 NEO-TV

09.00 საინფ. დაიჯესტი 09.20 კომედია "ითამაშე როგორც ბეკჰემი" 11.10 მუსიკა 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 11.45 ბოევიკი "მე-6 დღე" 13.50 მუსიკა 14.45 მხ. ფილმი "ბრძოლა შეიკერ ჰეისთან" 16.05 მულტფილმი 17.45 კომედია "რა სურთ ქალებს" 18.30 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" 20.15 "მოგზაური" 21.00 მხ. ფილმი "აპოკალიფსი" 23.30 საინფ. გამოშვება 23.50 მხ. ფილმი "აპოკალიფსი" (გაგრძელება)

შაბათი, 29 იანვარი

08.00 "მთავარი" 08.15 ანიმ. ფილმი "შუქურა სოლტი" 08.45 საბავშვო სერიალი "ჯუნგლის კანონი" 09.10 მომავლის ცირკი 10.00 სპექტაკლი "კუკარაჩა" 11.30 "ტაქსი" 12.00 "მთავარი" 12.20 დოკ. ფილმი "ფატალური ყვავილები" 13.20 მხ. ფილმი "განძთა კუნძული" 15.00 მუსიკა 16.00 "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ – "მეათე სამეფო" 17.00 "არტე" წარმოგიდგენთ – "მთელი ეს ცირკი" 18.00, 20.00 "მთავარი" -საინფ. პროგრამა 18.10 "არქივი" - ხალხური 18.30 "მრწამსი" 19.00 დოკ. ფილმი "მოგზაურის გიდი"-ბარსელონა 20.30 დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და კრიმინალი" 21.30 "რაციო" 22.30 ბიოგრაფიული პორტრეტები -მუსოლინი 23.30 "ჩვენ" 00.45 მხ. ფილმი "ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი" 02.00 საინფ. გამოშვება

19.00 სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 19.30 ტელეზღაპარი 19.45 სერიალი "უშიშარნი" 20.35 დოკ. ფილმი "ტიბეტი" 21.35 მრწამსი 22.20 სპექტაკლი "სურათები საოჯახო ალბომიდან"

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.20 "ჯეტიქსი" 11.00 სერიალი "ტარზანი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.20 გაიღიმეთ ფარული კამერაა 12.50 მხ. ფილმი "ჩაპლინი" (U) 15.20 მხ. ფილმი "შერლოკ ჰოლმსი" (U) 18.20 დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) 18.50 მხ. ფილმი "ოპერაცია "ტუშენკო" (U) (ჟან რენო) 22.00 შაბათის ღამის შოუ 23.00 "ფსიქო" – მხ. ფილმი "ოჯახური ქრონიკა". რეჟ. ვალერიო ძურლინი. 02.00 კურიერი 02.20 მხ. ფილმი "მთამსვლელი" (18)

09.00 ანიმ. ფილმი "ყურცქვიტა რეჯის თავგადასავალი" 09.55 მხ. ფილმი "ავი ძაღლი" 1-ლი ს. 11.00 "ზღაპარ იყო" 11.20 "რაო, რაო?" 11.30 "იმედითა შენითა" 11.45 დილის ფოსტა 12.40, 16.15, 02.40 ტვ-მარკეტი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15, 02.30 ქრონიკა 13.15 მხ. ფილმი "უმაღლესი გონი" (U) (ე. რობერტსი) 15.15 "უცნობი საქართველო" 15.45 "წუთისოფელში" 16.30 "ნბა"-ს ჟურნალი 17.10 დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" 18.05 "პირველი ნაბიჯი" 19.30 ვაკაჭი-ნიუსი 20.00 იუმორინა-2004 22.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 00.20 ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად 01.35 სერიალი "ნეშ ბრიჯესი" 03.10 იმედის მელოდიები

09.00 მუსიკა მზეზე 09.30 მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" 10.00 საბავშო სერიალი "ოდისეა" 10.30 სერიალი "დაკარგული ქვეყანა" 11.30 "ექსტრემალური ამბები" 12.30 ტელეჟურნალი "მოდა" 13.00 სერიალი "კარაბინერები" 14.00, 17.00, 20.00 მზერა 14.15 მხ. ფილმი "ვახშამი ბრიყვთან ერთად" 16.15 მუსიკა მზეზე 16.30 "დები ტრევისის საოცარი სახლი" 17.20 ფარული კამერა 17.50 სერიალი "დაკარგული ქვეყანა" 19.00 სერიალი "კარაბინერები" 20.30 დრამა "ტაქსის მძღოლი" 21.30 ტელეჟურნალი "სცენა" 22.00 მხ. ფილმი "ვინც არ უნდა იყო მანდ" 00.00 მხ. ფილმი "ორნი ზღვასთან".

11.00 მხ. ფილმი "კანონსაწინააღმდეგო" (U) 13.00 NEO-TV 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" 19.40 "საწინდარი" 20.10 საბავშვო პროგრამა "სტუმრად ჩიკოსთან" 21.00 მხ. ფილმი "წესების გარეშე" (U)

09.00 საინფ. დაიჯესტი 09.20 სათავგადასავლო ფილმი "102 დალმატინელი" 11.00 "მოგზაური" 11.20 მხ. ფილმი "რობინ ჰუდი" 13.40 მუსიკა 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 14.45 კომედია "უთქმელი სიყვარული" 16.45 მულტსერიალი 17.15 "ჭიტა-ჭიტა" 17.45 მუსიკა 18.30 საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" 18.50 დეტექტივი "ორნი ქალაქში" 21.00 "ფერისცვალება" 21.15 მუსიკა 21.30 თრილერი "ოცნება არგენტინაზე" 23.10 მუსიკა 23.20 მხ. ფილმი "საბინა"



## ბუში ერაყელებს არჩევნებში მონაწილეობისთვის მოუწოდებს

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მოუწოდა ერაყელებს, მიიღონ მონაწილეობა კვირისთვის დაგეგმილ არჩევნებში.**

„მოგიწოდებთ ყველას, მიიღოთ მონაწილეობა კენჭისყრაში, – თქვა ჯორჯ ბუშმა, ვაშინგტონში ინაუგურაციის შემდეგ გამართულ პირველ პრესკონფერენციაზე, – აღტაცებული ვარ ერაყელი ხალხის სიმამაცით. ვფიქრობ, რომ ეს გახდება დიადი მომენტი ერაყის ისტორიაში“, – აღნიშნა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

კითხვას, თუ რა გეგმები აქვს ვაშინგტონს 30 იანვრის არჩევნების შემდეგ, ბუშმა უპასუხა, რომ „სამხედროები თავიანთ მისიას დაასრულებენ რაც შეიძლება მალე“.

„მტერს სურს, რომ ამერიკელებმა ერაყი დატოვონ სასწრაფოდ, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ერაყელები შეძლებენ საკუთარი თავის დაცვას“, – თქვა ბუშმა.

ჯორჯ ბუშმა ასეთი განცხადება გააკეთა ოთხშაბათ საღამოს, როცა ამერიკელთა ჯარებმა განიცადეს ყველაზე მძიმე დანაკარგი ერაყში საომარი ოპერაციის დაწყების შემდეგ: ერაყის დასავლეთ ნაწილში ვერტმფრენის კატასტროფის შედეგად დაიღუპა 31 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვერტმფრენი ჩამოვარდა ერაყ-იორდანიის საზღვრის მიდამოებში.

ავარიის მიზეზად ასახელებენ უამინდობას, მაგრამ როგორც ამერიკელი სამხედრო სპეციალისტები ფიქრობენ, ჯერჯერობით ნაადრევია იმის გამორიცხვა, რომ ვერტმფრენი ერაყელმა ამბოხებულებმა ჩამოაგდეს.

ერაყის მეორე ნაწილში კი დაიღუპა ექვსი ამერიკელი ჯარისკაცი და 22 ერაყელი.

ეს ერაყში ამერიკელთა ვერტმფრენის ჩამოვარდნის პირველი შემთხვევა არ არის. კერძოდ, 2003 წლის 15 ნოემბერს 17 ამერიკელი დაიღუპა, როცა ქალაქ მოსულის თავზე ერთმანეთს შეეჯახა ორი ვერტმფრენი.

მანამდე, ორი კვირით ადრე კი ჩამოაგდეს ამერიკელთა ვერტმფრენი ქალაქ ფალუჯის მიდამოებში, რის შედეგადაც მაშინ 16 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

## მსოფლიო პატივს მიაგებს ჰოლოკოსტის მსხვერპლთ



**მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს მეთაურები ჩავიდნენ პოლონეთში, რათა მიიღონ მონაწილეობა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის გათავისუფლების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.**

ცერემონიის მონაწილეთა შორის არიან ისრაელის, რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის პრეზიდენტები, დიდ ბრიტანეთს წარმოადგენს ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტრო, ამერიკის შეერთებულ შტატებს კი – ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი.

როგორც ცნობილია, ოსვენციმის ბანაკში დაიღუპა მილიონზე მეტი ადამიანი, რომელთა უმრავლესობას ებრაელები შეადგენდნენ.

დიდი სამამულო ომის სამი ვეტერანი, რომლებიც მონაწილეობდნენ ბანაკის გათავისუფლებაში, აგრეთვე, ოსვენციმის ექვსი ყოფილი პატიმარი დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად აანთებენ მემორიალურ სანთლებს.

ამის შემდეგ სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლები აღავლენენ წირვა-ლოცვას.

ამავე დროს, ბერლინში, ბუნდესტაგის დეპუტატების წინაშე გამოვა ოსვენციმის ერთ-ერთი ყოფილი პატიმარი არნო ბლიუსტიგერი, გერმანელი პოეტი ბირმანი კი წაიკითხავს ბანაკის სხვა ტუსაღების მიერ დაწერილ ლექსებს.

## მოკლედ

**ისრაელის მთავრობა კმაყოფილია პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ზომებით. ისრაელის პრემიერი არიელ შარონი მზად არის ითანამშრომლოს პალესტინის მხარესთან, რადგან მაჰმუდ აბასი შეუდგა აქტიურ მოქმედებას. მოლაპარაკების დროს მხარეებმა დათქვეს, რომ ღაზის სექტორში განლაგდებოდნენ პალესტინელი პოლიციელები.**

* * *

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სინთეზური სათბობის მწარმოებელ ქარხანაში აფეთქდა გაზი, რის შედეგადაც 14 კაცი დაშავდა. წინასწარი მონაცემებით, აფეთქება გამოიწვია ერთ-ერთ საამქროში გაზის გაჟონვამ.**

* * *

**საფრანგეთში დააკავეს ისლამისტი, რომელიც ქირაობდა მოთარეშეებს ერაყში გასაგზავნად. ამ ადამიანების ნაწილი დააკავეს საფრანგეთის ტერიტორიაზე, ბოლო 4 კაცი კი, მაშინ, როცა ისინი მუსლიმანთა წმინდა ქალაქ მექადან დაბრუნდნენ. ერთ-ერთი დაკავებული ქალი გაათავისუფლეს, დანარჩენები კი ჯერჯერობით დაპატიმრებულები არიან.**



* * *

**მოულოდნელმა დიდთოვლობამ უამრავი პრობლემა შეუქმნა ალჟირის ჩრდილოეთ ნაწილს – განსაკუთრებით ხმელთაშუაზღვისპირა ქალაქებს კონსტანტინუსა და სკიკდუს. თოვლსა და ყინვას უკვე შეეწირა 9 კაცის სიცოცხლე, გარდა ამისა, ქვეყანაში მოხდა რამდენიმე დიდი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა.**



* * *

**ბრიტანეთში გაათავისუფლეს გუანტანამოს საპყრობილის ყოფილი პატიმრები. დაკითხვის შემდეგ ოფიციალური ბრალდების წაყენების გარეშე გაათავისუფლეს მოზამ ბეგი, პეროზ აბასი, რიჩარდ ბელმარი და მარტინ მუბანგა. ბრიტანეთის ეს მოქალაქეები დააკავეს 2001 წლის დამლევს ავღანეთში, პაკისტანსა და ზამბიაში.**




## ლივერპულში შეიძლება გამოჩნდეს „წითელი ფარნები“

**ინგლისში მალე შეიძლება გაიხსნას „წითელი ფარნების“ პირველი უბანი. ლივერპულის საქალაქო საბჭომ მოიწონა იდეა ზონის გამოყოფის შესახებ, სადაც ნებისმიერ მსურველს გაუწევენ „სექსუალურ მომსახურებას“.**

მაგრამ მრავალმა ლივერპულელმა გაილაშქრა ქალაქის დანარჩენი ნაწილისგან საროსკიპოების იზოლაციის წინააღმდეგ. ამ იდეას, ძირითადად, არ იწონებდნენ „პროსტიტუციის წინააღმდეგ მებრძოლ ადგილობრივ მცხოვრებთა“ მოძრაობის წევრები.

„მეძავები უხეშები და ამაზრზენნი არიან, – განაცხადა ამ მოძრაობის ხელმძღვანელმა პოლინ დენიელმა, – ისინი არავის ერიდებიან, გარდა ამისა, ტოვებენ უამრავ ნაგავს, ნახმარ პრეზერვატივებს და შპრიცებს“. ქალბატონი დენიელი, ალბათ, გულისხმობს იმას, რომ მრავალი მეძავი ნარკომანიც არის, ისინი რყვნიან ახალგაზრდებს და ღირსეული ოჯახების მამებს, და საერთოდ, ამახინჯებენ ქალაქის იერ-სახეს.

პროსტიტუცია არსებობს და, მისი აკრძალვის მიუხედავად, ინგლისში ეს უკანონო საქმიანობად მაინც არ ითვლება. დანაშაულია სუტენიორობა.

ლივერპულში გადაწყვიტეს, ბოლო მოუღონ ყოველივე ამას. ქალაქის ყოველმა მეხუთე მცხოვრებმა მხარი დაუჭირა მეძავებისთვის სპეციალური ზონის გამოყოფას.

ლივერპულის ქალაქის მესვეურებმა გამოცდილების გაზიარების მიზნით მოინახულეს დასავლეთ ევროპის მრავალი სხვა ქალაქი, რომელთა იერსახეს უკვე კარგა ხანია შეერწყა „წითელი ფარნების“ უბნები. ლივერპულში არსებობს ასევე ბრიტანეთის სექსმუშაკთა თავისებური პროფკავშირის შტაბ-ბინა. ამ ორგანიზაციას ვინმე როზი კემბელი ხელმძღვანელობს.

„ასეთი ზონები სხვა ქალაქებშიც არსებობს, იქ კლიენტები ხალისით დადიან. ჩვენში ამ ზონებს გააკონტროლებს ხელისუფლება და დაიცავს პოლიცია, – მიაჩნია კემბელს, – ყოველივე ამის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება ქალების უშიშროება და შემცირდება მათი ექსპლუატაციის დონე, გარდა ამისა, კლიენტისთვის მათი მომსახურება უფრო ეფექტიანი და ხელმისაწვდომი გახდება“.



## კატასტროფა ლოს-ანჯელესის მახლობლად

**ათი კაცი დაიღუპა და კიდევ 200 დაშავდა (40 მათგანის მდგომარეობა კრიტიკულია) ლოს-ანჯელესის გარეუბანში, დილის პიკ-საათის დროს, სამი მატარებლისა და ავტომობილის შეჯახების შედეგად.**

კატასტროფა მოხდა დაახლოებით დილის ექვს საათზე (გრინვიჩის დროით 14 საათი), ლოს-ანჯელესის გარეუბან გრენდეილის მიდამოებში, როცა „მეტროლაინკის“ კომპანიის კუთვნილი საგარეუბნო მატარებელი შეეჯახა ავტომობილს, რის შედეგადაც გადავიდა რელსებიდან და მეორე მატარებელს შეეჯახა.

ამ ავარიის შემდეგ კი, ერთ-ერთი სამგზავრო მატარებელი შეეჯახა ლიანდაგზე მდგომ ხრეშით დატვირთულ სატვირთო შემადგენლობას.

კალიფორნიის შტატის პოლიციის ვარაუდით, ტრაგედიის მიზეზი გახდა თვითმკვლელობის მცდელობა.

26 წლის ხუან მანუელ ალვარესმა თავისი ჯიპი გააჩერა ლიანდაგზე, მაგრამ მოულოდნელად გადაიფიქრა თავის მოკვლა და მანქანიდან გადავიდა. როგორც პოლიციელები აღნიშნავენ, ხუან მანუელ ალვარესს წარუდგენენ ბრალდებას მკვლელობის მუხლით.

ინფორმაცია

## ქრთამის აღების ფაქტზე

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქრთამის აღების ფაქტზე პოლიციის რამდენიმე მაღალჩინოსანი დააკავა.

როგორც გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა დიდუბე-ჩუღურეთის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი შოთა მანელიძე დააკავეს, რომელმაც ეჭვმიტანილს ბრალდების მუხლის შეცვლის სანაცვლოდ 1000 ლარამდე თანხა გამოსძალა.

გუშინვე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე ბორჯომში საბაჟო „აღმოსავლეთის" გაფორმებების განყოფილების უფროსი დავით მეფარიშვილი დააკავეს.

გარდა ამისა, შს სამინისტრომ ძებნილად გამოაცხადა ქუთაისის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს ნარკომანიის სამსახურის უფროსი კობა ნიკოლაძე, რომელმაც ერთ-ერთი მოქალაქისგან ქრთამის სახით 700 დოლარი აიღო. ნიკოლაძის სამუშაო ოთახის ჩხრეკის დროს ამოღებულია შესაბამისი თანხა.

ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ყველა აღნიშნული პოლიციელის ხელმძღვანელ პირებს ხელქვეითების არასათანადო კონტროლის გამო სასტიკი საყვედური გამოეცხადებათ.

გარდა ამისა, მისი თქმით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს საშემსრულებლო დისციპლინის უხეში დარღვევისათვის და ხელქვეითებისადმი კონტროლის შესუსტების გამო დისციპლინალური სასჯელი დაედო პოლიციის რიგ თანამშრომლებს. კერძოდ, სასტიკი საყვედური გამოეცხადა მეორე განყოფილების უფროსს ლაშა არველაძეს, მის მოადგილეს რევაზ მიხანაშვილს. საყვედური გამოეცხადა მეორე განყოფილების უფროს ოპერატიულ თანამშრომელს თემურ რევაზიშვილს, მესამე განყოფილების უფროს ოპერატიულ თანამშრომელს გიორგი ხუხიას, მეორე განყოფილების ოპერატიულ თანამშრომელს კახაბერ მირუაშვილს. შენიშვნა გამოეცხადა სამმართველოს უფროსს გიორგი მელიქიძეს და მის მოადგილეს ლევან გვენცაძეს. მკაცრად იქნა გაფრთხილებული შსს-ის სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე კახა მისირელი.

## თბილისის №1 საპყრობილეში ნარკოტიკული ნივთიერების შეტანის მცდელობა აღკვეთეს

თბილისის №1 საპყრობილეს საამანათო განყოფილებაში გუშინ 22 წლის დავით კ. დააკავეს, რომელსაც პატიმრისთვის შესაგზავნ ამანათში თეთრი ფერის ნივთიერება, სავარაუდოდ, ჰეროინი აღმოუჩინეს.

ამანათი დაილუქა და ნარკოტიკული ნივთიერების ზუსტი ოდენობისა და სახეობის განსასაზღვრად ექსპერტიზაზე გადაიგზავნა.

მიმდინარე წელს თბილისის №1 საპყრობილეში ნარკოტიკული ნივთიერების შეტანის 6 მცდელობაა გამოვლენილი.

## დაბა ჯვარის მიდამოებში ოთხი „ტრაილერი" დააკავეს

წალენჯიხის პოლიციამ და ფინანსური პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ ჩატარებული ერთობლივი რეიდის შედეგად დაბა ჯვარის მიდამოებში განსაკუთრებით დიდი ოდენობით კონტრაბანდული ხე-მასალით დატვირთული ოთხი „ტრაილერი" დააკავეს.

სატვირთო ავტომანქანები მესტიიდან ზუგდიდის მიმართულებით მოძრაობდნენ. მათ ნეკერჩხლის, წიფლისა და წაბლის მორები გადაჰქონდათ.

როგორც ფინანსური პოლიციის უფროსი კახა კაკაბაძე აცხადებს, ვიზუალური დათვალიერების მონაცემებით, ხე-მასალის მოცულობა დაახლოებით 100 კუბურ მეტრს შეადგენს. მასალა ზუგდიდის გავლით თურქეთში გადასატანად იყო გამზადებული.

## ძარცვის ფაქტზე შვიდი არასრულწლოვანი დააკავეს

ქუთაისის პოლიციამ და საპატრულო სამსახურის თანამშრომლებმა დილით შვიდი არასრულწლოვანი დააკავეს, რომლებიც მგალობლიშვილის ქუჩაზე ორ საცხოვრებელ სახლს ერთდროულად ძარცვავდნენ. მძარცველები ფაქტზე აიყვანეს.

როგორც ინტერ-პრესს ქუთაისის პოლიციაში განუცხადეს, მათ ძარცვის შესახებ ინფორმაცია ანონიმური ზარის საშუალებით მიიღეს.

შვიდივე დაკავებული ქუთაისში დროებით მცხოვრები, აფხაზეთიდან დევნილი გამოდგა. არასრულწლოვანები ადრეც იყვნენ ნასამართლევი ქურდობისათვის და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

## კიდევ ერთი იატაქქვეშა კაზინო

ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველომ კიდევ ერთი იატაკქვეშა კაზინო აღმოაჩინა. ფინანსური პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმმა ისნის მეტროსთან მდებარე კაზინო „ელდორადოს" შესასვლელი, სალარო და სათამაშო მაგიდები დაბლოკა.

პოლიციის შესვლის მომენტში კაზინოში ოთხი მაგიდა მუშაობდა.

კანონმდებლობის თანახმად, კაზინო თითოეულ მაგიდაზე ფიქსირებულ გადასახადს — 7 ათას ლარს იხდის, „ელდორადო" კი გადასახადს საერთოდ არ იხდიდა.

ფინანსური პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დასტურდება, რომ ეს კაზინო რამდენიმე თვის განმავლობაში არალეგალურად ფუნქციონირებდა.

მისი მესაკუთრე როინ ნიჟარაძე კაზინოში მისულ ფინანსურ პოლიციას ადგილზე დახვდა.

სისხლის სამართლის საქმე განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადის გადახდისთვის თავის არიდების მუხლით აღიძვრება.

ინტერ-პრესი.

დროის ხმა

## გორი-ცხინვალის გზებო!

**თ. აბუაშვილის ხსოვნას**

თემო, რა უცებ წახველ, ცას შეაგებე მკერდი...
თემო, რა ვუყო ნაღველს შენი საფლავის გვერდით!
თემო, რა დარდი გაგვყვა, ვაჟკაცი შვილის დარდი...
მანდ ეღირსები ნახვას დროგაუსვლელი ვადით!
ვეღარც სამშობლომ შემლო ფეხზე დადგომა მყარად.
და ქვეყნის ჭირიც, თემო, ზედ გულზე დაგაყარა!
გორი-ცხინვალის გზებო, გახსოვთ? — ალალად გენდეთ!
შენ შემოგჩივლებ, თემო, როგორ ვეწამე დღემდე!
როგორ გამწირეს, თემო, და ამირიეს კვალი,
მარგუნეს შხამის გემო, და ჩახურული კარი...
მიწას ვერ გაური მუჭას, შენ რომ საფლავში წვები!
და ლამაზ თვალებს ხუჭავს ჩვენი ბავშვობის წლები!

მზია ხუთაგური.

პერიოდიკა

## ვისაც ხელოვნება უყვარს

**ვისაც ხელოვნება უყვარს, უთუოდ გაიხარებს — დიდი შუალედის შემდეგ ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებში ისევ გამოჩნდება ჟურნალი „ხელოვნება" (გამოდის 1921 წლიდან), რომლის დევიზია „თავისუფალ საქართველოს თავისუფალი ხელოვნება".**

ჟურნალის დამაარსებელია „ხელოვნების" რედაქცია და საქართველოს კულტურის სამინისტრო, მთავარი რედაქტორი ნოდარ გურაბანიძე, მოადგილე ლამარა ელიოზიშვილი.

მართალია, უკვე 2005 წელია, მაგრამ „ხელოვნების" ეს გამოცემა უნომროა, რადგან შარშან და ისიც ნოემბრამდე, მეტი არც გამოსულა. და არა თუ შარშან, — მთელი 2003 წლის მანძილზე თვალითაც არ გვინახავს, ხოლო 2002 წელს სამი შეწყვილებული ნომერი გამოვიდა, მაშინ, როდესაც ჟურნალს ყოველთვიურად ელოდა მკითხველი და იღებდა კიდეც დროულად თეატრის, მუსიკის, ქორეოგრაფიის, მხატვრობის, არქიტექტურის, კინოს, ტელევიზიის შესახებ დაწერილ საფუძვლიან წერილებს.

2004 წლის ეს ერთადერთი ნომერი დაიბეჭდა „კაბადონში", ხოლო გარეკანი გაკეთდა გამომცემლობა „კოლორში". მის პირველ გვერდს ამშვენებს ჯუნა მიქატაძის ლადო გუდიაშვილის ძეგლი, მეოთხეს კი დიმა ერისთავის ნახატი — „მეტრო".

ნომერი იხსნება მანანა ითონიშვილის სტატიით, რომელიც ეხება კოტე მახარაძის პუბლიცისტურ და თეორიულ მემკვიდრეობას; ეკა გუნთიაშვილი მსჯელობს გია ბუღაძის თეორიულ ნააზრევზე რიჰარდ ვაგნერისა და გერმანული რომანტიზმის გავლენის თაობაზე; ლალი ოსეფაშვილი აღწერს გიორგი მესამის კოსტიუმს ვარძიის, ბეთანიისა და ყინწვისის მოხატულობათა მიხედვით — აღნიშნავს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში, მაშინ, როცა ქვეყანა ყოველმხრივ განვითარებული იყო და ყველა დარგს ეროვნული დაღი ესვა, ქართველი მეფეები ბიზანტიურად იმოსებოდნენ, თუმცა ბისონის (იგივე დიბიტისიანი, სკარამანგიონი, დალმატიკი) გაფორმება ადგილობრივ ფესვებს ემყარებოდა და ამ მხრივ ქართული იერით წარმოჩინდებოდა — ავტორი გულისხმობს ორნამენტულ მოტივთა ნაირსახეობას, ფერთა




შეხამებას, ხასიათს, რაც ტრადიციული იყო ქართული ხელოვნებისთვის.

თეატრალური დარგი წარმოდგენილია გიორგი ჯაჯანიძის „ზნეობრივი გმირებით", რომელშიც ავტორი გამორჩეული ხელოვანის გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებას მიმოიხილავს.

ამავე ნომერში გაეცნობით დრამატურგ გურამ ბათიაშვილის პიესას „სამშობლო მცირეთა და მრავალთა".

დიმიტრი არაყიშვილის შემოქმედებას ეხება მუსიკოსი გვანცა ღვინჯილია, თენგიზ შავლოხაშვილი კი სულხან ნასიძის სიმფონია „ფიროსმანის" საორკესტრო დრამატურგიის ტენდენციებზე მსჯელობს. მარინე იაშვილის შემოქმედებით პორტრეტს გვიხატავს ცნობილი მუსიკისმცოდნე მანანა ახმეტელი. „პოლიფონიური საწყისი ეკა ჯაბაშვილის კამერულ ანსამბლებში" — ეს მაია ტაბლიაშვილის კვლევის საგანია.

სახვითი ხელოვნების და არქიტექტურის საკითხებია გაშუქებული თეა ურუშაძის („დავით კაკაბაძის გამოუქვეყნებელი წერილი"), ნინო ხუნდაძის („დიმიტრი ერისთავის ახალი გრაფიკული სერიები"), ლალი გიორგობიანის („სახვით-აბსტრაქტული აზროვნება ფიგურატიულ და არაფიგურატიულ ხელოვნებაში"), ნატო გენგიურის („დვანის წმ. გიორგის ეკლესიის დათარიღების საკითხისათვის" და „შუა საუკუნეების ქართული ტაძრების შესასვლელ-კარიბჭეთა არქიტექტურული გადაწყვეტის შესახებ"); ვახტანგ ჯაფარიძის („გამოხმაურება პარმენ ზაქარაიას ნაშრომზე „ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია") წერილებში.

კინოხელოვნებაზე იბეჭდება ლია კალანდარიშვილისა („ვითომ ლურჯა ცხენები") და მაია სიხარულიძის სტატიები („მერაბ ელიოზიშვილის „თეთრი ქარავანი" და „გზები და გზაჯვარედინები").

ასეთი დაყურსულია ჟურნალის ეს ახალი ნომერი, მაგრამ რა ბედი ელის მას ახალი, 2005 წლიდან, ეს ჯერ კიდევ უცნობია, თუმცა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, რომელმაც ეს უნომრო ჟურნალი დააფინანსა, მომავალშიც ხელს გაუმართავს „ხელოვნების" მესვეურთ.

ნანა ღვინეფაძე.

სტატისტიკა

## კავკასიის რეგიონების მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა

რუსეთის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის კრებსითი მონაცემებით, 2002 წლის სრულიად რუსეთის მოსახლეობის აღწერის შედეგად, სამხრეთი ფედერალური ოლქის რეგიონების მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს:

| | |
|---|---|
| **ადიღეს რესპუბლიკა** | **– 447,1 ათასი;** |
| **დაღესტნის რესპუბლიკა** | **– 2576,53 ათასი;** |
| **ინგუშეთის რესპუბლიკა** | **– 476,29 ათასი;** |
| **ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა** | **– 901,49 ათასი;** |
| **ყალმუხეთის რესპუბლიკა** | **– 292,4 ათასი;** |
| **ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა** | **– 439,47 ათასი;** |
| **ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანია** | **– 710,27 ათასი;** |
| **ჩეჩნეთის რესპუბლიკა** | **– 1103,68 ათასი;** |
| **კრასნოდარის მხარე** | **– 5125,22 ათასი;** |
| **სტავროპოლის მხარე** | **– 2735,13 ათასი;** |
| **ასტრახანის ოლქი** | **– 1005,27 ათასი;** |
| **ვოლგოგრადის ოლქი** | **– 2699,22 ათასი;** |
| **როსტოვის ოლქი** | **– 4404,01 ათასი;** |
| **სამხრეთის ფედერალური ოლქის მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენს** | **– 22.907,14 ათას კაცს.** |

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთაშორისი სტატისტიკის კომიტეტისა და სომხეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, **სომხეთის** მუდმივი მოსახლეობა **2004 წლის დამდეგისთვის** შეადგენდა **3,21 მილიონ კაცს.**

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთაშორისი სტატისტიკის კომიტეტისა და აზერბაიჯანის მთავრობის მონაცემებით, **აზერბაიჯანის** მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა **2004 წლის დამდეგისთვის** შეადგენდა **8,3 მილიონ კაცს.**

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთაშორისი სტატისტიკის კომიტეტის მონაცემებით, **საქართველოს** მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა **2004 წლის დამდეგისთვის** შეადგენდა **4,3 მილიონ კაცს.**

## დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია



**მილიარდი წლის წინათ დედამიწაზე წელიწადი შეადგენდა 540 დღე-ღამეს და არა 365-ს, როგორც ახლა. სამაგიეროდ, ერთი დღის ხანგრძლივობა სულ 15 საათი იყო ამჟამინდელი 24 საათის ნაცვლად. ანუ, ჩვენი პლანეტის ბრუნვა ამ პერიოდში (კოსმოსური წელთაღრიცხვით მიკროსკოპულ დროში) შენელდა თითქმის ორჯერ!**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს პირადი ჰიგიენის საგნების შესყიდვაზე **და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს**

**შესყიდვის ობიექტი — პირადი ჰიგიენის საგნები**
**დაფინანსების წყარო — სახელმწიფო ბიუჯეტი**

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

პირადი ჰიგიენის საგნები

| ლოტი № | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| ლოტი №1 | სასაპნე | კიპლექტი | 11750,00 | 01.04.05-30.09.04 | ქ. თბილისი |
| ლოტი №2 | ხელის საპონი | კგ | 8000,00 | 10.03.05-31.12.05 | |
| ლოტი №3 | საოჯახო საპონი | კგ | 12000,00 | 10.03.05-31.12.05 | |
| ლოტი №4 | საპარსი მოწყობილობა ერთჯერადი | ც | 70000,00 | 10.03.05-31.12.05 | |

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად ადგილზე მიტანით ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

3. მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ—შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

3. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**დამატებითი მოთხოვნები:**

ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2005 წლის 12 თებერვლიდან 2005 წლის 16 თებერვლის 14 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**0177, ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, შესყიდვების დეპარტამენტი მე-6 სართული, ოთახი №609, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2005 წლის 17 თებერვლის 14 საათზე** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით მათ სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 23 თებერვლიდან 2005 წლის 25 თებერვლის 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: **0177, ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2. თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი, მე-6 სართული, ოთახი №609.** სატენდერო კომიისიის აპარატი.

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 3 მარტის 14 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 3 მარტს 14 საათზე.** პრეტენდენტების დასწრება აუცილებელია.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე **39-96-48**.

სატენდერო კომისია.

## ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთის გამგეობა აცხადებს ტენდერს

**2005 საბიუჯეტო წლის განმავლობაში, შემდეგი მომსახურების შესყიდვაზე:**

**1. დაბა კაზრეთის ცენტრალური გზებისა და ქუჩების დაგვა-დასუფთავება 47000 $მ^2$;**

**2. სკვერების მოვლა-პატრონობა 576000 $მ^2$;**

**3. მრავალსართულიანი სახლების მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება 42000 $მ^2$;**

**4. გზისპირა არხების გაწმენდა 4200 გრძ/მ;**

**5. სოფ. კაზრეთის, ორსართულიანი დასახლებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ტერიტორიიდან ნაგვის გატანა, 25 ურნა;**

**6. მრავალსართულიანი სახლების 68 საყოფაცხოვრებო ნაგვის კამერებიდან ნარჩენების გატანა; წყალგაყვანილობა.**

**1. ფოლადის მილების შეკეთება: 1700 გრძ/მ;**

**2. ვენტილების რემონტი და მომსახურება.**

**პრეტენდენტებმა წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 15 თებერვლამდე დაბა კაზრეთის გამგეობაში.**

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდნენ შემდეგ ცნობებს: ცნობა ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ; ცნობა რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ; ცნობა ეკონომიკურ დანაშაულზე; ხელმძღვანელის ნასამართლეობაზე.**

**შეფასებისას პრიორიტეტი მიენიჭება მომსახურების ღირებულებას. წინადადებების შეფასება მოხდება ქართულ ენაზე, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2005 წლის 17 თებერვალს დღის 2 საათზე, სატენდერო მოსაკრებლის (500 ლარი) გადახდის შემდეგ.**

**დაინტერესებულმა ფიზიკურმა პირებმა მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთის გამგეობა, I სართული, კომისიის თავმჯდომარე თამაზ სარაჯიშვილი, ტელ: 899 71-76-56;**

---

2005 წლის 25 თებერვალს 2 საათზე შედგება სააქციო საზოგადოების **„დავით სარაჯიშვილის და ენისელის"** აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

**1) საზოგადოების 2004 წლის საწარმოო-საფინანსო საქმიანობის შედეგების განხილვა;**

**2) საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ;**

**3) ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოში;**

**4) აუდიტორის არჩევა;**

**5) სხვადასხვა.**

აქციონერებს კრებაში მონაწილეობის შესახებ თავისი უფლება შეუძლიათ შეამოწმონ 2005 წლის 18 თებერვლამდე სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში.

სს „დავით სარაჯიშვილი და ენისელის" დირექცია.

---

2005 წლის 8 თებერვალს 12 სთ-ზე გაიმართება სააქციო საზოგადოება „ბალნეოლოგიურ კურორტ სამტრედიის" აქციონერთა კრება.

**დღის წესრიგი:**

**1. 2004 წლის წლიური ანგარიშები და მისი დამტკიცება;**

**2. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია;**

**3. ახალი საზოგადოების წესდების დამტკიცება.**

ბეჭდის საიდენტიფიკაციო ნომერი: 238727311.

---

მიმდინარეობს შპს **„ნავთობგეოფიზიკის"** ლიკვიდაცია. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე სახის მოთხოვნა შპს „ნავთობგეოფიზიკისადმი", გამოცხადდნენ შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, კოსტავას ქ. № 65.**

ლიკვიდატორი.

წიგნი და მკითხველი

# ქართული ლექსისა და სიმღერის კვალდაკვალ,

## ანუ ფიქრები გიორგი ჯავახიშვილის წიგნის — „ლექსისა და სიმღერის კვალდაკვალ“ წაკითხვის შემდეგ

**ჩვენს თვალწინ ცხოვრება ელვის სისწრაფით იცვლება. ეს მისი ლოგიკაა. ღმერთმა დაიფაროს, რომ ასე არ იყოს და ძველი არ უთმობდეს ადგილს ახალს. ამასთან, საწყენია, უფრო მეტიც: მეტად გულის დამწყვეტია, როდესაც ხედავ, რომ მრავალი ისეთი რამ, რაც არაფრით არ უნდა ყოფილიყო ცხოვრების მიერ უკუგდებული, არათუ უარყოფილია, არამედ მისი ხსოვნაც კი აღარ შემორჩენია ადამიანთა მეხსიერებას. ამის საშიშროება განსაკუთრებით ძველ კარგ ქართულ სიმღერასა და ლექსს ეხება. არადა, ხომ ცნობილია, რომ ვიდრე კაცობრიობა ანბანს გამოიგონებდა და წერას ისწავლიდა, თაობებს შორის კავშირი სწორედ მათი საშუალებით მყარდებოდა.**

სხვა ცხოვრება დადგა და მან სხვაგვარი რიტმისა და განწყობის მუსიკა მოითხოვა. განა დღეს ბევრს სიამოვნებს „ურმულის“ მოსმენა? არადა, ცნობილ კრიტიკოსსა და ხელოვნებათმცოდნეს ილია ზურაბიშვილს უწერია — მომისმენია მთვარიან ღამეში უბრალო მეურნე გლეხის „ურმული“, ასე უბადლოდ შესრულება, ალბათ, ვანო სარაჯიშვილსაც გაუჭირდებოდაო. მაგრამ დღეს?

ამიტომ რა კარგია, როდესაც არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ შთამომავლობას ქაღალდზე თუ ფირზე შემოუნახონ ასეთი ბრწყინვალე სიმღერები თუ მათ შემსრულებელთა ბიოგრაფიები. ისინი დადიან სოფელ-სოფელ და დიდი რუდუნებით ეძიებენ ცნობებს, როგორც სიმღერების, მათი სხვადასხვა ვარიანტების, ისე მათი შემსრულებლების შესახებ.

ასეთ ადამიანთა შორისაა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი. ამგვარი ფიქრებიც მის მიერ ამ ბოლო დროს გამოცემული წიგნის „ლექსისა და სიმღერის კვალდაკვალ“ წაკითხვის შემდეგ აღმეძრა. აქვე გვინდა ვთქვათ, რომ მრავალი ასეთი მშვენიერი წიგნი აქვს დაწერილი მის კალამს. კერძოდ, „თელავის ლიტერატურული ბოჰემა“, „გიორგი ლეონიძის თვალსაწიერი“, „ორი სახელის გახსენება“ და სხვ. ყველა მათგანის უმთავრესი დანიშნულება წარსულის გაცოცხლება და მისი ცხოველი სურათ-ხატების მომავალი თაობებისთვის შემონახვაა.

წინამდებარე წიგნიც — „ლექსისა და სიმღერის კვალდაკვალ“, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მასში განხილულია კახეთის მუსიკალური და ლიტერატურული ტრადიციები. განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართული საგუნდო ხელოვნების დიდოსტატ ნიკო სულხანიშვილს. აქვე გადმოცემულია ამ უკანასკნელისა და ვაჟა-ფშაველას მეგობრობა-თანამშრომლობის რამდენიმე მეტად საინტერესო და აქამდე უცნობი ეპიზოდიც. ავტორს დადგენილი აქვს ასევე ისიც, რომ თუ არა ნ. სულხანიშვილი, ჩვენ არ გვექნებოდა დიმიტრი არაყიშვილის მრავალი სიმღერა-მარგალიტი, რომლებიც კომპოზიტორმა სწორედ ნ. სულხანიშვილის თაოსნობითა და დახმარებით ჩაიწერა. ხალხში გაბნეულ ჰანგებს აქტიურად ეძებდა თავად სულხანიშვილიც, რისთვისაც თითქმის მთელი კახეთი შემოუვლია.

იმის უფრო ნათლად აღსათქმელად, თუ რას წარმოადგენდა ქართული ხელოვნებისთვის ნიკო სულხანიშვილი, ავტორს ტიციან ტაბიძის სიტყვები მოჰყავს: „...ქართულ მუსიკასაც ჰყავს ოსტატი, ნამდვილი თანატოლი და ფუძემდებელი, ისეთი, როგორც იყო ვაჟა-ფშაველა, ნიკო ფიროსმანიშვილი და კოტე მარჯანიშვილი. ეს არის ნიკო სულხანიშვილი. მას ჰქონდა ნაპოვნი ქართული სახალხო მუსიკის ჯადოსნური გასაღები“.

წიგნში ავტორი სამართლიანად აყენებს წინადადებას მოეწყოს ნიკო სულხანიშვილის შემოქმედებითი საღამო, საიდანაც შემოსული თანხები მისი მუსიკალური მემკვიდრეობის შესწავლასა და გამოცემას მოხმარდებოდა. ავტორი სხვა ისეთი საოცარი ხმისა და სმენის მომღერლების შესახებ მოგვითხრობს, როგორებიც იყვნენ ვანო ბიწკინაშვილი, ფსევდონიმით „შაშიანელი“, დიმიტრი მგალობლიშვილი, გოგლა ყავალაშვილი და სხვები. სწორედ ვ. ბიწკინაშვილის ნამღერის შთაგონებით დაუწერია გიორგი ლეონიძეს ლექსი „ხალხური მომღერალი“.:




**„თითქოს ზურმუხტში**
**ლალი ცვიოდა,**
**თითქოს ფანტავდნენ**
**მარჯანს პეშვითა**
**და ხმა ყელიდან**
**კი არ დიოდა**
**არა!**
**ვარსკვლავთა აზარფეშიდან“.**

სამართლიანად თვლიდა ხალხი ბიწკინაშვილს ვ. სარაჯიშვილის ღირსეულ მემკვიდრედ. სამწუხაროდ, მეტად ახალგაზრდა, 29 წლისა გარდაიცვალა იგი 1921 წელს.

სხვათა შორის, წიგნში მოტანილია გ. ყავალაშვილის მიერ მოთხრობილი ერთი მეტად საინტერესო ამბავი, რომელიც ი. სტალინს ეხება. კერძოდ, 1936 წელს ქართველ მომღერლებს, თავად გოგლა ყავალაშვილსა და გიორგი ბერიშვილს ლოტბარ სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით კრემლში „კახური მრავალჟამიერი“ შეუსრულებიათ. მომღერლებს „ექსტერნად“ ერთი პატარა კუპლეტიც ჩაურთავთ:

**„გენაცვალები პირშია,**
**კარგი ხარ გასაჭირშია,**
**ხოხობი შეეფარება შენი**
**თვალწარბის ჩრდილშია“.**

სტალინს სიმღერის მოსმენისას ულვაშებში ჩაღიმებია და ტაში შეუწევია მომღერლებისთვის, თუმცა დამშვიდობებისას უთქვამს მათთვის:

— „ყავალაშვილო, „მრავალჟამიერში“ თქვენ რომ სიტყვები ჩაამყოლეთ, ასე როდი მღერიან ამ სიმღერასო“, გაუცინია და მომღერლისათვის ხელი გადაუხვევია...

წიგნში დიდი სიყვარულით იხსენიება ქართული ხალხური სიმღერების ისეთი მოტრფიალე და მოამაგე, როგორიც იყო თელაველ მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი ფირუზ მახათელაშვილი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ძალღონეს არ იშურებდა იმისთვის, რათა გუნდის რეპერტუარი გაემდიდრებინა და ხალხური სიმღერის შესრულების დონე აემაღლებინა.

მეტად საინტერესოა ტიციანის ერთი ლექსის შექმნის ისტორიაც, კერძოდ, 1928 წელს სიძე-პოეტი სტუმრად ყოფილა კახეთში, მაყაშვილებთან, სადაც მომღერლების — ყარალაშვილისა და ასაბაშვილის (დედას ლევანა) სიმღერის მოსმენის შემდეგ შეუქმნია უკვდავი ლექსი, — „მაშ, გამარჯვება“:

**„თუ ჩემი ძმა ხარ,**
**ერთიც მიმღერე,**
**და დავუჩოქებ მიწას მუხლებით,**
**— მაშ, გამარჯვება,**
**ტკბილო სიცოცხლევ,**
**დავრჩებით ერთად ჩვენ**
**განუყრელი“.**

საგულისხმოა: დედას ლევანას 1934 წელს სწორედ მღერისას დაულევია სული. „შენი გულისაო“, — ეს ორი სიტყვა ყოფილა მისი უკანასკნელი მინამღერი. ტყუილად როდი ამბობს ხალხი, მას სიმღერის ხმა გულიდან ამოსდიოდაო.

ბატონ გიორგი ჯავახიშვილის წიგნს ამდიდრებს ავტორის არქივიდან მოტანილი უნიკალური ფოტოები. აი, მაგალითად, სურათი, რომელზედაც თბილისის სასულიერო სემინარიის მომღერალთა გუნდია გამოსახული. სურათზე ჩვენ ვხედავთ აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს. სავარაუდოდ მასზე იოსებ სტალინიც უნდა იყოს, აქვეა სურათი ნიკო სულხანიშვილის გამოსახულებით და სხვა მრავალი. აღსანიშნავია, რომ სურათებიდან პირველი 1895 წელს განეკუთვნება, ხოლო უკანასკნელი ჩვენი დღეებით თარიღდება.

წიგნს ღირსებას მატებს ისიც, რომ ავტორის თხრობა მხოლოდ წარსულით როდი იფარგლება. იგი ლოგიკურ კავშირს პოულობს ტრადიციებსა და თანამედროვეობას შორის. კერძოდ, ავტორის აზრით, წიგნში აღწერილი მდიდარი ტრადიციების შედეგია მეტად პოპულარული და თვითმყოფადი ანსამბლის „წინანდალის“ შემოქმედება (ხელმძღვანელი ლევან აბაშიძე), რომლის კონცერტებმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაიმსახურეს დიდი მოწონება. კერძოდ, ამის დასტურია, თუნდაც 2003 წელს დიდ ბრიტანეთში გამართული ფესტივალი, სადაც „წინანდალმა“ პირველი ადგილი და სათანადო პრემია მოიპოვა.

**ამბროსი გრიშიკაშვილი,**
**პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე.**


# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სხვადასხვა სახის ავტოსათადარიგო ნაწილების შეძენასა და ავტოტრანსპორტის მომსახურების შესყიდვაზე;

ლოტი 1. რუსული წარმოების ა/მანქანების.

ლოტი II. უცხოური წარმოების ა/მანქანების.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 14 თებერვლის 10 საათიდან 19 თებერვლის 17 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**3.1. იურიდიული პირებისთვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**3.2 ფიზიკური პირებისთვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

გ) ცნობა სასამართლოდან რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისთვის შემდეგ ცნობებს:**

ა) საგადასახადოდან — რომ ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხებათ დავალიანება;

4. დაინტერესებული პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ აღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ცნობებს და ინფორმაციას, ან რომელიმე წარმოდგენილი ცნობა ან ინფორმაცია აღმოჩნდება ყალბი.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, არაუგვიანეს 2005 წლის 28 თებერვლის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.

6. დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტი და სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდი.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: დავით ოთარაშვილი, ტელ.: 74-47-74, 899-90-16-55;.

**სატენდერო კომისია.**

**უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.**


SOS!

# სამბო „თამაშგარეა“

**საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში საკმაოდ პოპულარულია ჭიდაობა სამბო. სპორტულ სექციებში 5 ათასზე მეტი მოზარდი ვარჯიშობს. ნაკრების წევრებს (სხვადასხვა ასაკში) საერთაშორისო შეჯიბრებებიდან, მათ შორის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებიდან, უამრავი მედალი ჩამოაქვთ, არადა, ნორმალური წვრთნის ელემენტარული პირობებიც არა აქვთ. ფორმასა და სახსრებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.**

ახალი სეზონის წინ შექმნილ უმძიმეს პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ პრესკონფერენცია გამართა. მასმედიის წარმომადგენლებს მან აუწყა, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულ 14 ეროვნულ ფედერაციას შორის სამბო ვერ მოხვდა.

შარშან დეპარტამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა სამბისტებისთვის ბიუჯეტიდან 80 ათასი ლარი გამოყო. წლეულს კი ოლეგ იაძის შეგირდები უსახსროდ დარჩნენ. ფედერაციის პრეზიდენტს გადაწყვეტილი ჰქონდა, პროტესტის უკვე ნაცადი ფორმისთვის — შიმშილობისთვის მიემართა, მაგრამ, როგორც მან განაცხადა პრესკონფერენციაზე, სპორტის დეპარტამენტის ამჟამინდელი თავმჯდომარე დავით ნამგალაური შეჰ-პირებია მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე გასამგზავრებლად დაფინანსებას. ცხადია, მარტო ეს პრობლემას ვერ მოხსნის, რადგან შეჯიბრებებზე მოუმზადებლად წასვლას აზრი არა აქვს, ამიტომ აუცილებელია, რამდენიმე საწვრთნელი შეკრების თანხაც გამოიძებნოს.

ბატონმა ოლეგ იაძემ პრესკონფერენციაზე ისიც თქვა, რომ საქართველოს ძეგლთა დაცვის, კულტურისა და სპორტის მინისტრ ბატონ გიორგი გაბაშვილთან ერთი თვე ვიარე სამინისტროში, მაგრამ მან მიღების ღირსადაც არ ჩამთვალაო.



ფედერაციაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით პრესკონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ მსოფლიო და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი არჩილ ჩოხელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ანზორ ზურაბაული, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი შოთა ზუკაკიშვილი და სხვები.

სამბისტებმა ზემდგომი ორგანოების დაპირება მხოლოდ დროებით ირწმუნეს. პირველ მარტამდე მდგომარეობა თუ არ გამოსწორდება, მაშინ იაძე და მისი თანაგუნდელები ექსტრემალურ ღონისძიებებს მიმართავენ, რისი გამოცდილებაც მათ საკმარისზე მეტი აქვთ.

**შალვა ქირია.**
**სურათზე: პრესკონფერენციაზე.**
**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**

ძიუდო

# ხვალ და ზეგ — სპორტის სასახლეში



**გასულ შაბათ-კვირას მოსკოვში სუპერთასის გათამაშებით ძიუდოისტებმა ახალი სეზონი გახსნეს. ხვალ და ზეგ კი ისინი თბილისის სპორტის სასახლეში მსოფლიო თასისთვის იბრძოლებენ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. მასპინძლები 30-მდე ქვეყნის წარმომადგენლებს ელოდნენ, თანაც უძლიერესი შემადგენლობით, მაგრამ, როგორც ჩანს, ორგანიზატორთა ვარაუდი არ მართლდება. მაგალითად, იაპონელები მეორე ნაკრებით გვესტუმრნენ, ზოგიერთმა ქვეყანამ კი საერთოდ უარი თქვა ჩამოსვლაზე.**

საქართველოს ნაკრები შეჯიბრებაზე ოთხი შემადგენლობით იასპარეზებს. გულშემატკივრები ტატამზე იხილავენ ოლიმპიურ ჩემპიონს ზურაბ ზვიადაურს და ვერცხლის პრიზიორ ნესტორ ხერგიანს. ტრავმის გამო ვერ იჭიდავებენ დავით ქევხიშვილი (73 კგ) და გიორგი ყიზილაშვილი (100 კგ), დაისვენებს დავით მარგოშვილი (66 კგ), სამაგიეროდ, ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავს ქართული ჭიდაობის ფედერაციის ახლადარჩეული პრეზიდენტი ალექსი დავითაშვილი.

აქვე გაუწყებთ მათ ვინაობას, ვინც ხვალ და ზეგ სპორტის სასახლეში საქართველოს სახელით იჭიდავებს:

**60 კგ:** ნესტორ ხერგიანი, ვახტანგ ხოსიტაშვილი, დავით ასუმბანი, დავით სვიმონიშვილი.

**66 კგ:** ზაზა კედელაშვილი, ზეზვა ებელაშვილი, მინდია ხომიზური, დავით უძილაური.

**73 კგ:** ტარიელ მინესაშვილი, ოთარ ახალაია, მიხეილ ყიფშიძე, დავით კუბლაშვილი.

**81 კგ:** გრიგოლ მამრიკიშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი, ხვიჩა ხუციშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი.

**90 კგ:** ზურაბ ზვიადაური, მინდია ბოდაველი, ირაკლი ცირეკიძე, ლაშა გენგაშვილი.

**100 კგ:** გიორგი გუგავა, დიმიტრი ტურაშვილი, ლაშა ფეიქრიშვილი, ლევან რაზმაძე.

**მძიმე წონა:** ლაშა გუჯეჯიანი, ალექსი დავითაშვილი, ივერი ჯიქურაული, ზვიად ჩინჩალაძე.

**ლექსო ცინცაძე.**

ჩოგბურთი

# წინ ფინალებია

**ისეთ დიდ საჩოგბურთო ტურნირებზე, როგორიც, ვთქვათ, ავსტრალიის ღია ჩემპიონატია — პლანეტის ყოფილი პირველი ჩოგანოსანი, ამერიკელი სერენა უილიამსი და 17 წლის რუსეთელი ლამაზმანი მარია შარაპოვა მესამედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, თუ პირველი ორის ფინალში — უიმბლდონსა და ლოს-ანჯელესში — რუსეთელმა იმარჯვა, რაც მისი უდიდესი ტრიუმფი იყო, მესამედ მწვანე კონტინენტზე წლევანდელი სეზონის ამ უდიდესი ტურნირის ნახევარფინალმა „შეჰყარა ერთმანეთს“ ისინი.**



პირველ სეტში შარაპოვამ გონივრულად გამოიყენა ძალზე გამოცდილი მეტოქის შეცდომები და გაიმარჯვა — 6:2. მეორე სეტში თავდაპირველად თანაბარი ბრძოლა გაიმართა — 4:4. მაგრამ უილიამსმა შეძლო გარდატეხის შეტანა, რამაც მარია ერთგვარად დააბნია და პარტია დაათმობინა — 5:7.

ასევე მოხდა მესამე სეტში, როცა ანგარიში 3:3 იყო, შარაპოვამ შეძლო სერენას ჩამოწოდების მოგერიება და წინაც გაიჭრა — 5:3. მარიას ერთი გეიმის მოგება სჭირდებოდა და... მაგრამ უმცროსმა უილიამსმა ნამდვილი მებრძოლის ხასიათი გამოავლინა, ანგარიში გაათანაბრა და წინაც გაიჭრა 7:6. აქ კი შარაპოვა „გატყდა“ — 6:8.

სერენა უილიამსი ავსტრალიის ღია ჩემპიონატის პირველი ფინალისტია. მოგვიანებით ფინალში გავიდნენ აგრეთვე საფინი, რომელმაც პლანეტის პირველი ჩოგანოსანი ფედერერი დაამარცხა და დევენპორტი, რომელმაც ფრანგ დეშს სძლია.

ზამთრის ოლიმპიადა

# მონტეი ახალგაზრდებს მასპინძლობს

**შვეიცარიის ქალაქ მონტეიში დასასრულს უახლოვდება ევროპის ჭაბუკთა ზამთრის ოლიმპიადა, რომელშიც საქართველოს 5 წარმომადგენელიც მონაწილეობს. ანა აბრამიშვილმა გიგანტურ სლალომში 46-ე, ხოლო სლალომში 49-ე ადგილი დაიკავა. ამ სახეობაში დანარჩენმა ჩვენმა მოთხილამურეებმა — ლაშა ცირეკიძემ, ვახტანგ თედიაშვილმა და იასონ აბრამიშვილმა კი ფინიშამდე დატოვეს სარბიელი.**

მედლებისთვის ბრძოლაში ჩაება ფიგურულად მოციგურავე ელენე გედევანიშვილი, რომელიც რამდენიმე წელიწადია, მოსკოვში ვარჯიშობს და საკმაოდ პერსპექტიულ სპორტსმენად ითვლება. მოკლე პროგრამის შემდეგ ქართველი მოციგურავე მეათე ადგილზეა.

**გიორგი გაგუა.**

ასეც ხდება

# დისკვალიფიკაცია 30 (!) წლით



**ასეთი რამ ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს: 32 წლის ჩრდილოირლანდიელმა ფეხბურთელმა ვიქტორ სპრაულმა, რომელიც კლუბ „ბოიზ ბრიგეიდში“ თამაშობს, ჭეშმარიტად მარათონული ვადით — 30 წლით მიიღო დისკვალიფიკაცია.**

რატომ? მატჩის მიმდინარეობისას სპრაულმა ისეთი ძალით გაარტყა ფეხი მსაჯს საზარდულში, რომ მან ველარ შეძლო შეხვედრის გაგრძელება (მატჩი შეწყდა და აღარ განახლებულა). შემდეგ სპრაული შეიჭრა არბიტრის ოთახში, და კიდევ ერთხელ დაარტყა მას — ამჯერად თავით და ცხვირი გაუტეხა.

# ყველაზე სწრაფი გოლი

**ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ცნობით, ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე სწრაფად ჩაითვალა 25 წლის მოყვარული ფეხბურთელის მარკ ბაროუზის მიერ გატანილი გოლი.**

ეს შარშან მოხდა სამოყვარულო გუნდების „კოუეს სპორტსისა“ და „ისტლი რეზერვსის“ შეხვედრისას. თამაშის დაწყებისთანავე ბაროუზმა კარის მიმართულებით დაარტყა ბურთი, რომელმაც ძლიერი ქარის დახმარებით თავზე გადაუფრინა „ისტლის“ მეკარეს და ბადეში აღმოჩნდა. არადა, მსაჯის სასტვენის შემდეგ სულ რაღაც ორნახევარი წამი იყო გასული.

წინა მსოფლიო რეკორდი (2,8 წამი) არგენტინელი რიკარდო ოლივერას ეკუთვნოდა (კლუბი „რიო-ნეგრო“), რომელმაც 1998 წელს გაიტანა გოლი „სორიანოს“ კარში.

ჭადრაკი

# გოგონები ვაჟებს უტევენ

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო 20 წლამდე მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც 38 გოგონა და 52 ვაჟი მონაწილეობს. საგულისხმოა ისიც, რომ თავიანთ ასაკში მსოფლიო ჩემპიონები — თელაველი ბელა ხოტენაშვილი და ქუთაისელი ნანა ძაგნიძე, რომლებსაც ამ ასაკში მსოფლიო პირველობის საგზურები განაღდებული აქვთ, ვაჟებს ეჯიბრებიან და წარმატებითაც.**

გუშინ მეორე ტურში ხოტენაშვილმა გრიგოლ მაღლაფერიძე დაამარცხა, ხოლო ნანა ძაგნიძემ ზურაბ ნიკოლიშვილს სძლია. დანარჩენ პარტიებში ფავორიტებმა იმარჯვეს და 13 მოჭადრაკეს 2 ტურის შემდეგ 2-2 ქულა აქვს.

გოგონებში სოფიკო სუხაშვილმა შავი ფიგურებით თეონა ღურჭუმალიძე დაჯაბნა. ასევე წარმატებას მიაღწიეს ალექსანდრა ვახანიამ (ნინო ადეიშვილთან), ანა გავაშელმა (დიანა თვალთვაძესთან), თამარ წერეთელმა (სალომე ჭოხონელიძესთან), მაკა ფურცელაძემ (ქრისტინე მჟავიასთან), ქეთი წაწალაშვილმა (ანა თოფურიძესთან).

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პირველობა იმართება შვეიცარიული სისტემით 9 ტურად. თითოეულ მოჭადრაკეს პარტიაზე ეძლევა საათნახევარი ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. საქართველოს ჩემპიონები გოგონათა და ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებენ.

დღეს მესამე ტურის პარტიები გაიმართება. ლიდერთაგან ერთმანეთს ხვდებიან: **გოგონები.** სუხაშვილი — ვახანია, გავაშელი — წერეთელი, ფურცელაძე — წაწალაშვილი. **ვაჟები.** გიორგი მარგველაშვილი — ლევან ფანცულაია, კონსტანტინე შანავა — მალხაზ სულაშვილი, დავით ბენიძე — ნანა ძაგნიძე, გიგა ყუფარაძე — დავით მაღალაშვილი, გიორგი გამზარდია — თორნიკე სანიკიძე, ფარნავაზ ნიჟარაძე — ბელა ხოტენაშვილი, ლევან აროშიძე — ლევან გოგოჭური.

**მაია მეგრელიშვილი.**

ჭრელაჭრულა

# ლეკო წინ გაიჭრა

**სენსაციები არ აკლია ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარე მე-19 კატეგორიის სუპერტურნირს თითქმის მთელი საჭადრაკო ელიტის მონაწილეობით.**



მეათე ტურში კი ის გამოისახა, რომ მისი ერთ-ერთი ლიდერის, ბულგარელი დიდოსტატის ვესელინ ტოპალოვის დამარცხებით ტურნირში მონაწილე ერთად-ერთ ქალთან, უნგრელ იუდით პოლგართან. კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა ტურნირის დებიუტანტმა, ახალგაზრდა კუბელმა მოჭადრაკემ ბუსონმა, რომელმაც ჰოლანდიელი სოკოლოვი დაამარცხა. გაიმარჯვა, აგრეთვე, რუსეთელმა ახალგაზრდა დიდოსტატმა გრიშჩუკმა. მან უეფას ყოფილ ჩემპიონს, უკრაინელ პონომარიოვს სძლია.

ძალზე საინტერესო გამოდგა ინდოელი ანანდისა და ჰოლანდიელი ლიუკ ვან ველის პარტია. თუმცა ვიში „თეთრებით“ ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ შეანგრია მასპინძლის „შავი ბასტიონები“. ყაიმზე შეთანხმდნენ, აგრეთვე, ადამსი და კრამნიკი, შორტი და სვიდლერი, მოროზევიჩი და ლეკო. ეს უკანასკნელი 6,5 ქულით ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. უნგრელის ამ წარმატებას მის სიმამრსა და მწვრთნელს არშაკ პეტროსიანს აბრალებენ.

10 ტურის შემდეგ ტურნირზე დანარჩენი ადგილები ასე ნაწილდება: ანანდი, ადამსი, ტოპალოვი — 6; კრამნიკი, გრიშჩუკი, ბრუსონი — 5,5, პოლგარი — 5, პონომარიოვი, სვიდლერი, შორტი — 4, მოროზევიჩი — 3,5, სოკოლოვი — 2,5.

# თუკი იაპონელებს დაამარცხებენ...

**9 თებერვალს ტოკიოში უნდა გაიმართოს ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან იაპონიისა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ნაკრები (ამ ქვეყნებს შორის კი ძალზე დაძაბული ურთიერთობაა). სპეციალისტებს ფავორიტებად იაპონელები მიაჩნდათ, მაგრამ იმედი არც კორეელებს გადაუწურავთ. ამ ქვეყნის სპორტული ხელმძღვანელობა აპირებს ნაკრების ფეხბურთელების მატერიალურ სტიმულირებას, თუკი ისინი პრინციპულ მეტოქეს სძლევენ.**



„ჩვენ დარწმუნებულნი ვართ გამარჯვებაში, რადგან მოტივირებულნი ვართ უსაზღვროდ. ჩვენ მათ (იაპონელებს) აუცილებლად დავამარცხებთ, — იმოწმებს კორეის სდრ-ს ერთ-ერთი მთავარი სპორტული ჩინოვნიკის რიხიონის სიტყვებს იაპონიის საინფორმაციო სააგენტო Kuodo News, — მოთამაშეების დამსახურების მიხედვით ისინი მიიღებენ დიდ ფულად ბონუსებს, თანამედროვე სახლებსა და უმაღლესი კლასის ავტომანქანებს“.

ჩრდილოეთ კორეის გუნდი დაკომპლექტებულია საარმიო კლუბის ბაზაზე და ახლა წვრთნას ჩინეთის კურორტ ხაინანში გადის.

შეგახსენებთ, რომ ჩრდილო კორეის ფეხბურთელებმა სენსაცია მოახდინეს 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისში, როდესაც მეოთხედფინალში დაამარცხეს იტალიის ნაკრები. ეს იყო ჩრდილო კორეელთა ერთადერთი გამოსვლა მსოფლიო ჩემპიონატებზე.

# მეძავებმა დაღუპეს

**ინგლისის „არსენალის“ ფეხბურთელმა ეშლი კოულმა ცდუნებას ვერ გაუძლო და დროსტარება თავის გულისწორის, მომღერალ ჩერილ ტვიდის გარეშე გადაწყვიტა.**

ის წინაწარ განზრახ წაეჩხუბა სატრფოს და თავისი თანაკლუბელის დაბადების დღეზე მარტო წავიდა ღამის კლუბში. ის ორ ქალიშვილს შეუთანხმდა — მეზობელ ქუჩაზე დალოდებოდნენ და უცებ ჩამხტარიყვნენ მიახლოვებულ მანქანაში. მაგრამ მისი „შავი ზრახვები“ — მაინც გამჟღავნდა და უმალ ჩერილს შეატყობინეს.

ამბობენ, რომ განრისხებული ტვიდი საშინელიაო. ბრიტანული პოპჯგუფის Girls Aloud მომღერალი არავის ინდობსო. ისე რომ, გაყრა მოსალოდნელია.

ძნელი სათქმელია, თუ კოული რით იმართლებს თავს, როგორ აუხსნის სატრფოს, თუ რას აკეთებდა მის მანქანაში ორი მეძავი, ხომ ვერ იტყვის — „ხალტურაზე“ ვიყავიო?



ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



1984 წელი. ქართველი მწერლები წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში ლეო ქიაჩელის 100 წლისთავის იუბილეზე. გამოდის გენო კალანდია.

მოგვაწოდა ვაჟა აკობიამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

***ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.***

⊙ პარტიზანის ნაამბობი

# წლეულსაც ამაოდ მელოდა

კიდევ ერთი წელი გავიდა...

დრო მიდის, არ ჩერდება...

ჩვენ კი საბუდარმოშლილნი, სახლკარმიტოვებულები დროს ვერ ვუმკლავდებით.

უკვე მერამდენე წელიწადია, აფხაზეთიდან გამოდევნილი მოსახლეობა, გალტოლვილებული დროებით (თუ კიდევ ამას დროებით ჰქვია) დედაქალაქსა თუ სხვადასხვა რაიონებშია ჩასახლებული.

იქ კარგი იყო...

მოლივლივე შავი ზღვის ტალღების დგაფუნი...

გასხივოსნებულ ცაში მფრინავი თოლიები...

მზე ჩვენთან თითქოს სხვანაირად ამოდიოდა და ზღვის გადაღმა ჩადიოდა... საღამოც სულ სხვა დგებოდა, ზღვიდან მოვარდნილი სიო თითქოს გეჩურჩულებოდა, გეფერებოდა, თან მოჰქონდა თავბრუდამხვევი მაგნოლიების სურნელი.

ეს ყველაფერი იქ იყო... იქ დარჩა.

...იყო ომი, სისხლისღვრა... გაყინული, ცივი სვანეთის უღელტეხილი. კოდორის ხეობით წვალებით გამოვლილი სიცოცხლის გზა... ერთ ოთახში ჩასახლებული აფხაზეთიდან დევნილი ოჯახები... ეს ყველაფერი თითქოს გუშინ მოხდა.

... და მაინც რამდენი წელი გავიდა...

...ის აფხაზეთშიც იბრძოდა, – გულითა და სულით მეომარი ბიჭი. პატრიოტ მეგობრებთან – პარტიზანებთან (როგორც თვითონ ამბობს „საძმოსთან" ერთად) ისინი რამდენიმენი იყვნენ (ჩემმა რესპონდენტმა ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა).

– ეს ამბავი წლეულს ახალი წლის მოახლოებამ გამახსენა. ზამთრის სუსხიანი დღე იდგა. ახლოვდებოდა ახალი წელი, ყველანი საახალწლო სამზადისში იყვნენ. ჩვენი „საძმო" – შენაერთი კი ამ დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე ტყეში იყო დაბანაკებული. ახალი წლისთვის ახალი დავალება იყო შესასრულებელი, არ გეგონოთ „საძმოს" წევრებს ოჯახები არ გვქონდა. კარგად მახსოვს ის ახალი წლის ღამე. შეიარაღებულები, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულები, ტყიდან სხვადასხვა მიმართულებით გავეშურეთ დავალების შესასრულებლად.

...ბინდი ჩამოწვა. თოვლით მოფიფქული მინდორი სულ უფრო მოიყინა. ხელ-ფეხი გვეყინებოდა, დავალებას მაინც ვასრულებდით, მაგრამ არა ვიღაცის ბრძანებითა თუ დავალებით, არამედ ჩვენი აფხაზეთიდან დევნილი ბიჭების – „საძმოს" სურვილით.

...რამდენიმე საათის შემდეგ დანიშნულ ადგილზე მოვიყარეთ თავი. ყველანი უკლებლივ ვიყავით (ეს უკვე გვახარებდა). დაღლილები, მოშიებულები ტყის ახლოს მიტოვებულ სახ-



ლში შევედით და, როგორც იტყვიან, იქვე მივეყარენით.

შორიდან თითქოს სამზადის სურნელი მოჰქონდა ქარს... მთის გადაღმა ალბათ ყოველ ქრისტიანულ ოჯახში საახალწლო სუფრას უსხდნენ, უკვე და ახალი წლის შემობრძანებას ელოდნენ (ალბათ ჩვენს ოჯახებშიც) ჩვენ კი ხმელა პურიც არ გვქონდა. სული რომ მოვითქვით, ჩანთები დავჩხრიკეთ, ვის ერთი კონსერვი აღმოაჩნდა, ვის რამდენიმე ნაჭერი ორცხობილა. დავტრიალდით, ცეცხლი გავაღვივეთ და ზედ წყლიანი ქვაბი შემოვდგით (ჩაისთვის). „სუფრაც" მზად იყო და 12 საათიც შესრულდა. შორიდან საზეიმო სროლები გაისმა...

ბიჭებმა ერთმანეთს მივულოცეთ ახალი წელი და ჩაიც „გადავკარით". გარეთ გამოვედით, თითქოს ცა ზეიმობდა ისე იყო განათებული, კიდევ ერთხელ გადავეხვიეთ ერთმანეთს, ისევ ერთად ვართ... ხომ შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო?

...ბიჭები სახლში შევბრუნდით და დასაძინებლად მივწექით. ხვალ სხვა საქმეებიც გველოდა. თვალი მივლულე... ფიქრებმა წამიღეს... თვალწინ დამიდგა ჩემი სახლი, აფხაზეთი, რუსი თუ ბერძენი მეზობლები, მეგობრები, რომლებიც ჭირში თუ ლხინში ერთად ვიყავით, სიხარულით ვეგებებოდით ერთად ახალ წელს. ჩემი ოჯახი, დედა, მამა (ადრე გარდამეცვალა) ძმა, და. ოჯახი, რომელიც ახალ წელს უჩემოდ შეხვდა (უკვე მერამდენედ).

დედა ახალ წელთან ერთად წლეულსაც ამაოდ მელოდა.

**რიტა ჩაკვეტაძე.**

⊙ გიხაროდეს!

# სამი ბიჭის მამის სურვილი

**სოფელში ბიჭის დაბადებისთანავე მას ცალკე კომლადაც მიიჩნევდნენ. მშობლები, ახლობლები მის სამომავლოზე ფიქრობდნენ... ამ დღეებში ჩემმა მეუღლემ მესამე ვაჟი შეგვძინა. არჩილი კაჟივით ბიჭია! საქართველოში ხომ ვაჟიანობა განსაკუთრებით აღინიშნებოდა...**



დღეს სამი შვილის აღზრდა არც ისე ადვილია, მაგრამ მშობლებიც მეხმარებიან. ჩემი ბიჭების სარბენად მინდორიც დიდი მაქვს და ეზოგარემოც. ისე აწი ერთი გოგოც მინდა მყავდეს, ქორწილში ძმები მაყრად გაჰყვებიან. შვილებზე მეტი სიმდიდრე ამქვეყნად რა უნდა იყოს?

**ოთარ თოფურია,**
**სენაკი.**

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

⊙ ცოტაც გავიღიმოთ...



როდესაც გამახსენდება, ჩემი დარგის რანაირი სპეციალისტიცა ვარ, ექიმთან მისვლის მეშინია.

* * *

ნამდვილი თავისუფლება იწყება მაშინ, როდესაც ორი უფროსი გაგიჩნდება.

* * *

იმასთან დაკავშირებით, რომ ცხოვრების გაძვირება კვლავაც გრძელდება, მძარცველები თავიანთი მსხვერპლისგან უკვე ხუთი პროცენტით მეტ ფულს ითხოვენ.

* * *

— ქალიშვილო, შეიგნეთ, ბოლოს და ბოლოს, რომ ამგვარ რამეს ყველა გოგოს კი არ ვთავაზობ...

— თქვენც ნუ განაწყენდებით, ახალგაზრდავ, მაგრამ ყველა მამაკაცს არც მე ვეუბნები უარს...

* * *

ტელეფონი რეკავს. ყურმილს ქმარი იღებს.

— ალო, ჰო, დედა!.. კი, კვლავაც ვიჩხუბეთ!.. რა თქმა უნდა მახსოვს, რომ მეუბნებოდი, არც იფიქრო მაგ ალქაჯზე დაქორწინებაო!.. როგორც ყოველთვის, მართალი იყავი!.. რა თქმა უნდა, ვნანობ, რომ არ დაგიჯერე!.. ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა... ესეც ვცადე! მასთან საუბარი გსურს? ერთი წუთით... გკოცნი...

მერე კი ცოლს ეძახის:

— ძვირფასო, მოდი, თუ შეიძლება, დედაშენი რეკავს!

⊙ სულიერება

# ბოდბის მონასტერი განახლდა

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი და სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დღეს ბოდბის მონასტერში გაემგზავრნენ.

როგორც „ინტერ-პრესს" სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, 2003-2004 წლებში, წმინდა ნინოს სახელობის ბოდბის ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა.

ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოების დროს საეპისკოპო სასახლე აღმოაჩინეს, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნის ერთ-ერთი სამსართულიანი სამონასტრო შენობის ქვეშ იყო ჩაფლული. საარქივო დოკუმენტაციით გაირკვა, რომ სასახლე სიღნაღისა და ქიზიყის მიტროპოლიტის იოანე მაყაშვილის მიერ არის აგებული. ახლად გახსნილი სასახლე საერო არქიტექტურის მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს.

„მსოფლიო ძეგლთა ფონდის" პროგრამის კონკურსზე ბოდბის ტაძარი მსოფლიოს 100 უმნიშვნელოვანეს და საფრთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხაშია შესული.

**ინტერ-პრესი.**

⊙ საპატრულო პოლიცია

# მადლობა მათ არა მხოლოდ კონკრეტულად ჩემთვის აღმოჩენილი დახმარებისთვის

**საზოგადოებრივი აზრი მალევე კეთილად განეწყო ახალშექმნილი საპატრულო პოლიციის მიმართ. ბევრი საქებარი რამ ითქვა და დაიწერა უკვე.**

**ეჭვით არასოდეს შემიხედავს ამ თემაზე მოსმენილ-წაკითხულისთვის, მაგრამ ყოველივე მას შემდეგ გავითავისე, როცა უშუალოდ მომიხდა „შეხება" საპატრულო პოლიციასთან.**

**ნათქვამია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო.**

**მართლაც.**

კვირას ჩემი ბიჭი სამი წლისა გახდა. მეტრო „თავისუფლების მოედნის" თავზე ბავშვთა გასართობ ცენტრ „რია-რიაში" მეგობრები და თანატოლი ნათესავები ჰყავს მიპატიჟებული. გზაში ცოტა შევფერხდით და ახლა მღელვარებით მივაქროლებთ მანქანას მთელი ჩვენი სამსულიანი ოჯახი, რათა დაუგვიანებლად მივიდეთ – როგორია, სტუმრებს რომ მასპინძელი ადგილზე არ დახვდეს!

როგორც იყო ფილარმონიას გამოვცდით და კოსტავას ქუჩაზე... ძრავა ჩაქრა – მანქანების შუაგულ ნაკადში. ჰაი – აქეთ, ჰაი – იქით, თქვენც არ მომიკვდეთ, ხმა ვერ ამოაღებინა ახალბედა მძღოლმა. ვნერვიულობთ, ეს ჩვენი იუბილარი ცრემლებად იღვრება. და უცებ, მადლობა ღმერთს, ვხედავთ საპატრულო პოლიციის მანქანა გაჩერდა, ახალგაზრდა ფორმიანი კაცი გადმოვიდა და რაშია საქმეო, მოგვადგა. ასე და ასეა, არ ვიცით რა წყალს მივცეთ თავი-თქო, ვუთხარით. თუ შეიძლება მე მოვსინჯავო. მოსინჯა და ჩაიცინა – ბენზინი გაგთავებიათ, ბატონოო.

მიგვაგორებინა მან და მისმა მეწყვილემ მანქანა ტროტუართან, ჩვენთან ჩაბრძანდით, უახლოესი ბენზინგასამართი სადგური ყოფილ აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკასთანაა, ჩაგიყვანთ იქამდეო. საბარგულში ორლიტრიანი „პეპსი კოლას" ცარიელი ბოთლი მეგდო, ვტაცე ხელი და ჩავგრიალდით სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. ხუთ წუთში მოვბრუნდით უკან. ბენზინიც თვითონ ჩაასხეს და კეთილი გზა გვისურვეს.

როგორ გადაგიხადოთ-მეთქი მადლობა, ხელი ჯიბისკენ მიმაქვს, ვითომ, ცვლის დასრულების შემდეგ თითო გადაკარით-მეთქი. როგორ გეკადრებათო, შუბლი შეკრეს, ჩვენ პოლიცია ვართ და დახმარება გვევალებაო.

არ ვიცი, მაგრამ არა მგონია, რომ წესდებით მათ ასე, ბენზინგასამართ სადგურებამდე ხალხის ჩაყვანა-ამოყვანა ევალებოდეთ, ან კიდევ ბევრი სხვა რამ, რის შესახებაც ყოველ წუთს ვიგებთ და რაც სიამაყეს გვმატებს, რომ ჩვენი დღევანდელი პოლიცია ცა და დედამიწასავით განსხვავდება მისი წინამორბედისგან. პირველ რიგში, მომხიბლა ამ ახალგაზრდების ღირსების გრძნობამ, რომ ისინი ხალხის სამსახურში დგანან. ასე იყო, არ მომჩვენებია და ყველაზე მეტად ეს მომეწონა.

ბოლოს, ის მაინც მითხარით, ვინ ბრძანდებით-მეთქი. ამაზეც უარი თქვეს, რა მნიშვნელობა აქვსო, და მანქანა დაძრეს.

მაგრამ ამჯერად ვიმარჯვე და მათს მკერდზე მიკრული ბირკებით შევიტყვე ვინც იყვნენ: **მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მესამე ოცეულის პოლიციელები ზურაბ ბედოიძე და ომარ სონიშვილი.**

და ახლა მადლობა მინდა ვუთხრა მათ, არა მხოლოდ კონკრეტულად ჩემთვის აღმოჩენილი დახმარებისთვის, არამედ იმისთვის, რომ ასეთი კარგი საპატრულო პოლიცია გვყავს.

**ალეკო ასლანიშვილი.**

## დღის კალენდარი 28 იანვრისთვის

☼ ამოდის 07.17 ჩადის 17.10

( ამოდის 20.08, ჩადის 09.01

წლის 28-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 337 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

**ხსენება წმიდისა სალომე უჯარმელისა და პეროჟავრა სივნიელისა (IV). ღირსთა მამათა: პავლე თებელისა (341) და იოანე გლახაკისა (V). მოწამე პანსოფისა (249-251). ღირსთა: პროხორე (X) და გაბრიელ (XI).**

**დაიბადნენ:**

**1457 – ჰენრიხ VII,** ინგლისის მეფე. გარდაიცვალა 1509 წელს.

**1841 – ვასილი კლიუჩევსკი,** რუსი ისტორიკოსი, პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. გარდაიცვალა 1911 წელს.

**1858 – ეჟენ დიუბუა,** ჰოლანდიელი ანთროპოლოგი. გარდაიცვალა 1940 წელს.

**1870 – კიტა (ივანე) აბაშიძე,** ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, სოციალ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი. გარდაიცვალა 1917 წელს.

**1887 – არტურ რუბინშტეინი,** ამერიკელი პიანისტი. გარდაიცვალა 1982 წელს.

**1896 – ვლადიმერ მენაბდე,** გენეტიკოსი, სელექციონერი. გარდაიცვალა 1981 წელს.

**1911 – მსტისლავ კელდიში,** გამოჩენილი რუსეთელი მეცნიერი მათემატიკისა და მექანიკის დარგში. გარდაიცვალა 1978 წელს.

**1922 – რობერტ ჰოლი,** ამერიკელი ბიოქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1961 – ნინო ჩხობაძე** – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ყოფილი მინისტრი.

**გარდაიცვალნენ:**

**814** – კარლოს დიდი, ფრანკთა მეფე კაროლინგების დინასტიიდან. ჩამოაყალიბა ძლიერი დინასტია, რომელიც, ფაქტობრივად, სამხრეთ ევროპის მთელ ტერიტორიას მოიცავდა.

**1861** – ანრი მიურჟე, ფრანგი მწერალი.

**1864** – ბენუა პოლ კლაპეირონი, ფრანგი ფიზიკოსი, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

**1939** – უილიამ იეიტსი, ირლანდიელი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**მოვლენები:**

**1724** – პეტრე I-მა გამოსცა ბრძანებულება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შესახებ.

**1820** – რუსულმა ექსპედიციამ ბელინსჰაუზენისა და ლაზარევის მეთაურობით აღმოაჩინა ანტარქტიდა.

**1915** – აშშ-ს პრეზიდენტმა ვილსონმა ვეტო დაადო კანონს იმიგრაციის შესახებ.

**1986** – გაშვებიდან 73 წამის შემდეგ 14 კილომეტრის სიმაღლეზე აფეთქდა ამერიკული კოსმოსური ხომალდი „ჩელენჯერი". ხომალდზე მყოფი შვიდივე ასტრონავტი დაიღუპა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ავსტრალია – ავსტრალიის დღე**

**რუანდა – დემოკრატიის დღე**

**ბირთვული ომის წინააღმდეგ მობილიზაციის დღე.**

**მედია-ნიუსი.**

ხსოვნა

## გრიგოლ (გრიშა) მურვანიძე



უაღრესად განათლებულო, ერუდირებულო, უპატიოსნესო, უძვირფასესო და უსაყვარლესო **გრიშა!**

ულმობელმა სიკვდილმა მიგატოვებინა შენი საყვარელი, თბილი ოჯახი. შენი უსაყვარლესი შვილები, შვილიშვილები.

წახვედი შენს უსაყვარლეს მეუღლესთან და შვილთან. მათთან განშორება ხომ ძალიან ძნელი იყო თქვენთვის.

თქვენ, ჩემო გრიშა, დიდი ადამიანური ცხოვრებით იცხოვრეთ და დატოვეთ უსაზღვრო სიყვარული. თქვენი სახელოვანი შვილები და შვილიშვილები გააგრძელებენ თქვენს პატიოსანი გზით სიარულს.

ჩემო გრიშა! ძალიან დაგვწყვიტე გული, დააკლდი შენს მშობლიურ ბათუმს, რომლის თბილი და მსუბუქი მიწა მიგიბარებს სამუდამოდ და დარჩება შენი ნათელი ხსოვნა, რომელიც მუდამ გადაეცემა შთამომავლობას.

თქვენი დავიწყება შეუძლებელია.

თქვენ დაიმსახურეთ უკვდავება.

**თქვენი ლუიზა ძაგნიძე-ნუცუბიძე.**

## ოთარ ლოლაშვილი



გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი **ოთარ ილიას ძე ლოლაშვილი.**

ოთარ ლოლაშვილი დაიბადა 1924 წელს თბილისში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ ათეული წლების განმავლობაში აქტიურად იღვწოდა საქართველოს სამსახურში.

მოღვაწეობა დაიწყო რიგითი მუშაკიდან და გაიარა საინტერესო საქმიანი გზა თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნობამდე, წლების განმავლობაში მუშაობდა რესპუბლიკის საშენმასალათა მრეწველობის მინისტრად, რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

არჩეული იყო საკავშირო და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატად.

სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე თავდადებული მუშაობისთვის დაჯილდოებული იყო ორდენებით და მედლებით.

ყველგან, სადაც კი უმოღვაწია ბატონ ოთარს, იგი სარგებლობდა თანამშრომელთა, საზოგადოებისა და მეგობრების დამსახურებული პატივისცემითა და სიყვარულით.

ბატონი ოთარი იყო მაგალითი უაღრესად პატიოსანი, გულთბილი და პრინციპული ადამიანისა.

წავიდა ჩვენგან სახელოვანი, გულითადი პიროვნება და დატოვა შესანიშნავი ოჯახი და ნათელი კვალი.

**მეგობრების ჯგუფი.**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**



შვილები გოგი და მიხეილ მაღალაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელიშერ გიორგის ძე
მაღალაშვილი.

პანაშვიდი 28, 29 | 16 სთ-ზე, მისამართი: ვაჟა ფშაველას პრ. № 9, მე-2 სართული, ბ. 72. გამოსვენება 30 | 14 სთ-ზე. რუსთაველის სახ. თეატრიდან.

საქართველოს კულტურის ფონდი გულისტკივილს გამოხატავს დიდი ქართველი ერისკაცის, ხალხის საყვარელი მსახიობის

ელიშერ მაღალაშვილის

გარდაცვალების გამო, რომელმაც თავისი მოღვაწეობით ქართული თეატრისა და კინოს ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა.

**საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე**
**მერაბ ბერძენიშვილი.**

შემოქმედებითი კავშირი „საქართველოს თეატრალური საზოგადოება" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობი

ელიშერ მაღალაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის აკ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, ღვაწლმოსილი მედიცინის მუშაკი

ციცო ბაბლუანი-ონიანი

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირი სამძიმარს უცხადებს საქართველოს მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მშრომელთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარეს მერაბ ჟურულს მეუღლის, განათლების სისტემის თვალსაჩინო მუშაკის

მანანა ბასილაია-ჟურულის

გარდაცვალების გამო.

გურამ გაბუნია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უფროსი მეგობარი, შესანიშნავი და უკეთილშობილესი პიროვნება

ოთარ ილიას ძე ლოლაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „საქსაშენმეცნიერება" და საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საშენ მასალათა მრეწველობის ყოფილი მინისტრი, შესანიშნავი პიროვნება, დიდებული მამულიშვილი

ოთარ ლოლაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სოსო ხარატიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ოთარ ლოლაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika